ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 აგვისტო **ხუთშაბათი** 2013
№185(14 101) ფასი 80 თეთრი

## გიორგი შერმადინი სარაგოსაში გადავიდა
11

# კარგი და ცუდი ამბავი

## იტალიაში 16 ქულა წავაგეთ
16



# ~~გურია~~

## თითქმის დაიშალა

ლანჩხუთიდან შესანიშნავი შვიდეული წავიდა
4

# დღეს უნდა გავიხაროთ

## ჰაიდუკს თბილისში მხოლოდ ივო შუშაკი გაამხნევებს

2-3





გიორგი დევდარიანი

**სტრატეგია იგივე იქნება, მეტოქის გახსნას დაველოდებით, მერე კი კონტრშეტევაზე წავალთ**



# ტორონტო. ოქსანა. მეოთხედფინალი

ტორონტოში "როჯერს ქაფი" გრძელდება. გუშინ, მორიგი წარმატებული დღე ჰქონდა **ოქსანა კალაშნიკოვას.** მან წყვილებში პოლონელ **ალისია როსოლსკასთან** ერთად მეოთხედფინალამდე გააღწია. "ჩვენებურთა" დუეტმა მე-5 ნომრად განთესილ წყვილს აჯობა **სანია მირზასა** (ინდოეთი) და **ჟიე ჟენგის** (ჩინეთი) შემადგენლობით - 3:6, 6:1, 10:6.

მეოთხედფინალში კალაშნიკოვასა და როსოლსკას მეტოქე გვიან უნდა გარკვეულიყო - **ეკატერინა მაკაროვა/ელენა ვესნინასა** და **ანა კუდრიავცევა/ანასტასია როდიონოვას** მატჩში.

ვაჟა დანელია

12



# ლონდონის გახსენება

ინტერვიუ ოლიმპიურ ჩემპიონთან

ევროპალიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩის წინ

08.08. თბილისი. მ. მესხი. 20:00
**დილა-ჰაიდუკი**
საქართველო — ხორვატია
პირველი მატჩი - 1:0
პირდაპირი რეპორტაჟი მეორე არხზე

## გიორგი დევდარიანი:
# ვალდებული ვართ, ხალხი გავახაროთ

**დღეს 8 აგვისტოა და ამ თარიღზე, რა თქმა უნდა, ყველას რუსეთ-საქართველოს ომი გვახსენდება. 2008 წელს რუსები გორს ბომბავდნენ, დღეს კი ამ ქალაქის გუნდი საერთაშორისო სარბიელზეა გასული, ხორვატულ „ჰაიდუკს" თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ეთამაშება და მომდევნო ეტაპზე გასვლის რიგიანი შანსიც აქვს. წესით, დღეს სტადიონზე ბევრი ხალხი უნდა მივიდეს. მანამდე კი...**

გუშინ ორივე გუნდმა „მიხეილ მესხზე" ივარჯიშა. იქვე ვნახეთ **ივო შუშაკიც**, „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი, ხორვატი, რომელმაც საქართველოში კარგი ადამიანის სახელი დაიდო. „ჰაიდუკს" ჩამოჰყვნენ ხორვატი ჟურნალისტები, გულშემატკივრებმა კი თბილისში მგზავრობა და „ჰაიდუკის" გამხნევება არ მოისურვეს, ალბათ იმიტომ, რომ ამ დაპირისპირების პირველი მატჩის შედეგით ძალზე განბილებულები დარჩნენ.

„მიხეილ მესხის" სტადიონს ჯერ „დილას" ავტობუსი მოადგა. გუნდის განწყობა კარგი უნდა იყოს, „დილას" მწვრთნელსა და ფეხბურთელებს ხალისი ეტყობოდათ.

საპრესკონფერენციო დარბაზში „დილას" მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** და კაპიტანი **ირაკლი მოდებაძე** შემოვიდნენ. ჯერ დევდარიანს ვკითხეთ:

**- „ჰაიდუკი"-„დილას" მატჩი ცივი გონებით რომ გააანალიზეთ, რა პრობლემები აღმოაჩინეთ საკუთარ გუნდში?**

- პრობლემა ბევრია და ამაში გასაკვირიც არაფერია, ეს გუნდი ორი თვეც არ არის, რაც შეიკრა. ყველა პრობლემაზე რომ ვისაუბროთ, ეს შორს წაგვიყვანს და ამის დროც ახლა ნამდვილად არ გვაქვს. რა თქმა უნდა, პრობლემები იყო და ყველა ხარვეზი ერთ თამაშში ვერ გამოსწორდება. ვეცდებით, რომ გარკვეული პრობლემები გადავჭრათ, სისუსტეები თამაშიდან თამაშამდე უნდა გამოვასწოროთ.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ თამაშს არ გახსნით. მაინც როგორ აპირებთ „ჰაიდუკთან" თამაშს?**

- სტრატეგია იგივე იქნება, რაც „ჰაიდუკთან" პირველ შეხვედრაში იყო. ჩვენ არსად არ გვეჩქარება, მოწინაალმდეგე უნდა ვაიძულოთ, რომ გახსნას თამაში და მოთმინებით დაველოდოთ ისეთ შესაძლებლობას, როცა სწრაფ კონტრშეტევას განვახორციელებთ.

**- დისკვალიფიცირებული ოთარ ხიზანეიშვილის ადგილს ალექსანდრე კვახაძე დაიკავებს?**

- კი, ასე იქნება.

**- ხიზანეიშვილმა სპლიტში ორი გაფრთხილება მიიღო და გააძევეს. მის საქციელს ღალატს დაარქმევდით?**

- ეს სხვა ფეხბურთელს რომ გაეკეთებინა, მართლა ღალატს დავარქმევდი, მაგრამ ხიზანეიშვილს კარგად ვიცნობ, ვიცი, რა პიროვნებაცაა, ალბათ ყველამ შეამჩნიეთ, თუ როგორ განიცადა ეს ყველაფერი. როგორც უნდა იყოს, ასეთ გამოცდილ მოთამაშეს ასეთი რამ არ უნდა მოსვლოდა.

**- გულშემატკივრის ფაქტორზე რას იტყოდით? თქვენ ხომ ფრთხილ თამაშს აპირებთ...**

- გულშემატკივარს ერთხელაც ვთხოვ, მომთმენი იყოს. გუნდის გაურკვეველ მოქმედებებს დაგეგმილის შესრულება სჯობია. ირაკლი მოდებაძე არ იყო სასტარტოში „ჰაიდუკთან" პირველ შეხვედრაში, ვერ ითამაშა სტუმრად „ოლბორგთან". მისი არყოფნა დიდი დანაკლისი იყო ჩვენთვის და ერთ-ერთი მიზეზი იმისი, რომ სპლიტში ჩაკეტილი ფეხბურთი ვითამაშეთ. მოდებაძეს შეუძლია პირველი ბურთის მიღება, გუნდის ამოყვანა და არა მხოლოდ ეს. ტრავმის შემდეგ ის ახლა სრულ მზადყოფნაშია და ძალიან გვინდა, რომ მთელი 90 წუთი ნაყოფიერად იმუშაოს. ეს თამაში მხოლოდ „დილა"-„ჰაიდუკის" დაპირისპირება არ არის, 8 აგვისტო საქართველოსა და გორისთვის მძიმე დღეა და ვალდებული ვართ, პატარა სიხარული ვაჩუქოთ ხალხს. ამ ყველაფერს კარგად ვაცნობიერებთ.


თამუნა ... ლუმბეგაშვილის ფოტოები

**ირაკლი მოდებაძე:** - პირველი მატჩი კი მოვიგეთ, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ყველაფერს გავაკეთებთ წარმატების მისაღწევად. ბიჭებმა ხორვატიაში ყველაფერი ილონეს და თბილისშიც ასე იქნება. რაც უფრო მეტი ხალხი მოვა სტადიონზე, მით უკეთესი ჩვენთვის.

„ჰაიდუკთან" „დილას" განაცხადში არ იქნება **რატი ალექსიძე**, რომელის შეხვედრას ტრავმის გამო გამოტოვებს.

### ტუდორს ინგლისური არა, მაგრამ ჭკუა ფეხბურთით უნდა ვასწავლოთ

პრესკონფერენციის მერე „დილას" მწვრთნელ-ფეხბურთელები მოედანზე გავიდნენ, ვარჯიში დამთავრებული არ ჰქონდათ, როცა საპრესკონფერენციო დარბაზში „ჰაიდუკის" მწვრთნელი, ერთ დროს „იუვენტუსის" მცველი **იგორ ტუდორი** რომ შემოვიდა, მას გუნდის კაპიტანი **მარიო მალოკაც** ახლდა.

პირველი კითხვა ტუდორს ხორვატმა ჟურნალისტმა დაუსვა - რამდენად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი „დილასთან" მეორე მატჩისთვისო?

*„განწყობა ძალიან ოპტიმისტურია. „დილასთან" პირველი მატჩის შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნებოდით, მაგრამ ეს ფეხბურთია და ყველაფრის შეცვლა შეიძლება. სპლიტში წავაგეთ, თუმცა ვფიქრობ, „ჰაიდუკმა" მეტოქეზე უკეთესი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა".*

ტუდორისთვის კითხვების დასმა ქართველ ჟურნალისტებსაც გვსურდა, თუმცა ინგლისურად მოლაპარაკე ხორვატმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა - ხორვატულიდან თუ არ თარგმნით, კითხვებზე არ გიპასუხებთო, მე რა ვიცი, ზუსტად მიაწვდით თუ არა მკითხველს ჩემს ნათქვამსო...

ხორვატულიდან ქართულად მთარგმნელი დარბაზში არავინ იყო და ტუდორმაც დარბაზი დატოვა...

**დავით თავართქილაძე**


ივო შუშაკს საქართველო არ ავიწყდება



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# დვალიშვილი ლიგას უახლოვდება, გოგუას გააქვს

გუშინ ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „ლეგიამ" ნორვეგიული „მოლდე" მიიღო და უგოლო ფრეს დასჯერდა. თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ვარშავულ კლუბს პლეი-ოფში თამაშის უფლება მოეპოვებინა, რადგან პირველი მატჩი სტუმრად 1:1 ჰქონდა ნათამაშები. საგარეო გოლის ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ნორვეგიულ დაპირისპირებაში ეს გოლი **ლადო დვალიშვილმა** გაიტანა, ისიც ვთქვათ, რომ „ლეგიას" წინსვლაში ქართველს ლომის წილი უდევს. დვალიშვილი გუშინ სასტარტო შემადგენლობაში იყო და აქტიურობდა კიდეც, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წუთები „მოლდემ" 10 კაცით გაატარა, ამით ვერც მან ისარგებლა და ვერ მისმა თანაგუნდელებმა.

გუშინ რუსეთის ჩემპიონატის I დივიზიონში VII ტურის მატჩებიც გაიმართა. ჩვენების „სკა ენერგიამ" „სიბირს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო. მიმდინარე სეზონში ეს ხაბაროვსკელთა პირველი საშინაო გამარჯვებაა. მე-13 წუთზე ანგარიში **გოგიტა გოგუას** პენალტით გაიხსნა. მოგვიანებით, „სიბირმა" ბალანსი აღადგინა, თუმცა ტაიმის მიწურულს ვალდას ივანაუსკასის გუნდი კიდევ ერთხელ დაწინაურდა.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნახევარში „სკა ენერგია" ბევრს უტევდა და საგოლე მომენტებიც მრავლად ჰქონდა, ანგარიში აღარ შეცვლილა. გოგუაზე უკვე ვთქვით. გოლის გარდა, მან ყვითელი ბარათიც მიიღო, 85-ე წუთზე კი შეცვალეს. მისგან განსხვავებით, „სკა ენერგიას" მეორე ქართველი **გიორგი ნავალოვსკიმ** მოედანს ბოლომდე შემორჩა.

ნალჩიკის „სპარტაკმა" სტუმრად „ენისეისთან" წააგო - 0:1. სტუმართა ქართველი ფორვარდი **დავით სირაძე** თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო. თუმცა თავისიანებს ვერაფრით შეეწია. მატჩის შემდეგ ნალჩიკელთა მწვრთნელმა **ტიმურ შიპშევმა** დაიჩივლა - ამდენ საგოლე მომენტს რომ ვერ გამოიყენებ, როგორღა უნდა მოიგოო?! როგორც ონლაინრეპორტაჟიდან ჩანს, სირაძეს ასეთი საგოლე შანსი არ მისცემია, მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე ნახევარი საათი დაჰყო.

**გიორგი გელაშვილი**

# ხუბუტიას პრობლემა

საქართველოს ეროვნული ნაკრები 14 აგვისტოს ყაზახეთის ეროვნულ გუნდს ამხანაგურ შეხვედრაში სტუმრად ეთამაშება. **თემურ ქეცბაიამ**, სხვათა გარდა, ამ მატჩისთვის რუსული „მორდოვიას" მცველი **აკაკი ხუბუტიაც** გამოიძახა, თუმცა ხუბუტია ყაზახეთში ვერ ჩავა. სარანსკული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.fc-mordovia.ru) ხუბუტიას კომენტარია, რომელშიც ქართველი მცველი ამბობს, რომ ნაკრების მწვრთნელისა და ფეხბურთის ფედერაციის მადლობელია, რაკი გაგებით მოეკიდნენ მის მდგომარეობას. მისივე თქმით, რუსეთის დატოვების და ყაზახეთში გამგზავრების შემთხვევაში, რუსეთის ვიზის ხელახლა ასაღებად საქართველოში უნდა ჩამოსულიყო, ხოლო მთელი ეს პროცედურა სექტემბრამდე გაიწელებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლუბში რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუწევდა.

„მალე ახალ ვიზას ავიღებ და ასეთი პრობლემები აღარ მექნება", - ამბობს ხუბუტია „მორდოვიას" ვებგვერდთან კომენტარში.

**დავით თავართქილაძე**

ქართული კლუბები ევროტურნირებზე

# სასურველი შედეგის მოლოდინი

### საჩვენო სტატისტიკა

...ყველას გული დაგვწყდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ქართულ გუნდს წლეულსაც რომ ვერ ვიხილავთ; თუმცა, ისევე როგორც შარშან თუ შარშანწინ, სულ მცირე, აგვისტოს ბოლომდე ქართული გუნდ(ებ)ისათვის ევროტურნირები კვლავაც გრძელდება! შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ესპანელი სპეციალისტის, **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე თბილისის „დინამომ" ევროპალიგის სამი საწყისი ეტაპი წარმატებით გაიარა და პლეი ოფამდე მიაღწია, სადაც ბერძნულ აეკ-თან ორრაუნდიან დაპირისპირებაში ცოტაღა დააკლდა, თორემ კლუბის ისტორიაში მეორედ მოხვდებოდა ამ გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე. შარშანაც გვქონდა ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი, მაგრამ პლეი ოფში გორის „დილამ" ორივე მატჩი წააგო არცთუ სახელიან, მაგრამ საკმაოდ ორგანიზებულ პორტუგალიურ „მარიტიმუსთან". „დილა" დღეს ჩაატარებს ევროპალიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრას და ხორვატულ „ჰაიდუკთან" პირველ მატჩში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნების შემთხვევაში, ზედიზედ მეორედ ისპარეზებს პლეი ოფში!

მოვლენების ასეთი განვითარება კი მართლაც არ იქნება პატარა ამბავი: პირველად ქართული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში, ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი ერთდროულად ორ ქართულ გუნდს ექნება! ოღონდ, თბილისის „დინამოსგან" განსხვავებით, „დილას" ჯერ დღევანდელი მატჩის თავისთვის სასურველი შედეგით დამთავრება ესაჭიროება; ჰოდა, იმედი დავიტოვოთ, რომ ახალი მწვრთნელის, **გიორგი დევდარიანის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დილა" არ დაარღვევს წლევანდელი ევროტურნირების „ტრადიციას" და საკუთარ კარს კვლავაც მშრალად შეინახავს! ვფიქრობთ,

ბევრი მარჩიელობა არ სჭირდება იმას, თუ რა ტაქტიკა-სტრატეგიას აირჩევს „ჰაიდუკის" მთავარი მწვრთნელი, ახლო წარსულში ხორვატიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი **იგორ ტუდორი**: ჩვენს სტუმრებს ხომ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებათ და ამ შემთხვევაში ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩვენი გუნდის უკანახაზელთა, განსაკუთრებით კი, მეკარის უშეცდომო თამაშზე.

შეგახსენებთ, რომ „დილასა" და საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილი** მართლაც ზღაპრულ ფორმაშია და დანიურ „ოლბორგთან" (ორივე მატჩში) თუ „ჰაიდუკთან" (პირველ შეხვედრაში) ისეთი ბურთები აიღო, მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი კლასის მეკარეებს რომ სჩვევიათ. თანაც, სტატისტიკაც „ჩვენს მხარესაა": ევროტურნირებზე ასპარეზობისას მხოლოდ სამჯერ მოხდა, როცა სტუმრად ჩატარებულ პირველ მატჩში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საპასუხო შეხვედრაში ქართული გუნდი შინ დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა...

### ინტერი, ვესტ ჰემი...

...ევროტურნირებზე სტუმრად პირველი გამარჯვებიდან... 36 წელიწადი გასულა! თანაც, იმასაც ხომ გააჩნია, რა გუნდის დამარცხება შეძლო თბილისის „დინამომ": 1977 წლის 14 სექტემბერს, მილანის „ჯუზეპე მეაცას" სახელობის სტადიონზე (იმ დროს „სტადიო კომუნალე" ერქვა - გ. ტ.), **ნოდარ ახალკაცის** დამოძღვრილმა „დინამომ" 1:0 მოუგო მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს, მილანის „ინტერს"! ის ერთადერთი გოლი კი ყველა დროის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ვარსკვლავმა, **დავით ყიფიანმა** გაიტანა, როცა „ინტერისა" და საერთოდ, იტალიური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას **ჯაჩინტო ფაკეტის** ბურთი ოსტატურად „მოჰპარა", მერე წინ დაიძრა და მეტოქის საჯარიმოში შესულმა, ზუსტი და ძლიერი დარტყმით მეკარე **ივან ბორდონს** შანსი არ დაუტოვა.

საპასუხო მატჩი, გადაჭედილ „დინამოს" სტადიონზე რომ ჩატარდა, 0:0 დამთავრდა და ჩვენი გუნდიც უეფას თასის 1/16-ფინალში გავიდა. სხვათა შორის, მილანური მატჩის შემდეგ „ინტერისა" და იტალიის ნაკრების ლეგენდარულმა კაპიტანმა ფაკეტიმ... საფეხბურთო კარიერა დაასრულა!..

იმ მართლაც დიდი „დინამოს" „ევრომონაგარს" ვიხსენებთ და ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს სახელით გამოვიდოდა, ჩვენმა უპირველესმა გუნდმა კიდევ ოთხჯერ შეძლო პირველ მატჩში სტუმრად გამარჯვება და ოთხივე შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გავიდა. აი, „ინტერთან" ტრიუმფული მოგების შემდეგ, 1/16 ფინალშიც პირველი შეხვედრის გამართვამ სტუმრად მოუწია „დინამოს" და დანიურ „ბკ კოპენჰაგენს" უპრობლემოდ მოუგო - 4:1 (**ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, რევაზ ჩელებაძე, რამაზ შენგელია**). თბილისში ჩატარებული საპასუხო შეხვედრა ფორმალობად იქცა და დინამოელებს რომ მოენდომებინათ, ალბათ, სარეკორდო ანგარიშითაც მოიგებდნენ, მაგრამ მხოლოდ 2:0-ს დასჯერდნენ (**რევაზ ჩელებაძემ** „დუბლი" შეასრულა).

მომდევნო შემთხვევა ჩვენთვის ყველაზე წარმატებულ სეზონში (1980-81) იყო: **რამაზ შენგელიას** ერთადერთი გოლით სტუმრად ირლანდიური „უოტერფორდი" დავამარცხეთ, თბილისში კი უპრობლემოდ გავიმარჯვეთ - 4:0 (**ვიტალი დარასელია - 2, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი ჭილაია**). ეს იყო თასების მფლობელთა თასის 1/8 ფინალი და ამ წარმატების მერე თბილისის „დინამო" კლუბის ისტორიაში პირველად გავიდა ევროტურნირების მეოთხედფინალში, სადაც მეტოქედ ინგლისური „ვესტ ჰემ იუნაიტედი" შეხვდა. 1981 წლის 4 მარტს, ლონდონის „აპტონ პარკზე" ჩატარებული ის მატჩი თბილისის „დინამოს" 88-წლიან ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთ საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ! ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო, რომ დღევანდელმა თაობამ ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი რაც შეიძლება ხშირად ნახოს.

ჰო, ნახავენ და ძალიან ადვილად დარწმუნდებიან, თუ რა დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ იმდროინდელ „დინამოში" და რა კომბინაციებით თუ რა სილამაზის გოლებით გააოგნეს ლონდონელი გულშემატკივრები! იმ მატჩში „ვესტ ჰემის" მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს **რამაზ შენგელიას** („დუბლი") და **ვლადიმერ გუცაევს** (გოლი); **დავით ყიფიანის** თამაშით აღფრთოვანებული ინგლისელი ჟურნალისტები სახოტბო სიტყვებს ეძებდნენ, ჩვენმა კაპიტანმა **ალექსანდრე ჩივაძემ** ხომ ისეთი გოლი გაიტანა, სიტყვებით ძნელი აღსაწერია, - საერთოდაც, მთელმა გუნდმა ზღაპრულად ითამაშა, მათ შორის ყველასათვის უცნობმა ზაურ სვანაძემ, თბილისის „დინამოში"... სადებიუტო შეხვედრას რომ ატარებდა! ის მატჩი 4:1 მოვიგეთ, საპასუხო შეხვედრა კი ფორმალობად იქცა და დიდად არავის დაგვწყვეტია გული, თბილისში 0:1 რომ წავაგეთ...

ბოლო შემთხვევა კი 1987 წელს იყო, როცა თბილისის „დინამომ" სტუმრად რუმინულ „ვიქტორიას" 2:1 (გოლები: **სოსო ჭედია, რამაზ შენგელია**) მოუგო, შინ 0:0 ითამაშა და უეფას თასის მერვედფინალში გავიდა. ეს იყო საბჭოთა კავშირის სახელით მოასპარეზე თბილისის „დინამოს" უკანასკნელი მონაწილეობა ევროტურნირებზე...

### მუმუ და ობილიჩი

დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოასპარეზე ჩვენი გუნდებიდან სტუმრად პირველი გამარჯვება ბათუმის „დინამომ" მოიპოვა: 1995 წელს, თასების მფლობელთა თასის წინასწარ წრეში, ევროტურნირების დებიუტანტმა ბათუმის „დინამომ" სტუმრად 1:0 მოუგო სერბეთის „ობილიჩს" (გოლი: **პაატა მაჭუტაძე**). და აი, 1995 წლის 24 აგვისტოს ბათუმის მართლაც მშვენიერ სტადიონზე შეკრებილი უამრავი გულშემატკივარი დიდი ზეიმის მოლოდინში იყო: მათი საყვარელი გუნდი ხომ ევროტურნირების სადებიუტო მატჩს ატარებდა მშობლიურ ქალაქში.

სტუმრად მოგების შემდეგ ვინ წარმოიდგენდა, რომ საპასუხო შეხვედრაში ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა: „ობილიჩი" 33-ე წუთისათვის 2:0-ს იგებდა! ჰო, ეს მართლაც შოკი იყო, თუმცა, ბათუმელთა გამოცდილმა თავკაცმა **ვალერიან ჩხარტიშვილმა** შესვენების შემდეგ ორი გონივრული შეცვლა გააკეთა და ამ სვლამ 100-პროცენტით გაამართლა! შეცვლაზე შემოსული ახალგაზრდა ფლანგის ნახევარმცველები **ავთანდილ ღლონტი** (მარჯვნიდან) და **ამირან მუჯირი** (მარცხნიდან) თამაშში აქტიურად ჩაერთნენ; განსაკუთრებით კი მუჯირის შთამბეჭდავი თამაშია აღსანიშნავი, - მეტოქის ფეხბურთელები ვერაფერს უხერხებდნენ „მუმუს" საფირმო დრიბლინგებსა თუ შორეულ დარტყმებს.

ასეთმა აგრესიულმა თამაშმა შედეგი მალე გამოიღო და 59-ე წუთზე მატჩის კიდევ ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა **პაატა მაჭუტაძემ** ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თუმცა, ეს მაინც არ იყო საკმარისი და სწორედ იმ მატჩში ვნახეთ მართლაც არნახული ქომაგობა: გულშემატკივრებისგან შეგულიანებულმა „დინამოელებმა" კი მეტოქეს შტურმი მოუწყვეს და მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე პენალტით ანგარიში გაათანაბრეს!


ამირან მუჯირს გააქვს პენალტი ობილიჩის კარში
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

იმის მიუხედავად, რომ იმდროინდელ „დინამოში" არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი ასპარეზობდა, პენალტის შესრულება 21 წლის ამირან მუჯირმა ითავა და ალბათ, სამართლიანიც იყო, იმ შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი გოლს რომ იმსახურებდა! იმედია, იმის შეხსენება არ გჭირდებათ, 39 წლის ამირან მუჯირი დღესაც რომ ბათუმის „დინამოში" აგრძელებს თავის ხანგრძლივ საფეხბურთო კარიერას...

### სამი უცნაური ამბავი

ახლა კი ის სამი უსიამოვნო შემთხვევაც გავიხსენოთ, პირველ მატჩში სტუმრად მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ჩვენი გუნდები საპასუხოში, ცოტა არ იყოს, სკანდალურად რომ დამარცხებულან და გათამაშებასაც გამოთიშვიან...

...1995-96 წლების სეზონში ზესტაფონის „მარგვეთმა" ყველასათვის მოულოდნელად, საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და უეფას თასის საგზურიც მოიპოვა! იმ სეზონის მართლაც დრამატულ ფინიშზე „მარგვეთმა" ბოლო ტურში შეძლო „სამტრედიის," ფოთის „კოლხეთისა" და რუსთავის „მეტალურგის" კონკურენციის დაძლევა და ეს წარმატება, უპირველეს ყოვლისა, კლუბის პრეზიდენტის, **ვასილ ხაჭაპურიძისა** და გუნდის მთავარი მწვრთნელის **ზაურ ჩუბინიძის** დიდი დამსახურება იყო. ალარაფერს ვამბობთ გამოცდილ ფეხბურთელებზეც: მეკარე **ვეფხია გვენცაძე**, მცველ **ზაზა გურიელიძეზე**, შემტევ ნახევარმცველ **ნოდარ კიკნაძესა** და თავდამსხმელ **ზვიად ენდელაძეზე**. ეს უკანასკნელი საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა მართლაც შთამბეჭდავი შედეგით - 40 გოლი!

ევროტურნირების დებიუტანტ „მარგვეთს" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთობ სუსტი მეტოქე შეხვდა: მალტის „შლიემა" და ზესტაფონელებმაც პირველ მატჩში სტუმრად გამარჯვება უპრობლემოდ მოიპოვეს - 3:1 (გოლები: **მალხაზ ღონღაძე, ზვიად ენდელაძე, მიხეილ უკლება**). საპასუხო მატჩისათვის ზესტაფონში დიდი მზადება იყო: ლამის ყოველ მეორე ოჯახში საზეიმო სუფრა იშლებოდა ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად. ჰო, როგორი საქმეა, ზესტაფონში ევროტურნირების სადებიუტო მატჩის ჩატარება, თანაც, როცა იცი, რომ, ფაქტობრივად, მომდევნო წრეში ხარ გასული. სამწუხაროდ, საპასუხო მატჩი სტუმრებმა თავისთვის სასურველი ანგარიშით (2:0) მოიგეს და „მარგვეთიც" ასპარეზობას გამოეთიშა...

...1998 წელს, ინტერტოტოს თასის II საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედომ" **ზაზა ვაჩიბერაძის** ერთადერთი გოლის წყალობით ბელგიურ „ლომელს" სტუმრად სძლია; თუმცა, „მარგვეთი"-„შლიემას" მსგავსად, საპასუხო შეხვედრა ამ შემთხვევაშიც „უცნაური სცენარით" წარიმართა და ბელგიელებმა 2:1 გაიმარჯვეს („ტორპედოდან" ერთადერთი გოლი **კახა კვეტენაძემ** გაიტანა).

ბოლო შემთხვევა კი, 2005 წელს მოხდა, როცა უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივმა" სტუმრად მოუგო სომხურ „ბანანცს" 3:2 (გოლები: **გიორგი ალავერდაშვილი, გიორგი ონიანი, ლაშა ქებაძე**); თუმცა, საპასუხო შეხვედრაში ქართულმა გუნდმა, ყველასათვის მოულოდნელად, თბილისში 0:2 წააგო...

**გია ტუხაშვილი**

### სასიამოვნო ჩამონათვალი

1995 წლიდან მოყოლებული დღემდე ჩატარებული ყველა ის დაპირისპირებები გვინდა შემოგთავაზოთ, ქართულმა გუნდებმა ევროტურნირებზე პირველი მატჩი სტუმრად გამარჯვებით რომ დაამთავრეს და საპასუხოშიც რომ უყოჩაღიათ.

**1996 წელი. უეფას თასი. 1/32 ფინალი.**

ტორპედო (მოსკოვი) - დინამო (თბილისი) 0:1 (გოლი: გოჩა ჯამარაული), 1:1 (გოჩა ჯამარაული);

**1997 წელი. ჩემპიონთა ლიგის I საკვალიფიკაციო ეტაპი**

კრუზეიდერსი (ჩრ. ირლანდია) - დინამო (თბილისი) 1:3 (გიორგი კიკნაძე, კახა გოგიჩაიშვილი, დავით მუჯირი), 1:5 (ალექსანდრე იაშვილი - 2, დავით მუჯირი - 2, ლევან ხომერიკი);

**1999 წელი. უეფას თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი.**

ლანტანა (ესტონეთი) - ტორპედო (ქუთაისი) 0:5 (ვახტანგ ხვადაგიანი, დავით ჯანაშია, კახა ჩხეტიანი, ზურაბ იონანიძე, გიორგი მეგრელაძე), 2:4 (გიორგი მეგრელაძე - 3, ზურაბ იონანიძე);

**2004 წელი. უეფას თასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ბატე (ბელარუსი) - დინამო (თბილისი) 2:3 (მიხეილ კაკალაძე, ბორის გონჩაროვი, სეზარ რომერო), 0:1 (დავით კვირკველია);

**2005 წელი. ინტერტოტოს თასი. I ეტაპი**

კილიკია (სომხეთი) - დინამო (თბილისი) 1:5 (ჯაბა დვალი - 2, მიხეილ ხუციშვილი, მიხეილ ბობოხიძე, ტორნინი), 0:3 (შოთა გრიგალაშვილი, დავით გიგაური, სანდრო იაშვილი);

**2009 წელი. ევროპალიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლისბერნი (ჩრ. ირლანდია) - ზესტაფონი 1:5 (ნიკოლოზ გელაშვილი - 2, შოთა გრიგალაშვილი - 2, თორნიკე აფციაური), 0:6 (ჯაბა დვალი - 3, ალექსი ბენაშვილი - 2, ნიკოლოზ გელაშვილი);

**2010 წელი. ევროპალიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი**

გეფლე (შვედეთი) - დინამო (თბილისი) 1:2 (მათე ვაწაძე, ლევან ხმალაძე), 1:2 (მათე ვაწაძე, ნიკა ფირცხალავა)

**2011 წელი. ევროპალიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ბანანცი (სომხეთი) - მეტალურგი (რუსთავი) 0:1 (ირაკლი ქობალია), 1:1 (გიორგი მიქაბერიძე)

**2011 წელი. ევროპალიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი**

რეიკიავიკი (ისლანდია) - დინამო (თბილისი) 1:4 (გიორგი კახელიშვილი, ჩისკო, იაგუე, ირაკლი ლექვთაძე), 0:2 (იაგუე, გიორგი კახელიშვილი);

**2012 წელი. ევროპალიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტეუტა (ალბანეთი) - მეტალურგი (რუსთავი) 0:3 (გივი კვარაცხელია - 2, დიმიტრი ტატანაშვილი), 1:6 (გიორგი თექთურმანიძე - 2, დიმიტრი ტატანაშვილი - 2, გიორგი მიქაბერიძე, რევაზ გეწაძე);

**2012 წელი. ევროპალიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი**

ორჰუსი (დანია) - დილა (გორი) 1:2 (მათე ვაწაძე, კახა ალადაშვილი), 1:3 (მათე ვაწაძე - 2, გიორგი შაშიაშვილი);

**2013 წელი. ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპი**

ჰაიდუკი (ხორვატია) - დილა (გორი) 0:1 (გიორგი ილურიძე), ?:? (საპასუხო მატჩი დღეს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კონფლიქტი

# გურია იშლება

## შვიდეული წავიდა, დარჩენილები ჯერ ელოდებიან...

როგორც ჩანს, ლანჩხუთის გამგებელი **ზაზა ურუშაძე** „გურიის“ გადარჩენას ველარ ახერხებს - ოთხშაბათს კლუბი წამყვანმა შვიდეულმა დატოვა და დიდი შანსია, მათ დარჩენილებმაც მიჰბაძონ, თუ მოთხოვნები ისევ უგულებელყოფილი იქნება. ურუშაძე მძიმე დღეშია - მან და მაჟორიტარმა დეპუტატმა **თემურ ჩხაიძემ** ჯერ კიდევ თვეების წინათ დააანონსეს, რომ „გურია“ მაჩანჩალა არ იქნებოდა. ახლა კი საქმე ისე წავიდა, კლუბმა, შესაძლოა, ჩემპიონატი ვერც დაიწყოს. უკეთეს შემთხვევაში, გახსნის მატჩი შეიძლება დუბლშემადგენლობამ ითამაშოს, თუმცა შემდეგ რა იქნება, არავინ იცის...

ყველაფრის თავიდათავი ფინანსებია. ბევრს ეცადა გამგებელი, მაგრამ ფულის მოძიება ვერ შეძლო. ალბათ, მცდელობას არც ჩხაიძე დააკლებდა, თუმცა „გურიის“ ლეგენდარული კაპიტანი საჯაროდ აფიქსირებს, რომ ფეხბურთში „არ ერევა“ (?! - რედ.). საბოლოოდ კი, ორივემ კარგად უწყის, რომ „გურიის“ პრობლემები ძირითადად მათ „დაარტყამს“.

არადა, გამგებელს ფინანსების მოძიების იმედი ნამდვილად ჰქონდა. სხვა შემთხვევაში, ის ასეთ სარისკო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. თან იმ ფონზე, როცა ის გუნდი, რომელმაც „გურია“ უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა, ექვსეულის და, პლუს ამას, საწყის ორ თვეში, ფეხბურთელების უხელფასოდ გაჩერების გარანტიას დებდა. წესით, გამგებელს ეს შეთავაზება უნდა მიეღო, მაგრამ როგორც ამბობენ, საქმეში პოლიტიკა და ინტრიგები „ჩაერთო“, რამაც საბოლოოდ „გურიის“ ინტერესები დააზარალა.



სევასტი თოდუა (მარცხნივ)

ფოტო: www.fcdinamo.ge

დღეს ისეა საქმე, გამოსავალიც არ ჩანს. ჩვენ ექსკლუზიურად ვწერდით, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ „გურიის“ გრიგოლეთის ბაზაზე ფეხბურთელებმა ბუნტი მოაწყვეს. მაშინ არ გავახმაურეთ ის მწვავე საუბარი, რაც მათ გამგებელთან ჰქონდათ. ამით ვეცადეთ, კლუბში დაპირისპირება აგვეცილებინა, რაც აქეთ შემოგვიბრუნდა - ლამის ჩვენ დაგვბრალდა, თითქოს არანაირი ბუნტი არ ყოფილა და გავაბუქეთ. თუმცა ჭირმა თავი არ დამალა. მაშინ „გურიიდან“ ოთხეულის გაშვება იგეგმებოდა (გაფიცვის ორგანიზების ბრალდებით), თუმცა მთელი გუნდის სოლიდარობის შემდეგ, არავინ გაუშვიათ. ახლა კი კლუბი დატოვა წამყვანმა შვიდეულმა: **სევასტი თოდუამ, ედიკ საჯაიამ, ალექსანდრე ინწკირველმა, ზურაბ მენთეშაშვილმა, მიხეილ ალავიძემ, რევაზ გოცირიძემ და ზაალ ელიავამ.** ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რამხელა ძალა დააკლდა გუნდს.

როგორც ირკვევა, ფეხბურთელებს 2 000-ლარიან ხელფასს დაჰპირდნენ, თუმცა ბოლოს უთხრეს, რომ ეს იყო დარიცხული 2 000 და ხელზე 1 600 ლარს მიიღებდნენ. ამას გარდა, სევასტი თოდუა „გურიის“ ძველ შემადგენლობასთან ერთად დარჩენილ დავალიანებასაც ითხოვდა, რაშიც მას გვერდში ახალწვეულთა ზემოთ ნახსენები ექვსეულიც დაუდგა.

ამჟამად, „გურიაში“ მაინც რჩება ფეხბურთელთა ის კონტინგენტი, რომელსაც უმაღლეს ლიგაში თამაში ძალუძს, თუმცა პრობლემა ამ მხრივაცაა - ძველი დავალიანების დაფარვის გარეშე ისინი თამაშს არ აპირებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სეზონის გახსნამდე ორიოდე დღეა დარჩენილი, დიდი ალბათობით, „გურია“ „ვიტ ჯორჯიას“ მცხეთაში დუბლშემადგენლობით ესტუმრება, ოღონდ, თუ ამ ორ დღეში ძირითადის მოთამაშეები არ დაიყოლიეს, ანდა ფული გამოჩნდა. ამის შანსი კი მეტისმეტად დაბალია. კომენტარისთვის „გურიის“ ერთ-ერთ ლიდერს, სევასტი თოდუას დავუკავშირდით:

**- რა ხდება, რატომ დატოვეთ გუნდი?**

- ამდენი ხანია, რაც ფეხბურთში ვარ და ამდენი ტყუილი არ მომისმენია. სამი თვეა, სახლში ერთი თეთრი არ გამიგზავნია. ყველამ იცის, რომ „გურიაში“ ფულისთვის არ ვიყავი, არც ეს ბიჭები, მაგრამ ასეთ დამოკიდებულებას ვერ ავიტანდით. გადახედეთ, რა ხალხმა დატოვა გუნდი, რა დონეზე აქვთ ნათამაშები. ფულსაც არ ვითხოვდით უსაშველოს - უმაღლეს ლიგაში და თან ასეთი დონის მოთამაშეებისთვის 2 ათასი ლარი არც არაფერია. თავიდან დაგვპირდნენ და მერე 1 600 ლარიო, გვითხრეს. ექვსეულის პირობას ვიძლეოდით. ამათ რა უნდათ, ვერ გავიგე!

**- ამ დაკლებულ ხელფასზეც დათანხმდით?**

- არა, რას დავთანხმდით. ვაჭრობას ვერ დავუწყებდით, ბაზარში ხომ არ ვართ?! სამ დღეში ჩემპიონატი იწყება და ასე გვექცევიან! ძველი დავალიანებაც არ გაუსტუმრებიათ, ბიუჯეტი არ აქვთ. თუ საქმე არ იცოდნენ, რა უნდოდათ, ფეხბურთში რომ მოდიოდნენ?!

**- უთუოდ ეცდებოდით გარკვევას და რას გეუბნებიან?**

- რა უნდა გვითხრან? გამგებელი რომ კვირაში სამჯერ მოგატყუებს, იქ ყველაფერი დამთავრებულია! რაზე უნდა ილაპარაკო ამის შემდეგ?!

**- როგორც ვიცი, ფეხბურთელთა ნაწილი გამგებელს დღესაც (7 აგვისტოს - ავტ.) შეხვდა...**

- კი, შეხვდნენ. მე არ წავსულვარ, ამდენი ტყუილის მოსმენა ყელში ამოვიდა. იმასაც ვფიქრობ, რომ გამგებელს პროფესიონალი და საქმის გამკეთებელი ხალხი არ აწყობს, ის ხალხი, რომელიც სიმართლეს პირში ეტყვის. ბაზაზე რომ შეკრება იყო, მაშინ გამგებელს პირში მივახალე ყველაფერი და როგორც ჩანს, ბოლმა ჩაიდო გულში. 300 თუ 500 ლარს დაგირიგებთო, ძველი დავალიანების მოცემა არ უნდოდათ. ახალმოსული ბიჭები გვერდში დაგვიდგნენ. ვინც დარჩა, მათ თქვეს - თუ ძველი დავალიანება არ ჩაირიცხება, სათამაშოდ არ გავალთო. მათი გადასაწყვეტია.

**- რას აპირებთ?**

- რა უნდა ვქნათ, ჩემპიონატის დაწყებამდე 3 დღეა დარჩენილი, მაგრამ არ დავიკარგებით - ჩვენს თავს მივხედავთ. „გურიაზეც“ ძალიან მწყდება გული, ამათ ხელში რა ელის გუნდს, არ ვიცი. მთელი ლანჩხუთი უმაღლესი ლიგის მოლოდინშია და ასეთ „სიურპრიზს“ უწყობენ გულშემატკივრებს...

■ ■ ■

მასალის მომზადების შემდეგ ზაზა ურუშაძესთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ გამგებელს მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. მის პოზიციას, თუ სურვილიც ექნება, უახლოეს ნომერში აუცილებლად შემოგთავაზებთ.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

● თხოვნა „ლელოს“

**სასიამოვნოდ გაკვირვებული ვართ გორის საფეხბურთო კლუბ „დილას“ გამოსვლით ევროპალიგის მატჩებში. სამი მატჩი გუნდმა ისე ჩაატარა, გოლი არ მიუღია. ვამაყობთ გორელებით. ძალიან გთხოვთ, თუ ეს შესაძლებელია, იქნებ ვრცლად გაგვაცნოთ შიდაქართლელთა გუნდის ისტორია.**

გოგლა ტურაშვილი, გიგი ბუილიშვილი, ვახო ზარიძე
რუსთავი

*რედაქციისგან: დიახ, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, გამოვეხმაუროთ თქვენს თხოვნას, მით უფრო, რომ გორის „დილას“ ისტორია სხვა გულშემატკივრების ინტერესსაც დააკმაყოფილებს. გთავაზობთ მასალას სპორტის მკვლევარ **ზურაბ ჯავახაძის** ნაშრომიდან.*

# გორის დილა

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო № 183(14099)*

1964 წელს ასევე წარმატებით იასპარეზა რესპუბლიკურ სარბიელზე გორის მეორე საფეხბურთო კოლექტივმა - „ქართლმა“. გუნდმა მეორე ჯგუფში მოასპარეზე გუნდებს შორის მეორე საპატიო ადგილი დაიკავა, რაც გორის საფეხბურთო ცხოვრების ფართო აღიარება იყო.

1966 წლიდან გორის „დილა“ საკავშირო პირველობაზე ასპარეზობს B კლასის მეოთხე ზონის გუნდებს შორის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დებიუტანტმა წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე მდგარ ამოცანებს. მართალია, გუნდს არ ჰქონდა საკავშირო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება, მაგრამ იყო მონდომება, ერთგულება, საქმისადმი მამულიშვილური მიდგომა და სარეკორდო დროში გორის „დილა“ მოწინააღმდეგეებისათვის კერკეტი კაკალი გამოდგა.

მართალია, იმ წელს გორის „დილამ“ 20 გუნდს შორის მე-12 ადგილი დაიკავა, მაგრამ დებიუტანტისთვის ეს შედეგი ურიგო არ იყო. გორელებმა უკეთ იასპარეზეს 1967 წლის საკავშირო ჩემპიონატზე და საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს B კლასის კოლექტივები ყოველ გაზაფხულზე მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა შავგულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში. აღნიშნული გათამაშება სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო. 1968 წლის აღნიშნული პრიზის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზა გორის „დილამ“, რომელმაც საპატიო პრიზი დაიმსახურა. გადამწყვეტ მატჩში გორელები თბილისში ლანჩხუთის „გურიას“ შეხვდნენ. მატჩი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სამ ნოემბერს გაიმართა. გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო:

**დილა: თბილელაშვილი, ნასყიდაშვილი, კობიაშვილი, კოზინი, ვანიშვილი, მარლიშვილი, ჯორბენაძე, გელდიაშვილი, კაპანაძე, ბურჯანაძე, ივანოვი.**

**გურია: კაჭარავა, სანაძე, წილოსანი, ფილია, ქირია, შავდია, კოხრეიძე (მენთეშაშვილი), ჩხარტიშვილი, პერტენავა, ძიძიგური, სიხარულიძე (ნარიაშვილი).**

**მსაჯი: კ. ყრუაშვილი (თბილისი).**

იმის გამო, რომ აღნიშნული ტურნირი გაზაფხულზე ვერ ჩატარდა, გადატანილ იქნა გვიანი შემოდგომისთვის და მოხდა ისე, რომ ფინალში ის გუნდები აღმოჩნდნენ, რომლებსაც რსფსრ-ს მესამე და მეოთხე ზონებში საუკეთესო მიღწევები ჰქონდათ ჩვენს გუნდებს შორის - გორის „დილასა“ და ლანჩხუთის „გურიას“.

ფინალისტებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცეს, რომ ისინი შემთხვევით არ ყოფილან სხვა გუნდებზე წინ B კლასის საკავშირო გათამაშებაში და ერთმანეთის ღირსეული მეტოქეები იყვნენ ვეტერანის პრიზის პრეტენდენტების როლში. მსაჯის პირველი სასტვენიდან დასრულებამდე პაექრობას შეუპოვარი, სპორტულად საინტერესო ხასიათი ჰქონდა. გუნდები თამაშობდნენ მაღალ ტემპში. ტრიბუნებზე ხალხმრავალი ქომაგები აქტიურად უჭერდნენ მხარს ფეხბურთელებს.

საკმაოდ შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე გორელებმა მოიპოვეს. ისინი კარგად იყენებდნენ გამთამაშებელი ნახევარმცველის **ჯორბენაძის** ტაქტიკურად გააზრებულ თამაშს. ჯორბენაძეს ზუსტი გადაცემებით გაჰყავდა გარღვევაზე **კაპანაძე, ბურჯანაძე** და **ივანოვი**, ხოლო ხელსაყრელ მომენტში თვითონაც ზუსტად ურტყამდა კარში შორიდან. მეოცე წუთზე ივანოვმა დაკარგა გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა. ცოტა ხნის შემდეგ **კაჭარავამ** ბურჯანაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია.

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა 0:0. მეორე ნახევარი კვლავ გორელების უპირატესობით აღინიშნა და ერთ მომენტში **გელდიაშვილმა** შეძლო, აელო კაჭარავას კარი. გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა აღნიშნულ მატჩში. საპატიო თასი გორის „დილამ“ დაისაკუთრა.

გორელებმა ასევე წარმატებით იასპარეზეს 1969 წლის სპორტულ სეზონში. საკავშირო ჩემპიონატის ცხრილს B კლასის ამიერკავკასიის ზონის გუნდებს შორის თავიდანვე სათავეში ჩაუდგა „დილა“. და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე გუნდს ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია.

უშეღავათო ბრძოლებში გუნდი აგროვებდა ქულებს და, რაც მთავარია, ლამაზ შემტევ ფეხბურთს თამაშობდა, რასაც სიხარულით აღიქვამდნენ გუნდის გულშემატკივრები. გორელებმა ასევე წარმატებით იასპარეზეს ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში და მთელი 5 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე მყოფ ერევნის „ავტომობილისტს“.

ამ გამარჯვებით, დებულების თანახმად, გორის „დილამ“ მოიპოვა უფლება 1970 წლიდან ეასპარეზა საკავშირო პირველობაზე „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფში.

1971 წლის გორის „დილა“ სავიზიტო ბარათი ასეთი იყო: მეკარე - ა. კირვალიძე; დაცვა - თ. ჯავახიშვილი, მ. კობიაშვილი, რ. ამბრიაშვილი, ი. გლავაცკი, მ. რომელაშვილი, ა. ხოხობაშვილი; ნახევარდაცვა - ჯ. მარლიშვილი, ბაქრაძე, გ. ჩერედნიკოვი, შ. ახალაია; თავდასხმა - თ. ბურჯანაძე, ე. ბერეკაშვილი, თ. ბუზალაძე, ვ. კაპანაძე, გ. პაპიაშვილი.

მეორე ლიგის მეოთხე ზონის გუნდებს შორის წარმატებით აიღო სტარტი გორის „დილამ“. 17 მატჩის შემდეგ გუნდი საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ გუნდებს შორის იყო. შემდეგ კი დილას ველარ იცნობდით. მუქთად კარგავდა ქულებს როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგის მოედანზე. მოხდა ისე, რომ საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე 13 ტურით ადრე „დილა“ აუტსაიდერთა რიგებში აღმოჩნდა.



შემდეგ კი მოხდა საოცარი მეტამორფოზა. „დილამ“ წარმატებით ჩაატარა ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები და საბოლოოდ მე-6 ადგილი დაისაკუთრა. არადა, ჩემპიონატის ბოლომდე დარჩენილი 11 შეხვედრიდან 7 თამაში სტუმრად ჩასატარებული და 21 გუნდს შორის მე-19 ადგილზე იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ დაშლის პირამდე მისული გუნდს 22 ფეხბურთელისგან მხოლოდ 14 შემორჩა, გუნდიდან უკვე წასული იყო უფროსი მწვრთნელი. ვიცოდი, რომ ბევრი სიძნელე და დიდი გამოცდა მელოდა, მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა მამხნევებდა. ნუ შეუშინდები, ირწმუნე და სხვებიც დაარწმუნე. დაუძლეველი არაფერია-მეთქი. იმედის ნაპერწკალს ისიც მიღვივებდა, რომ მეორე მწვრთნელი ფუტკარივით მოფუსფუსე ყოფილი სტუდენტი, ფიზიკური აღზრდის სპეციალობის კურსდამთავრებული **გურამ გაბუნია**, მწვრთნელი **როლანდ ნასყიდაშვილი** და ფეხბურთელთა უმეტესობა ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ...

...ის, რაც „დილამ“ 1971 წლის შემოდგომაზე გააკეთა, გუნდის ისტორიის უბრწყინვალესი ფურცელია. ბოლო 11 შეხვედრიდან არც ერთი არ წაუგია და მე-19-დან მე-6 ადგილით დაამთავრა ის სეზონი.

შემდგომ წლებში საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილე გორის „დილა“ შორს იყო საპრიზო ადგილებისაგან. 1976 წელს გორელებმა კვლავ თავი გამოიჩინეს რესპუბლიკურ ტურნირზე, რომელიც ცნობილი იყო შოთა შავგულიძის პრიზის სახელწოდებით და მის დასასაკუთრებლად საქართველოდან მეორე ლიგაში მოასპარეზე გუნდები იბრძოდნენ. წარმატებით განვლეს გზა ფინალამდე გორის „დილას“ და ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა. 21 ნოემბერს გადამწყვეტ პაექრობაში საპატიო პრიზის მოსაპოვებლად გუნდებს თბილისის „დინამოს“ სტადიონმა უმასპინძლა. გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო:

**დილა-დინამო (ბთ) 3:0 (1:0).**

დილა: ბერიძე, ბუძიშვილი, მელაძე, ჭელიძე, თაყაძე, რევაზიშვილი, ბერიკაშვილი, მღებრიშვილი, ხუციშვილი, ბუზალაძე, ბაქრაძე.

დინამო: სურგულაძე (მამინაშვილი), წუწუნავა, ცინარიძე, კურცხალიძე, გიორგიადი (ვოლკოვი), კაკალაძე (დოლიძე), შელია, ბეჟანიძე, ოსაძე, გორგილაძე, ხახუდია (ბოხუა).

მსაჯი: თ. ფანიაშვილი (თბილისი).

ფინალურმა ბრძოლამ პირველივე წუთებიდან შეუპოვარი ხასიათი მიიღო. საერთო ინიციატივას ერთხანს, თითქოს ბათუმელები ფლობდნენ, რომლებსაც კარის აღების შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ „დილა“ ორგანიზებულად იცავდა კარს და სწრაფად, გრძელი გადაცემებით გადაჰყავდა თამაში მოპირდაპირე ნახევარზე, სადაც კონტრშეტევის დასამთავრებლად აქტიურად მოქმედებდნენ **ბუზალაძე, ხუციშვილი, ბაქრაძე.**

თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, ცოცხლად, მაღალ ტემპში. 23-ე წუთზე, ბათუმელთა ცენტრალურმა მცველმა **ცინარიძემ**, მოგერიების ნაცვლად ბურთი თავის მეკარეს მიაწოდა. ამ მომენტში **სურგულაძე** წინ იყო გამოსული და ვერ მოასწრო ხიფათის გაუვნე 1:0.

ამ გოლის გაქვითვას „დინამო“ კარგა ხანს ცდილობდა, მაგრამ გუნდს აკლდა სიზუსტე გადამწყვეტ სიტუაციებში კარში დასკვნითი დარტყმისას, ხოლო მას შემდეგ, რაც 56-ე წუთზე სურგულაძემ ვერ შესძლო **მელაძის** დარტყმის მოგერიება, ცხადი გახდა, რომ გორელები არ დათმობდნენ მონაპოვარს. გორელმა ფეხბურთელებმა (გუნდის უფროსი **ლ. ლოლაძე**, უფროსი მწვრთნელი **ე. ხუციშვილი**, მწვრთნელი **მ. კობიაშვილი**) დამსახურებულად მოიპოვეს საპატიო თასი (გაზ. ლელო“, 1976 წ. 22 ნოემბერი).

*გაგრძელება მომდევნო ნომერში*

● ანჟი

# ანჟი ხუხულასავით დაიშალა

## ამბიციური პროექტის დასასრული

ბოლოს ორი-სამი წლის განმავლობაში „ანჟის" სახელი სატრანსფერო ბაზარზე ქუხდა. რუსული პრემიერლიგის კლუბი უმაღლესი დონის მოთამაშეებსა და მწვრთნელებზე „ინევდა". ხანდახდან, მაგრამ მსგავსი გარიგებები ჩრდილოკავკასიელებს ნამდვილად გამოსდიოდათ. სხვა თუ არაფერი, „ანჟის" მიერ დაწესებულ სახელფასო ჭერს კიდევ დიდხანს არავინ შეეჭიდება. კლუბი სამუელ ეტოოს წელიწადში 20 მილიონ ევროს უხდის. ასეთი ანაზღაურებით კი ამერიკის საკალათბურთო და ბეისბოლის ლიგების ბევრი სუპერვარსკვლავიც კი ვერ დაიკვეხნის. მასალა „ანჟიში" მიმდინარე მოვლენებზე გუშინ BBC-ის რუსულმა წარმომადგენლობამ შემოგვთავაზა.

### სტრატეგიის ცვლილება

„ანჟის" მეპატრონე სულეიმან ქერიმოვმა ბიუჯეტის მკვეთრად შემცირება, სტრატეგიისა და განვითარების მიმართულების შეცვლა გადაწყვიტა. სამომავლოდ კლუბი აქცენტს აილებს საკუთარი აკადემიის აღზრდილებზე. „ძვირად ღირებული ფეხბურთელების ნაწილი წავა. კლუბის ბიუჯეტი წელიწადში 50-70 მილიონზე ჩამოვა. საკადრო პოლიტიკის კორექტირება მიმართული იქნება ხანგრძლივ პერსპექტივაზე, თუმცა არც ისე უნდა გავიგოთ, თითქოს ფეხბურთელთა მასობრივად გაყიდვას ვაპირებდეთ, როგორც ამას მასმედიის საშუალებები წერენ," - განაცხადა კლუბის მალალჩინოსანმა. გეტყვით, რომ 2012 წელს „ანჟის" ბიუჯეტი 180 მილიონი დოლარი იყო და ის ამ მაჩვენებლით



სულეიმან ქერიმოვი „ანჟიში" დიდი ფულის დახარჯვას აღარ აპირებს

რუსულ პრემიერლიგაში მხოლოდ „ზენიტს" ჩამორჩა. ცვლილება უკვე მოხდა სამწვრთნელო შტაბში: ალექს ფერგიუსონის ყოფილი თანაშემწე რენე მალენსტენი პოსტზე გაჯი გაჯიევმა შეცვალა.

### კონფლიქტი ფეხბურთელთა შორის

ქერიმოვმა „ანჟი" 2010 წლის ბოლოს იყიდა. 3 წლის განმავლობაში გუნდში მსოფლიო კლასის ვარსკვლავები მოვიდნენ. მათ შორის: **რობერტო კარლოსი, სამუელ ეტოო, ლასანა დიარა** და სხვები. რუსეთის ნაკრების ფეხბურთელები: **ჟირკოვი, გაბულოვი, დენისოვი, იონოვი, კოკორინი.** წინა კვირას ადგილობრივ ფეხბურთელებს ლეგიონერებთან სერიოზული კონფლიქტი მოუვიდათ. როგორც ირწმუნებიან, კლუბის პრეზიდენტმა ჩხუბის მოთავე დენისოვი პირადად გააგდო საწვრთნელი პროცესიდან. 2012/13-ის სეზონში „ანჟიმ" ჩემპიონატში მე-3 ადგილი დაიკავა, თასის ფინალში კი ცსკა-სთან დამარცხდა. „უნდა ვაღიაროთ, რომ შედეგის მაქსიმალურად სწრაფად მისაღებად გადადგმულმა ნაბიჯებმა არ გაამართლა. ამას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურებში," - წერია კლუბის განცხადებაში.

სულ ბოლოს კი „ანჟის" ყველაზე ძვირ ტრანსფერს გაგაცნობთ:

1. **ვილიანი** (შახტარი) - 30 მილიონი ევრო, 2. **სამუელ ეტოო** (ინტერი) - 22, 3. **იგორ დენისოვი** (ზენიტი) - 16, 4. **ლასინა ტრაორე** (ყუბანი) - 16, 5. **ალექსანდრ კოკორინი** (დინამო მ) - 15, 6. **ლასანა დიარა** (რეალი) 14, 7. **მუბარაკ ბუსუფა** (ანდერლეხტი) - 14, 8. **კრისტოფერ სამბა** (ბლექბერნი) - 11, 9. **ჟუსილეი** (კორინთიანსი) - 11, 10. **იური ჟირკოვი** (ჩელსი) - 11 მლნ.

● საერთაშორისო ჩემპიონთა თასი

# ინტერმა იუვე ბოლო ადგილზე დატოვა

## ვალენსიამ ზედიზედ მეორედ მოიგო



დავითისა და გოლიათის, ანუ რობერტ იბანიესისა და მარუან ფელაინის ბრძოლაში ბოლოს ისევ ტანად მცირემ იმარჯვა

**VII ადგილისთვის**

**იუვენტუსი-ინტერი 1:1 პენ: 8:9**

**გოლები:** 0:1 ალვარესი (29), 1:1 ვიდალი (45-პენ)

**პენ:** ჯოვინკო 0:0 (მეკარე), გუარინი 0:0 (მეკარე), მარკიზიო 1:0, რანოკია 1:1, ლორენტე 2:1, ალვარესი 2:2, პირლო 3:2, იკარდი 3:3, ვიდალი 4:3, ბელფოდილი 4:4, ოგბონა 5:4, ოლსენი 5:5, კასერესი 6:5, ანდრეოლი 6:6, კიელინი 7:6, პერეირა 7:7, დე შელიე 8:7, ჯონათანი 8:8, ისლა 8:8 (მეკარე), კარისო 8:9

**იუვენტუსი:** ბუფონი (59. სტორარი) - კასერესი, ბონუჩი (77. ოგბონა), კიელინი - ლიხშტაინერი (59. ისლა), პირლო, ვიდალი, მარკიზიო, ასამოა (59. დე შელიე) - ტევესი (70. ლორენტე), ვუჩინიჩი (70. ჯოვინკო)

**ინტერი:** ჰანდანოვიჩი (46. კარისო) - კამპანიარო, რანოკია, ჟუანი (79. ანდრეოლი) - ნაგამოტო (79. ჯონათანი), კუზმანოვიჩი (70. ბელფოდილი), კამბიასო (59. ოლსენი), გუარინი, ა. პერეირა - ალვარესი, პალასიო (79. იკარდი)

**V ადგილისთვის**

**ევერტონი-ვალენსია 0:1**

**გოლი:** 0:1 მიჩელი (53)

**ევერტონი:** რობლესი - სტოუნსი, დისტენი, იაგიელკა, ივიედო, დეულოფეუ (56. მირალიაში), გიბსონი (83. ოსმანი), ნეისმიტი, ბერკლი, ფელაინი, ანიჩებე

**ვალენსია:** გუაიტა - ვ. რუისი, ბარაგანი, მატიო, სისოკო - რომეუ, იბანიესი, ვიერა (46. მიჩელი), პარეხო, ს. რუისი (64. ბანეგა) - ჟონასი (64. ბერნატი)

**III ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ლოს ანჯელესი-მილანი | ვვ. დასრულდა |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| რეალი-ჩელსი | ვვ. დასრულდა |

ცოტა უჩვეულოდ ჟღერს, მაგრამ ასეა: „იუვენტუსი" და „ინტერი" 8-გუნდიან ტურნირზე ერთმანეთს მე-7 ადგილისთვის შეხვედრაში შეხვდნენ. „ნერაძურის" თამაშის ხარისხი ამ ზაფხულს ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს - **ვალტერ მაცარის** ხელმძღვანელობით მილანელებმა 5 თამაში ჩაატარეს, ჯერ ერთხელაც არ უმარჯვიათ, 3-ჯერ წააგეს და აქედან 2-ჯერ პირწმინდად განადგურდნენ ჯერ „უდინეზესთან" (2:5) და მერე „ვალენსიასთან" (0:4). ამჯერად კი „ინტერს" უკვე არა უშავდა. შეხვედრა დაბალ ტემპში დაიწყო. თამაშიდან რეალური ხიფათი არ შექმნილა. სიტუაცია მეტ-ნაკლებად მხოლოდ მაშინ მწვავდებოდა, როცა საქმე სტანდარტულ მდგომარეობებამდე მიდიოდა. 30-ე წუთზე შემთხვევითი გოლი გავიდა. **ფრედი გუარინის** ძლიერი დარტყმული **ჯიჯი ბუფონმა** ცუდად მოიგერია და **რიკარდო ალვარესმა** ახლო მანძილიდან დაამატა. ტაიმის მიწურულს კი **ჟუანმა მირკო ვუჩინიჩი** საკუთარ საჯარიმოში დასცა. **არტურო ვიდალმა** მშვიდად გამოიყენა თავისი შანსი. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, რომლის მთავარი გმირი „ინტერის" მეორე მეკარე **ხუან პაბლო კარისო** გახდა. არგენტინელმა ორი პენალტი მოიგერია და გადამწყვეტი დარტყმაც საკუთარ თავზე აიღო.

**მატჩის შემდეგ**

**ვალტერ მაცარი** (ინტერი): *„დღეს მგონი უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე წინა დღეებში. „ვალენსიასთან" მატჩმა ძალიან დაგვამწუხრა. უცნაურია, მაგრამ სწორედ ესპანელებთან განადგურების შემდეგ ნაგვივიდა თამაში. თუკი ანგარიშს დავივიწყებთ, იმ შეხვედრამ ჩვენზე მაინც დადებითად იმოქმედა. თითოეული ფეხბურთელი საქმეში ბოლომდეა ჩაფლული. ყოველმა მათგანმა შეცდომებიდან საკუთარი დასკვნა უნდა გააკეთოს. ბედნიერი ვარ, რომ დღეს პირველად დავინახე იმ გუნდის კონტურები, რომელსაც ვაშენებ. ვიცოდი, რომ უკეთესი დროც მოვიდოდა. ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო".*

**ხუან პაბლო კარისო** (ინტერი): *„შედეგითა და გუნდის განწყობით კმაყოფილი ვარ. „ვალენსიასთან" თითქმის არაფერი გამოგვდიოდა, დღეს კი ვცადეთ, ბევრად უფრო მაღალ დონეზე გვეთამაშა და ეს გამოგვივიდა კიდეც. პენალტების მოგერიების გამო კი განსაკუთრებით ბედნიერი ვარ".*

**ანტონიო კონტე** (იუვენტუსი): *„კმაყოფილი ვარ იმით, რაც ვნახე. ოგბონა სოლიდურად გამოიყურებოდა, ტევესი და ვუჩინიჩი წინა ხაზში შეთანხმებულად მოქმედებდნენ. დღეს უცნაურ შეცდომებს ვუშვებდით, თუმცა მძიმე ფიზიკური დატვირთვების ფონზე ეს გასაგებიც არის. ყველას უნდა ესმოდეს, რომ გამარჯვებები წელს თავისით არ მოვა".*

### ევერტონს სუნთქვა გაუჭირდა

„ევერტონმა" და „ვალენსიამ" ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს. საერთო ჯამში, როგორც იტყვიან, მეტოქეები ერთმანეთის ტოლ-სწორნი იყვნენ, თუმცა ესპანელების გამოცდილებამ თავისი ქნა. შეცვლაზე შესულმა **მიჩელ ერერომ** საჯარიმოს გარედან მაშინ დასცხო, როცა **ხოელ რობლესს** თანაგუნდელები ეფარებოდნენ. არგენტინელმა გუნდს ვერაფერი უშველა იმის მიუხედავად, რომ ბურთმა მას ახლოს ჩაუქროლა. გუნდებმა მომენტები გოლამდეც შექმნეს და არც მას მერე დაუკლიათ. ერთი მხრიდან **სტივენ ნეისმიტისა** და **ვიქტორ ანიჩებეს** დარტყმების გახსენება შეიძლება, მეორიდან კი **რობერტ იბანიესის.**

**მატჩის შემდეგ**

**რობერტო მარტინესი** (ევერტონი): *„ძალიან მძიმე და ტენიანი ჰაერი იყო იყო, რამაც ამოცანა გაგვირთულა. მეტოქე დღეს ბურთს მთელი თამაში ჩვენზე უკეთ აკონტროლებდა. „რეალსა" და „ვალენსიასთან" შეხვედრები სერიოზული გამოცდა იყო. რაღაც თვალსაზრისით წარმატებასაც კი მივაღწიეთ. ავსტრიულ შეკრებაზე ბევრს ვმუშაობდით, რომ ფიზიკურად მოვმაგრებულიყავით. ამერიკაში კი იმაში დასარწმუნებლად ჩამოვედით, თუ რამდენი შეგვეძლო".*



„ინტერი" „იუვენტუსზე" გამარჯვების შემდეგ

● ამბები

### რუნი: ჩელსი თუ არა უცხოეთი

**უეინ რუნი** „მანჩესტერ იუნაიტედის" ახლად დანიშნულ მთავარ მწვრთნელ **დევიდ მოიესს** ორჯერ პირადად შეხვდა, მაგრამ პრესამ მოლაპარაკებების დეტალებზე არაფერი უწყის. დროდადრო ყველაფერი თითქოს წყნარდება და მერე მომენტალურად ისევ შტორმი იწყება. „ლელო" რამდენიმე დღის წინაც წერდა ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთზე დაყრდნობით, რომ 27 წლის ვარსკვლავმა საბოლოოდ გადაწყვიტა „ოლდ ტრეფორდზე" დარჩენა, თუმცა გუშინდელი „დეილი მეილი" განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს. ფეხბურთელი პირველად დაფიქრდა სერიოზულად კარიერის უცხოურ კლუბში გაგრძელებაზე, რადგან „იუნაიტედში" გაფიქრებაც კი არ სურთ, რომ რუნი შეიძლება „ჩელსიში" წავიდეს. უცხოური კლუბებიდან მას „ბარსელონაში", „პარი სენ-ჟერმენსა" და „ბაიერნში" გადასვლა უწინასწარმეტყველეს, თუმცა პირველმა ორმა თავდასხმის ხაზი უკვე დააკომპლექტა. უკანასკნელს ახალი შემტევი ყელზე ნამდვილად არ დაადგება, მაგრამ... მიუნხენელთა სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** განაცხადა, რომ სატრანსფერო ფანჯარა მათთვის უკვე დახურულია. თანაც ყველამ იცის, რომ მომავალ წელს რეკორდმაისტერი **რობერტ ლევანდოვსკისთან** გააფორმებს კონტრაქტს.

### სუარესის დასახმარებლად

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია (PFA) მზად არის პრემიერლიგის წესების გათვალისწინებით სრული მხარდაჭერა გამოუცხადოს **ლუის სუარესს.** ურუგვაელს, მოგეხსენებათ, „ენფილდიდან" ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად მოთამაშე კლუბში გადასვლა სურს. აი, რას ამბობს ამ თემაზე ასოციაციის პრეზიდენტი **გორდონ ტეილორი:** *„კონტრაქტებით გათვალისწინებული პირობები ხელშეკრულების გამოსყიდვაზე ადრეც იყო გაუგებრობების წინა პირობა და ახლაც ასეა. სუარესიც და კლუბიც დარწმუნებულნი არიან თავიანთ სიმართლეში. ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ თუკი მისით დაინტერესებული კლუბი 40 მილიონს იხდის, მას შეუძლია წავიდეს. თავის მხრივ „ლივერპულში" ფიქრობენ, რომ ეს არის მინიმალური თანხა, რომლის შემდეგაც ისინი შეთავაზებებს განიხილავენ. ამ თემაზე პრემიერლიგის წარმომადგენლებს უკვე ვესაუბრეთ და განვუცხადეთ, რომ მსგავსი დათქმები ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს. პრემიერლიგა საქმის განხილვას რომც შეუდგეს, ამას გარკვეული დრო დასჭირდება, ტრანსფერები კი მალე დაიხურება. დელიკატური სიტუაციაა. შევეცდებით, ფეხბურთელს მაქსიმალურად დავეხმაროთ".*

### ტაარაბტი ფულჰემში წავიდა

**ადელ ტაარაბტს** „ქუინზ პარკიდან" წასვლა შარშანაც სურდა, მაგრამ მაშინ მას ამის უფლება **მარკ ჰიუზმა** არ მისცა. 24 წლის მაროკოელმა მოტივაცია დაკარგა, ვარჯიშს უკლო და მალე შესაბამისი შედეგიც მიიღო. ერთ დროს ჩემპიონშიპის საუკეთესო ფეხბურთელი სეზონის ბოლოს „რეინჯერების" სათადარიგო მოთამაშედ გადაიქცა. ლონდონელებმა ელიტაში ადგილი დიდხანს ვერ შეინარჩუნეს და გავარდნენ. ცხადია, ფეხბურთელმა კლუბს კიდევ ერთხელ მოსთხოვა წასვლის ნებართვა და როგორც იქნა, თავისას მიაღწია. 2013/14 წლების სეზონს ტაარაბტი „ფულჰემში" იჯარით გაატარებს.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A. XI ტური

# ბოტაფოგო ერთპიროვნულად გალიდერდა

**კრუზეირო-კორიტიბა 1:0**

გოლი: 1:0 ლუანი (12)

**ფლამენგო-ატლ. მინეირო 3:0**

გოლები: 1:0 ნიქსონი (8), 2:0 ელიასი (14), 3:0 პაულინიო (75)

**გრემიო-ინტერნასიონ. 1:1**

გოლები: 1:0 ბარკოსი (19-პენ), 1:1 ლეანდრო დამიაო (21)

გაძევება: ჟორჟე ენრიკე (77. ინტერნასიონალი), ფაბრისიო (90. ინტერნასიონალი), ვერლეი (90. გრემიო)

**პონტე პრეტა-ფლუმინენსე 1:1**

გოლები: 0:1 გუმი (50), 1:1 ვილიამი (86)

**კრისიუმა-კორინთიანსი 0:2**

გოლები: 0:1 რენატო აუგუსტო (11), 0:2 გერერო (26-პენ)

**ატლ. პარანაენსე-გოიასი 2:0**

გოლები: 1:0 დელატორე (44), 2:0 ედერსონი (90)

**ვასკო-ბოტაფოგო 2:3**

გოლები: 0:1 რაფაელ მარკეში (23), 0:2 ზეედორფი (31), 1:2ანდრე (45), 2:2 ანდრე (47), 2:3 რაფაელ მარკეში (49)

**ვიტორია-პორტუგეზა 2:1**

გოლები: 0:1 კანიეტე (63), 1:1 დანილო ტარაჩა (71), 2:1 ფაბრისიო (86)

სანტოსი-ნაუტიკო გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოტაფოგო | 11 | 7 | 2 | 2 | 18-10 | 23 |
| 2. კრუზეირო | 11 | 6 | 3 | 2 | 23-9 | 21 |
| 3. კორიტიბა | 11 | 5 | 5 | 1 | 17-12 | 20 |
| 4. ინტერნასიონ. | 11 | 5 | 4 | 2 | 19-16 | 19 |
| 5. ბაია | 11 | 5 | 4 | 2 | 13-10 | 19 |
| 6. ვიტორია | 11 | 5 | 3 | 3 | 16-12 | 18 |
| 7. კორინთიანსი | 11 | 4 | 5 | 2 | 10-5 | 17 |
| 8. ატლ. პარანაენ. | 11 | 4 | 4 | 3 | 20-18 | 16 |
| 9. გრემიო | 11 | 4 | 4 | 3 | 12-11 | 16 |
| 10. ვასკო | 11 | 4 | 2 | 5 | 17-21 | 14 |
| 11. ფლუმინენსე | 11 | 4 | 1 | 6 | 14-16 | 13 |
| 12. ფლამენგო | 11 | 3 | 4 | 4 | 12-12 | 13 |
| 13. გოიასი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-15 | 13 |
| 14. სანტოსი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-10 | 12 |
| 15. პონტე პრეტა | 10 | 3 | 2 | 5 | 13-16 | 11 |
| 16. კრისიუმა | 11 | 3 | 2 | 6 | 13-20 | 11 |
| 17. ატლ. მინეირო | 10 | 3 | 1 | 6 | 9-16 | 10 |
| 18. სან პაულო | 11 | 2 | 3 | 6 | 11-14 | 9 |
| 19. პორტუგეზა | 11 | 1 | 5 | 5 | 12-18 | 8 |
| 20. ნაუტიკო | 9 | 2 | 1 | 6 | 7-16 | 7 |

ბომბარდირები: 7 - ბიანკუჩი (ვიტორია), ვილიამი (პონტე პრეტა); 6 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე), ალექსი (კორიტიბა); 5 - ფორლანი (ინტერნასიონალი), რაფაელ მარკეში (ბოტაფოგო), ლუანი (კრუზეირო), ფერნანდაო (ბაია)

**ბრაზილიის ჩემპიონატის მე-11 ტურის პირველი შეხვედრა ჯერ კიდევ 11 ივლისს გაიმართა - „სან პაულომ“ „ბაიას“ უმასპინძლა და 1:2 წააგო. „სანტოსის“ და „ნაუტიკოს“ მატჩი ნეიმარის ყოფილი გუნდის ამხანაგური შეხვედრების გამო გადაიდო, დანარჩენი რვა მატჩიდან კი ზოგიერთი ძალიან საინტერესო გამოდგა...**

## კორიტიბას პირველი მარცხი

ამ ტურამდე, „კორიტიბა“ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი იყო და **მარკინიოს სანტოსის** გუნდის წაუგებელი სვლა ბელუ ორიზონტიში შეწყდა. ტურის ცენტრალურ შეხვედრაში, მე-4 ადგილზე მყოფმა „კრუზეირომ“ ჩემპიონატის თანალიდერ „კორიტიბას“ უმასპინძლა და **ლუანის** მე-12 წუთზე გატანილი ბურთის წყალობით მოუგო. სტუმრებს **რაულ იბერბიას**, **ალექსის** და **დეივიდის** სახით სამი გამორჩეული ფეხბურთელი არ ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, „კორიტიბას“ ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ ვერც **ლინკოლნმა** და ვერც **დარიო ბოტინელიმ** მასპინძელთა კარებს გასაღები ვერ მოარგეს. ამ მოგებით, **მარსელო ოლივეირას** გუნდმა 21 ქულა მოაგროვა და დროებით პირველ ადგილზე გადავიდა.

მისი გადასწრების შანსი ჰქონდა „ინტერნასიონალს“, ვინც სტუმრად „გრემიოს“ ეთამაშებოდა. ამ შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელოდა, რადგან „ინტერის“ განაცხადში მოხვდა გუნდის ორი ახალწვეული: **ალექსი** და **იგნასიო სკოკო**. საბოლოოდ, არგენტინელი ცვლილებაზე გამოვიდა და ბოლო 20 წუთი ითამაშა, ალექსი კი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

„გრემიოს“ ორი ლიდერი, **ზე რობერტო** და **ედუ ვარგასი** აკლდა, „ინტერის“ ძირითადში კი **ლეანდრო დამიაო** ვიხილეთ, ვის ტრანსფერსაც საშველი არ დაადგა. 24 წლის ფორვარდმა ამ მატჩში გაიტანა და ანგარიშიც გაათანაბრა, მის გოლამდე 2 წუთით ადრე კი თავი **ერნან ბარკოსმა** გამოიჩინა - არგენტინელმა პენალტი გამოიყენა. მატჩი ასეც დასრულდა - 1:1. შეხვედრის ბოლოსკენ „ინტერნასიონალი“ 10 კაცით დარჩა - არბიტრმა **ჟორჟე ენრიკე** გააძევა, ბოლო წუთზე კი წითელი ბარათები მასპინძელმა **ვერლეიმ** და სტუმარმა **ფაბრისიომ** მიიღეს.



„ბოტაფოგო“ რაფაელ მარკეშის დუბლის წყალობით გალიდერდა

რონალდინიოს გუნდი გასავარდნ ზონაშია

ბრაზილიის ჩემპიონატში დაუმარცხებელი ალარავინაა

კორინთიანსმა 11 მატჩში მხოლოდ 5 გოლი გაუშვა

ბრაზილიის ნაკრების ფორვარდმა ფრედმა ზედიზედ მე-2 პენალტი გააფუჭა

## დერბი მარაკანაზე

პირველობის ლიდერი „ბოტაფოგო“ „მარაკანაზე“ „ვასკო და გამას“ დაუპირისპირდა და **დორივალ ჟუნიორის** გუნდს დაძაბულ ბრძოლაში სძლია. სტუმართა მხრიდან ისევ ის მოთამაშეები გამოირჩეოდნენ, ვინც ბოლო დროს კარგად გამოიყურება - **კლარენს ზეედორფმა** მორიგი გოლი გაიტანა, **რაფაელ მარკეშმა** დუბლი შეასრულა, 19 წლის **ვიტინიომ** კი აქტივში ორი საგოლე პასი ჩაიწერა. „ფოგო“ ორბურთიანი სხვაობით იგებდა, როდესაც **ანდრემ** ორწუთიან მონაკვეთში ანგარიში გაათანაბრა - კიევის „დინამოს“ და „ბორდოს“ ყოფილმა ფორვარდმა ჯერ **ჟუნინიო პერნამბუკანოს** გადაცემით ისარგებლა და 45-ე წუთზე სხვაობა შეამცირა, მეორე ტაიმის მეორე წუთზე კი მეორე გოლიც გაიტანა, თუმცა მასპინძლების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ზუსტად ორ წუთში **ოსვალდო დე ოლივეირას** გუნდი ისევ წინ იყო - ვიტინიოს პასით რაფაელ მარკეშმაც დუბლი გაიფორმა. ეს მატჩის ბოლო გოლი გამოდგა და „ბოტაფოგო“ ბრაზილეირაოს ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

აღსანიშნავია, რომ „ფოგომ“ „ვასკოს“ ზედიზედ მეოთხე თამაში მოუგო, თუმცა საერთო ჯამში, ურთიერთშეხვედრებში „ვასკო“ საკმაოდ დიდ უპირატესობას ფლობს - 265 დერბიდან, 113 „ვასკო და გამამ“ მოიგო, 80 ფრედ დასრულდა, 72 მატჩში კი „ბოტაფოგომ“ იმარჯვა.

კიდევ ერთი, ამჯერად სან პაულოს დერბი, კამპინიასში გაიმართა და ფრედ, 1:1 დასრულდა. **ვანდერლეი ლუშემბურგო** ზედიზედ მეორე გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ გუმის მიერ გატანილი ბურთი, 86-ე წუთზე **ვილიამმა** გაქვითა და ჩემპიონატში თავისი მე-6 გოლი გაიტანა. აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ამ შეხვედრაში **ფრედმა** პენალტი ვერ გაიტანა, რაც უკვე ზედიზედ მეორედ მოხდა. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა 11-მეტრიანი წინა ტურში, „კრუზეიროსთანაც“ ვერ გაიტანა, თუმცა მაშინ ფრედმა გოლი მაინც შეაგდო და მისმა გუნდმაც 1:0 მოიგო, ამჯერად კი ვერც მან გაიტანა და „ფლუმაც“ მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა.

## კუკას და ტიტეს განსხვავებული სერიები

„ფლამენგომ“ მორიგი საშინაო მატჩი არა რიოში, არამედ დედაქალაქ ბრაზილიაში ჩაატარა და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო კლუბი გაანადგურა. „ატლეტიკო მინეირომ“ ზედიზედ მესამე მატჩი წააგო და გასავარდნ ზონაში ჩაეშვა. შესანიშნავად ითამაშა ახალგაზრდა **ნიქსონმა** - 21 წლის ფეხბურთელმა ჯერ ჩემპიონატში თავისი პირველი გოლი გაიტანა, რამდენიმე წუთში კი **ელიასს** გაატანინა, შეხვედრას კი წერტილი **პაულინიომ** დაუსვა. „ფლას“ „ატლეტიკოსთან“ უკვე 5 მატჩია არ წაუგია, შინ კი ზედიზედ მესამედ დაამარცხა.

**კუკასგან** განსხვავებით, წარმატებით თამაშობს **ტიტეს** გუნდი. ლიბერტადორესის თასის შარშანდელ გამარჯვებულს 4-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და აღსანიშნავია, რომ „კორინთიანსს“ ბრაზილიის მასშტაბით საუკეთესო დაცვა ჰყავს - „ტიმაომ“ 11 ტურში მხოლოდ 5 გოლი გაუშვა. მორიგ ტურში „კორინთიანსმა“ „კრისიუმას“ სძლია და კარი კვლავ მშრალად (ზედიზედ მესამედ) შეინახა. სტუმართა მხრიდან გოლები **რენატო აუგუსტომ** და **პაოლო გერერომ** (პენალტით) გაიტანეს.

3-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა „ვიტორიამ“, ვინც „პორტუგეზასთან“ მარცხდებოდა, მაგრამ **დანილო ტარაჩას** და ცვლილებაზე გამოსული **ფაბრისიოს** გოლებით იმარჯვა.

არგენტინა. ტორნეო ინისიალი. I ტური

# ბევრი პენალტი და ბევრი წითელი

**არსენალი-ესტუდიანტესი 1:1**

გოლები: 0:1 დ საპატა (32), 1:1 ფურჩი (90-პენ)

გაძევება: ეჩევერია (17. არსენალი), ხ. სილვა (40. ესტუდიანტესი), ლ. ხარა (90. ესტუდიანტესი)

**ოლ ბოისი-ატლ. რაფაელა 1:1**

გოლები: 1:0 მატოსი (31), 1:1 დ. ვერა (88)

**ტიგრე-ველესი 1:2**

გოლები: 0:1 პრატო (54), 1:1 გ. დიასი (62-პენ), 1:2 პრატო (90-პენ)

გაძევება: პერეს გარსია (90. ტიგრე)

**კოლონი-რასინგი 1:1**

გოლები: 0:1 ბ. სუკულინი (3), 1:1 მანსილია (25)

გაძევება: პრედიგერი (71. კოლონი)

**სან ლორენსო-ოლიმპო 2:1**

გოლები: 1:0 კაუტერუჩიო (16), 1:1 ნაუელ ბენიტესი (26), 2:1 კაუტერუჩიო (89)

**ლანუსი-ბელგრანო 3:0**

გოლები: 1:0 ს. სილვა (44), 2:0 ს. სილვა (61), 3:0 ისკიერდოსი (72)

**ხიმნასია-რივერი 1:0**

გოლი: 1:0 ლიხტი (75-პენ)

**როსარიო-კილმესი 2:0**

გოლები: 1:0 კ. ლუნა (43), 2:0 კ. ლუნა (81)

ბოკა-ნიუელსი 14 აგვისტო

**არგენტინის ახალი ჩემპიონატის პირველი ტური ძალიან საინტერსო გამოდგა. საშუასეზონო პერიოდში კლუბებში უამრავი ცვლილება მოხდა და ზოგიერთმა ახალწვეულმა თავი პირველივე შეხვედრაში გამოიჩინა...**



სეზონის გამარჯვებულმა ტორნეო ინისიალი მოგებით დაიწყო

ფეხბურთს ხუან სებასტიან ვერონი დაუბრუნდა

დიეგო სიმეონეს ვაჟის პროფესიული დებიუტი

ბოკას დაწუნებულმა ფეხბურთელმა ბენეფისი მოიწყო

ბოკას თამაში გადაიდო

## დუბლები

სამმა გამორჩეულმა ფორვარდმა, ვინც ტორნეო ინისიალის დაწყების წინ კლუბები გამოიცვალა, ორ-ორი გოლი გაიტანა.

„სან ლორენსომ“ ბაია ბლანკას „ოლიმპოს“ უმასპინძლა და **მარტინ კაუტერუჩიოს** დუბლის წყალობით მოუგო - ურუგვაელ ფორვარდს ბოლო 11 შეხვედრაში უკვე 8 გოლი დაუგროვდა. **ხუან ანტონიო პიცის** გუნდი ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება და ბევრი ელოდა, რომ პირველ ტურში „სან ლორენსო“ დიდი ანგარიშით მოიგებდა, თუმცა რომის პაპის საყვარელი გუნდის წარმომადგენლებმა „ოლიმპოს“ 3 ქულა მხოლოდ ბოლო წუთებზე გამოგლიჯეს. „სან ლორენსოს“ წაუგებელი სერია უკვე 11 მატჩია გრძელდება (7 მოგება და 4 ფრე).

ორი გოლი გაიტანა კიდევ ერთმა ურუგვაელმა **სანტიაგო სილვამ**. „ბოკა ხუნიორსიდან“ გაშვებულმა თავდამსხმელმა „ლანუსში“ შესანიშნავი დებიუტი მოიწყო. ანგარიში სილვამ 44-ე წუთზე გახსნა, 61-ეზე კი მეორე ბურთიც შეაგდო. **გილერმო ბაროს შელოტოს** გუნდის შემადგენლობაში ითამაშა კიდევ ერთმა ყოფილმა „ბოკელმა“ **ლაუტარო აკოსტამ**, თუმცა მას თავი არ გამოუჩენია.

„როსარიომ“ პრიმერაში დაბრუნება სამი ქულის აღებით აღნიშნა. „კილმესთან“ გამართულ შეხვედრაში დუბლი **კარლოს ლუნამ** შეასრულა - „რივერის“ ყოფილმა ფორვარდმა გოლები 43-ე და 81-ე წუთებზე გაიტანა.

## ერთმა ჩემპიონმა მოიგო, მეორეს ჯერ არ უთამაშია

წინა ტორნეო ინისიალის გამარჯვებულმა და სეზონის ჩემპიონმა „ველეს სარსფილდმა“ პირველ ტურში ასევე საკუთარი ფეხბურთელის დუბლის წყალობით იმარჯვა, თუმცა **რიკარდო გარეკას** გუნდს ყველაზე მეტად გაუჭირდა. **სერხიო არაუხოთი** და **ხოსე სანდით** გაძლიერებულმა „ტიგრემ“ 94-ე წუთზე გაშვებული ბურთის გამო წააგო. ანგარიში **ლუკას პრატომ** 54-ე წუთზე გახსნა, თუმცა მასპინძლებმა საკმაოდ მალე, 8 წუთში გაათანაბრეს - **გასტონ ანხელ დიასმა** 11-მეტრიანით იხეირა. თითქოს მატჩი ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არბიტრის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე პენალტი უკვე მასპინძლების კარში დანიშნა, რომელიც იმავე პრატომ გამოიყენა - 1:2.

მეორე ჩემპიონის, ტორნეო ფინალის გამარჯვებულის, „ნიუელს ოლდ ბოისის“ და „ბოკა ხუნიორსის“ მატჩი 14 აგვისტოსთვის გადაიდო.

## დებიუტი და დაბრუნება

პრიმერაში დებიუტი ჰქონდა **ჯოვანი სიმეონეს** - **დიეგო სიმეონეს** შვილმა 90 წუთი ითამაშა, თუმცა თავი ვერ გამოიჩინა, მისმა „რივერ პლეიტმა“ კი ლა პლატის „ხიმნასიასთან“ წააგო. გადამწყვეტი ბურთი აქაც 11-მეტრიანით გავიდა - **ლუკას ლიხტმა** პრიმერაში 2-წლიანი პაუზის მერე გაიტანა და დებიუტანტს 3-ქულიანი სტარტი აალებინა.

დიდ ფეხბურთში დაბრუნდა დიეგო სიმეონეს ყოფილი თანაგუნდელი **ხუან სებასტიან ვერონი**. „ბრუხიტამ“ 90 წუთი ითამაშა, მისმა „ესტუდიანტესმა“ კი „არსენალს“ ვერ მოუგო. გაგიკვირდებათ და გადამწყვეტი გოლი აქაც პენალტით და თანაც ბოლო წუთებზე გავიდა. „არსენალი“ მე-17 წუთიდან მოყოლებული კაცნაკლული იყო - „ტიგრედან“ გადასულმა **მარიანო ეჩევერიამ** დასამახსოვრებელი დებიუტი მოიწყო და პირველივე შეხვედრაში წითელი ბარათი დაიმსახურა. სტუმრები **დუვან საპატამ** დააწინაურა, შემდეგ კი ფეხბურთელი „სტუდენტებსაც“ გაუძევეს და მინდორზე მოთამაშეთა რაოდენობა გათანაბრდა. გადამწყვეტი კი ბოლო წუთები აღმოჩნდა, როდესაც ჯერ **ლეონარდო ხარამ** მიიღო წითელი, 11-მეტრიანი კი **ხულიო ფურჩმა** გამოიყენა და სარანდელებს ქულა მოუტანა.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საფეხბურთო სეზონის წინ

# ახალი სეზონი, ტაქტიკური ექსპერიმენტების დრო

## ამ სეზონმა, შეიძლება, საფუძვლიანად შეარყიოს ძალთა თანაფარდობა

სულ ცოტაც და მოწინავე ხუთი საფეხბურთო ქვეყანა ახალ, 2013/14 წლების სეზონს დაიწყებს. უკვე მოუთმენლად ველით ახალ საკლუბო ბატალიებს და ამის მიზეზიც გვაქვს - ახალი სეზონიდან ძალიან ბევრ სიახლეს ველით.

რაც უნდა იყოს, ფეხბურთის რიგითი გულშემატკივარი მხოლოდ მოიგებს იმით, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში ჟოზე მოურინიო დაბრუნდა, „მანჩესტერ სიტი" საინტერესო სპეციალისტს, მანუელ პელეგრინის ჩაბარდა, დევიდ მოიესს კი - უმძიმესი მემკვიდრეობა: სერ ალექს ფერგიუსონის „იუნაიტედი".

ბუნდესლიგა საუკეთესო წლებს ითვლის, ლა ლიგაში საინტერესო ახალწვეულები არიან, საფრანგეთში გამოჩნდა ფულიანი „მონაკო"...

ყველაფერი ეს კი ტაქტიკურ ექსპერიმენტებს გვიქადის, რომელთაც შეიძლება, საკლუბო ფეხბურთის იდეოლოგია შეცვალონ. ჩვენ ევროპულ ფეხბურთში სეისმური ძვრების წინ სასიამოვნო გავიტრუნეთ და ველით, როგორ მოერგება „ბარსას" ნეიმარი, როგორ გადააკეთებს „ქალაქელებს" პელეგრინი, გახდის თუ არა მოურინიო „ჩელსის" ქვეყნის დომინანტ კლუბად.

### ბუნდესლიგა: გვარდიოლა და კლოპ მანია

მას მერე, რაც ზამთარში ცნობილი გახდა, რომ მიუნხენის „ბაიერნს" **ხოსეპ გვარდიოლა** ჩაიბარებდა, დამატებით მილიონობით თვალი დაინტერესდა გერმანელთა მთავარი შეჯიბრებით. და მათ აღმოაჩინეს, ბრწყინვალე ლიგა, რომელიც წლების განმავლობაში აკლდათ. გვარდიოლას დანიშვნამ ნეიტრალური ფანები ბუნდესლიგისკენ გაახედა.

თუკი წინასასეზონო მატჩები რამეს ნიშნავს, გვარდიოლა ჩვენ მართლაც დიდებულ სიურპრიზს გვიმზადებს. ის ამხანაგურ მატჩებში აშალაშინებს 4-1-4-1 ტაქტიკურ სქემას, ხშირად უცვლის ფეხბურთელებს პოზიციებს, ის ხდება წინასწარ ამოუცნობი მეტოქეთათვის. გვარდიოლას ეს ყველაფერი ჰაერივით სჭირდება, მას ენით აუწერელი დავალება აქვს, წინ უნდა წაიყვანოს გუნდი, რომელმაც გასულ სეზონში მოიგო ყველაფერი - ჰეთთრიკი შეასრულა!

**ტიაგო ალკანტარას** შეძენა და მისი თამაში დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზებს შორის ერთობ საინტერესო და სარისკო ექსპერიმენტია. ცვლილებები შეეხოთ **ტონი კროოსს, არიენ რობენს,** თვით **ფილიპ ლამსაც** კი. და ეს ყველაფერი მაშინ, როცა ჯერ ავანსცენაზე არ გამოჩენილა 37 მილიონ ევროდ შეძენილი **მარიო გიოტცე**. წარმოიდგინეთ, რამხელა ინტრიგაა ახალი „ბაიერნი"!

თუმცა ბუნდესლიგა იმით არის კარგი, რომ ინტრიგა მხოლოდ გვარდიოლას „ბაიერნში" არ არის - ძალზე საინტერესო იქნება **იურგენ კლოპის** „დორტმუნდიც". კლოპმა გიოტცე დაკარგა, თუმცა, როგორც ჩანს, გუნდის გადაწყობა შეძლო (რასაც გერმანიის სუპერთასიც ადასტურებს). გერმანელებმა „ლივერპულს" ცხვირწინ ააცალეს **ჰენრიხ მხითარიანი,** რომელიც ალბათ აკლიმატიზაციის შემდეგ 10-იანის როლს შეითავსებს (რომელსაც ახლა **ილქაი გიუნდოგანი** საკმაოდ კარგად უძლვება). კლოპმა „სენტ ეტიენისგან" ძალზე საინტერესო ფეხბურთელი **პიერ-ემერიკ ობამეიანი** დაიმატა და როგორც ჩანს, ისევ გაშინაურდა **ნური შაჰინი,** რომელიც 4-2-3-1 სისტემაში, უკანდახეული პლეიმეიქერის როლს უნდა გაუძლვეს.

რა თქმა უნდა, კლოპს სამუშაო ბევრი აქვს, მაგრამ მისი გუნდი უკვე საკმაოდ დინამიკური ორგანიზმის ნიშნებს ავლენს. კლოპმა ბევრი უნდა იშრომოს, თავზემოთ ახტეს, მაგრამ ასეთია მისი ბედ-იღბალი.

ყურადღებას იმსახურებს **სამი ჰიაპის** „ლევერკუზენი", რომელმაც უნდა დაიწყოს ცხოვრება **ანდრე შიურლეს** გარეშე და სხვა ბევრიც ბუნდესლიგაში.



სპეციალისტები სრულიად ახლებურ „სიტის" ელიან


ყველაზე საინტერესო კითხვა, რას შემოგვთავაზებს პეპი?

### ლა ლიგა: ბეილი (?), ნეიმარი, მარტინო...

ლა ლიგაც სპეციალური იქნება. არა, რა თქმა უნდა, „ბარსელონასა" და „რეალის" ორთაბრძოლაში სხვა ვერავინ ჩაებმება, თუმცა თავად ამ კლუბებში ბევრ სიახლეს უნდა ველოდოთ.

„ბარსელონამ" იძულებით (**ტიტო ვილანოვას** ავადმყოფობის გამო) ძალიან საინტრიგო სვლა გააკეთა - მთავარი მწვრთნელი არა კლუბის წიაღიდან, არამედ, შორეული არგენტინიდან მიიწვია. **ხერარდო მარტინო** ევროპაში ცნობილი სპეციალისტი არაა, მაგრამ ის რომ ძალიან საინტერესო მწვრთნელია, არგენტინელს უკვე ბევრჯერ დაუმტკიცებია. მარტინო „ბლაუგრანას" თამაშის სტილს ალბათ არ შეცვლის, თუმცა მის დახვეწაზე რომ იმუშავებს, ცხადია.

მარტინოს ერთ-ერთი მთავარი მისია - 57 მილიონ ევროდ შეძენილი 21 წლის ინდივიდუალისტი **ნეიმარი** უნდა მოარგოს, „ბარსას" გუნდურ პოლიქრონიას.

რას უნდა ველოდოთ ახალი „ბარსასგან", როგორ წყვილს შექმნიან ნეიმარი და **მესი**? ტიაგოს წასვლის შემდეგ, იტვირთებს თუ არა შუახაზის ლიდერობას **სესკ ფაბრეგასი,** რომელიც აღარ წავიდა ინგლისში? კითხვა ბევრია და ერთმანეთზე საინტერესო.

დედაქალაქსაც დიდი ცვლილებები ელის. მადრიდის „ატლეტიკო" კიდევ ერთხელ დარჩა ტოპფორვარდის გარეშე, გუნდმა **რადამელ ფალკაოს** გარეშე უნდა შეუტიოს, თუმცა „როხიბლანკო" მომზადებული ხვდება ამოცანას: გოლები **დავიდ ვილიამ** (რომელსაც წარდგენა არ სჭირდება) და ძალიან ნიჭიერმა ბრაზილიელმა **ლეო ბაპტიშტაომ** უნდა გაიტანონ.

**კარლო ანჩელოტის** „რეალიც" ძიებაშია, იტალიელი ეძებს ყველაზე კარგად მორგებულ ტაქტიკურ სქემას, რომელიც ვარსკვლავებით დაძუნძლულ „სამეფო კლუბს" გამოადგება. დღეისათვის, კარლეტო ეგრეთ წოდებულ „ნაძვის ხეს" - 4-3-2-1 აშალაშინებს და ვნახოთ, რა გამოვა ამისგან.

კიდევ უფრო მეტი ინტრიგა ჯერჯერობით მხოლოდ სავარაუდოდ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ თუკი **გარეთ ბეილი** მართლაც გადავა „რეალში", მერე ყველაფერი ორმაგად საინტერესო იქნება: ბეილი, **ისკო, რონალდო, იოზილი, დი მარია** ერთად ერთ გუნდში, ერთ ხაზში.

**ასიერ ილიარამენდის** ტრანსფერმ თავის ტკივილი ორივე გუნდს გაუჩინა, „რეალმა" ნიჭიერი ბასკი კარგად უნდა მოარგოს ანსამბლს, „რეალ სოსიედადმა" კი (რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს) უმისოდ ცხოვრება უნდა შეძლოს. ბასკურ კლუბს ამისთვის ტაქტიკური სქემის შეცვლამაც კი შეიძლება მოუწიოს.

### პრემიერლიგა: პელეგრინი, მოურინიო,მოიესი

„მანჩესტერ სიტის" ყველაზე მეტად ელის განახლება, გუნდი გაცილებით ახლებურ მიდგომაზე უნდა გადაერთოს. **მანუელ პელეგრინი** და **ჩიკი ბეგირისტაინი** ერთიან საფეხბურთო ფილოსოფიას მოარგებენ მთელ გუნდს, სარეზერვო შემადგენლობის და ახალგაზრდული გუნდების ჩათვლით. ჩილელი ტაქტიკოს მწვრთნელთა ნათელი წარმომადგენელია.

„სიტიში" საინტერესო ახალწვეულების ნაკადია, პელეგრინი კი მთელ რეზერვს გამოიყენებს, რათა გუნდმა გამართული ფეხბურთი ითამაშოს.

„მანჩესტერ იუნაიტედის" წინასასეზონო ბატალიები და სატრანსფერო ამბები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რა ძნელია დიდი მწვრთნელის შემდეგ დიდი გუნდის ჩაბარება. ჯერჯერობით ახალგაზრდა შოტლანდიელი **დევიდ მოიესი** ამ ორ ფრონტზე წარმატებული ვერაა, თუმცა მთავარი ახლა ეს არაა. კიდევ ერთი საინტრიგო კითხვაა, რამდენად გაამართლებს მოიესის გუნდის ყველაზე საინტერესო ახალწვეული **ვილფრიდ ზაჰა**.

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილ ორ კლუბზე იოლი გამოსაცნობია, რა გზას დაადგება **ჟოზე მოურინიოს** „ჩელსი". მაგრამ სერიოზული კითხვა აქაც ბევრია. „ჩელსის" ფეხბურთელთა საკმაო ნაწილის საკითხი სტატუსის დონემდე გაურკვეველია. ჟოზეს უხარია, რომ მის გვერდით ისევ არიან **მიკაელ ესიენი** და **ფრენკ ლამპარდი,** მაგრამ ახალგაზრდა **მარკო ვან ხინკელსაც** სჭირდება სათამაშო დრო. **ოსკარი, მატა, შიურლე** და **აზარი** სამი ადგილისთვის იბრძოლებენ. **რომელუ ლუკაკუმ** კი უნდა დამტკიცოს, რომ 2006 წლის **დიდიე დროგბას** რეინკარნაციაა.


ხერარდო მარტინო ევროპის დასაპყრობად ემზადება

### შეცვალე, შეინახე, შეითვისე

იმის მიუხედავად, რომ 2012/13 წლების სეზონმა ტაქტიკურად ბევრი საინტერესო სიახლე შემოგვთავაზა, ზაფხულში იმდენი ტრანსფერი (მათ შორის, სამწვრთნელო) მოხდა, რომ ახალი სეზონისგან კიდევ უფრო მეტ ცვლილებას, გაცილებით მეტს, უნდა ველოდოთ.

ამიტომაც კიდევ უფრო მეტია დაინტერესება სეზონის გახსნის წინ, მილიონობით ფანი ელის როგორ ითამაშებს პირველ ტურში მისი საყვარელი გუნდი.

„ბაიერნის" სახესხვაობა „დორტმუნდს" ( და შეიძლება „ლევერკუზენსაც") კარგი სტარტით წინ გაქცევის შანსს აძლევს. ინგლისის პრემიერლიგა სულ სხვანაირი იქნება. ესპანური გრანდები კი დასკვნებს გამოიტანენ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ეტაპებზე განცდილი მარცხისთვის.

უახლოესი 12 თვის განმავლობაში 4-2-3-1 ტაქტიკა ისევ დარჩება დომინანტი, თუმცა ზაფხულში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები მწვრთნელებს აიძულებს კიდევ ერთხელ მივიდნენ დაფებთან და იფიქრონ სიახლეებზე.

ბარსელონა

## ნეიმარის პირველი გოლი



„ბარსელონამ" აზიურ ტურნეზე პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. ბანგკოკში ტაილანდის ნაკრებს შეხვდა და დიდი ანგარიშით გაანადგურა - 7:1.

მე-12 წუთზე **ნეიმარმა** „ბარსელონას" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. პირველი ტაიმი 5:1 მორჩა. მეორე ტაიმში „ბარსამ" კიდევ ორი გოლი გაუტანა მეტოქეს.

ალსანიშნავია, რომ **პედრო როდრიგესმა** ჰეთთრიკი შეასრულა, ხოლო **ლიონელ მესიმ** დუბლი. ერთი გოლიც **ალექსის სანჩესის** ანგარიშზეა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

იუბილე

# ბუნდესლიგა 50 წლისაა!

## საფეხბურთო გერმანიამ ჰაინკესი, ლატეკი და კიორბელი დააფასა



იუპ ჰაინკესი ბუნდესლიგის საპატიო ჯილდოთი

სამშაბათს ბუნდესლიგა 50 წლის გახდა. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, ბერლინში გერმანიის საფეხბურთო ელიტა შეიკრიბა. სასტუმრო „ერსტელში" გამართულ გრანდიოზულ წვეულებას 500 სტუმარი ჰყავდა - მათ შორის იყვნენ არა მარტო ფეხბურთისა და ზოგადად სპორტის, არამედ პოლიტიკისა და, რა თქმა უნდა, მედიის წარმომადგენლებიც. საღამოს კულმინაცია ლეგენდარული ბუნდესლიგელებისთვის, **იუპ ჰაინკესისთვის**, **უდო ლატეკისთვისა** და **კარლ-ჰაინც კიორბელისთვის** საპატიო ჯილდოების გადაცემა გახლდათ. ეს დაჯილდოება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იმართება, ახლა კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ბუნდესლიგის 50 წლის იუბილეს დაემთხვა.

იუპ ჰაინკესს და კარლ-ჰაინც კიორბელს ჯილდოები პირადად გადაეცათ, ლეგენდარული მწვრთნელი უდო ლატეკი კი ლონისძიებას ავადმყოფობის გამო (გული აწუხებს) ვერ დაესწრო. მათი დაჯილდოების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში ბუნდესლიგაში 1 000-ზე მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული.

*„ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. ღირსეული ბუნდესლიგელის წოდება ყველაზე დიდი ჯილდოა, რაც კი ოდესმე მიმიღია,"* - განაცხადა 68 წლის ჰაინკესმა, რომელმაც წინა სეზონში მიუნხენის „ბაიერნს" ჰეთთრიკი შეასრულებინა და პენსიაზე ტრიუმფატორის რანგში გავიდა. *„1963 წელს, ბუნდესლიგის დაარსებით გერმანულ ფეხბურთში უდიდესი რევოლუცია მოხდა. ამ 50 წლის განმავლობაში ჩვენი ლიგა მხოლოდ პროგრესირებდა და ვითარდებოდა, დღეს კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა. პირველი წლები მეც კარგად მახსოვს, აქ დამსწრე სტუმართაგან კი ბევრი სწორედ მაშინ იყო კარიერის პიკზე და მათ უფრო კარგად ეხსომებათ, რომ მაშინდელ წვეულებებზე მხოლოდ თითო ნაჭერი მშრალი ნამცხვარი და თითო ჭიქა ყავა რიგდებოდა, დღეს კი აი, ასეთ გრანდიოზულ წვეულებას ვატარებთ,"* - ეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის, 63 წლის **ვოლფგანგ ნირსბახის** სიტყვებია.

წვეულებას, რა თქმა უნდა, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვიც** დაესწრო, რომელმაც განაცხადა: *„ბუნდესლიგაზე სულ რაღაც 3 წლით უფროსი ვარ... დაარსებიდან 50 წლის შემდეგ, ეს ლიგა თავისი ისტორიის პიკზეა. ბუნდესლიგას ყველგან აქებენ და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგად - თუ საუკეთესოდ არა - რაცხავენ. ჩვენ ისეთი ინფრასტრუქტურა გვაქვს, რომელზეც ნებისმიერი საფეხბურთო ქვეყანა ოცნებობს. სტადიონები არა მარტო პირველ, არამედ მეორე ბუნდესლიგაშიც კი თითქმის ყოველთვის სავსეა. ერთი სიტყვით, გერმანელებმა ბუნდესლიგით უნდა ვიამაყოთ!"*

თეოლოგმა **ვოლფგანგ ჰუბერმა** მოითხოვა, რომ ბუნდესლიგას ზოგადად გერმანიის საზოგადოებამ მიჰბაძოს, ლეგენდარულმა გერმანელმა გოლეადორმა **უვე ზეელერმა** კი, რომელიც ახლა საფეხბურთო კავშირის საპატიო პრეზიდენტია, აღნიშნა, ბუნდესლიგის წარმატება შემთხვევითობას არ მოუტანია და მისი შენარჩუნება კიდევ უფრო რთული იქნებაო. *„თუ გვინდა, რომ პროგრესი გავაგრძელოთ ან მინიმუმ პოზიციები შევინარჩუნოთ, ფეხბურთი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს,"* - აღნიშნა ზეელერმა.

გუშინ, ბერლინში ბუნდესლიგის პრეზიდენტის არჩევნებიც შედგა, რომელიც ისევ **რაინჰარდ რაუბალმა** (ეს უკანასკნელი დორტმუნდის „ბორუსიას" პრეზიდენტიცაა) მოიგო. მას კონკურენტი არ ჰყოლია...

ბაიერნი

# პეპი: ყველა თამაშს 7:0-ს ვერ მოვიგებ!

## გვარდიოლა უმძიმეს წნეხს გრძნობს, მაგრამ არ ეშინია



ხოსეპ გვარდიოლა

რამდენად შესაძლებელია მსოფლიოში საუკეთესო გუნდის კიდევ უფრო გაუმჯობესება? რა თქმა უნდა, მიუნხენის „ბაიერნს" ვგულისხმობთ და ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად შეიძლება დისკუსიაც კი გაიმართოს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ცდას წინ არაფერი უდგას. სწორედ ამიტომ მიიყვანეს რეკორდმაისტერის ბოსებმა მიუნხენურ გრანდში **ხოსეპ გვარდიოლა**. გერმანიის თასის პირველი ეტაპის მატჩში (5:0 „რედენთან") 42 წლის პეპს პირველად შეეტყო, რომ უმძიმესი წნეხის ქვეშაა.

გვარდიოლამ იცოდა, რომ მიუნხენში ზეწოლის ქვეშ მოექცეოდა - რეკორდმაისტერს ისედაც მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა მოეთხოვება და მით უმეტეს მაშინ, როცა სამივე ძირითადი ტიტული მოგებული აქვს. მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი მსოფლიოში საუკეთესო კლუბში - ამ წნეხის გამკლავება იოლი ნამდვილად არ არის, რაც გვარდიოლამ ტელეკომპანია ARD-სთვის მიცემულ ინტერვიუშიც დაადასტურა.

*„ადვილი არ არის, როცა ყოველთვის მხოლოდ გამარჯვებას გთხოვენ და ეს განცდა ჩემთვის უცხო არაა. ხალხი ფიქრობს, რომ ყველა თამაში 6:0 ან 7:0 უნდა მოვიგო, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია,* - განაცხადა პეპმა, რომელმაც „ბარსელონაში" 4 წელიწადში 14 ტიტული მოიგო და დასძინა, - *ხალხს ყოველთვის მეტი, მეტი და კიდევ უფრო მეტი უნდა. მხოლოდ 6-7 კვირაა, რაც გუნდთან ერთად ვმუშაობ და დრო მჭირდება."*

„ბაიერნის" ფეხბურთელებსაც სჭირდებათ დრო, რომ პეპის ტაქტიკას შეეგუონ. როგორც იცით, ესპანელმა წინამორბედ **იუპ ჰაინკესისეულ** 4-2-3-1-ზე უარი თქვა და მიუნხენურ გრანდს 4-1-4-1 ან 4-3-3 სქემით ათამაშებს. სქემასაც რომ თავი დავანებოთ, გვარდიოლას საფეხბურთო ფილოსოფია „დონ იუპის" ფილოსოფიისგან მკვეთრად განსხვავდება (ამაზე არაერთხელ გვისაუბრია) და ფეხბურთელები ახალ სისტემას ნელი ტემპით ეგუებიან.

### რუმენიგე: ჰეთთრიკის გამეორება აუცილებელი არ არის!

*„ხუთი წელია, მწვრთნელი ვარ და მიმაჩნია, რომ არ ვარ სუპერსპეციალისტი. შესაძლოა, ბევრი სწორედ ასე მომიხსენებს, მაგრამ მე ჩვეულებრივი მწვრთნელი ვარ. საბოლოო ჯამში ჩემს მუშაობას კლუბის ხელმძღვანელები, მათიას ზამერი, კარლ-ჰაინც რუმენიგე და ული ჰიონესი შეაფასებენ,"* - თქვა გვარდიოლამ ხსენებულ ინტერვიუში და, რა თქმა უნდა, ის იგულისხმა, რომ შეცდომებს მეც დავუშვებ, მაგრამ კრიტიკას მხოლოდ ბოსებისგან მივიღებო.

მაინც რამდენად მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული ესპანელი სპეციალისტი? რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **რუმენიგეს** ასეთი აზრი აქვს: *„არა მგონია, რომ ლოგიკური წნეხი პეპისთვის პრობლემას წარმოადგენდეს. ჩვენ, კლუბის ხელმძღვანელები, მას დამატებით არ დავწნეხთ. 2013/2014 წლების სეზონში „ბაიერნის" უმთავრესი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა. არაა აუცილებელი, რომ ჰეთთრიკი გავიმეოროთ!"*

### მოლაპარაკებები დაიწყო, წავა ლუის გუსტავო?

რუმენიგემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს ისიც დაუდასტურა, რომ „ბაიერნი" „ვოლფსბურგთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს. საქმე ეხება რეკორდმაისტერის ბრაზილიელ საყრდენ ნახევარმცველ **ლუის გუსტავოს**, რომელიც გვარდიოლას გეგმებში არ ზის და სათადარიგო სკამის „ხეხვის" პერსპექტივა ემუქრება.

*„ჩვენ უკვე დავრთეთ „ვოლფსბურგის" მენეჯერ კლაუს ალოფსს იმის ნება, რომ ლუის გუსტავოსთან მოლაპარაკებები აწარმოოს. თუ კლუბი და ფეხბურთელი შეთანხმდებიან, მერე მხოლოდ კლუბები დავილაპარაკებთ,"* - აღნიშნა რუმენიგემ და დასძინა, რომ 26 წლის ბრაზილიელს ინგლისური, ესპანური და რუსული კლუბებიც ეპატიჟებიან. „ვოლფსბურგს" კი ახლა ყველაზე მეტად სწორედ კარგი საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება.

შეგახსენებთ, რომ ლუის გუსტავო ბუნდესლიგაში 2007 წლის ზაფხულიდან თამაშობს. თავიდან „ჰოფენჰაიმის" ღირსებას იცავდა, 2010/2011 წლების ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კი „ბაიერნმა" 17 მილიონ ევროდ იყიდა. გუსტავოს ბუნდესლიგაში 136 მატჩი აქვს ჩატარებული (8 გოლი), ბრაზილიის ნაკრების ღირსება კი 10 შეხვედრაში დაიცვა.

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრისტიან მოლინარო

### მოლინარო რუსეთში მიდის?

„შტუტგარტის" იტალიელი ფეხბურთელი **კრისტიან მოლინარო** შეიძლება რუსეთში წავიდეს. 30 წლის მარცხენა მცველს კრასნოდარის „ყუბანი" ეპატიჟება და როგორც ირკვევა, არც თავად ფეხბურთელია უარზე. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მოლინაროს რუსეთში გადასვლა გადაწყვეტილი აქვს, რაც მისმა მრჩეველმა **მაურიციო გაუდინომაც** დაადასტურა - „ყუბანი" სერიოზულადაა დაინტერესებული და კრასნოდარული ვარიანტი თავად კრისტიანსაც მოსწონსო.

### მხითარიანი ჯერაც საეჭვოა

დორტმუნდის „ბორუსიას" ტრავმირებული ახალწვეული **ჰენრიხ მხითარიანი** ჯერაც ინდივიდუალურად ვარჯიშობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი შანსია, 24 წლის სომეხმა ვარსკვლავმა ბუნდესლიგის პირველ ტურში ვერ იასპარეზოს. სამაგიეროდ, წყალი აღარ გაუვა იმას, რომ მხითარიანი გერმანიის ჩემპიონატის მეორე ტურამდე მწყობრში იქნება.

### შალკეს ბოსი: ჩემპიონობა აღარ მიხსენოთ!

„შალკეს" გენერალური მენეჯერი **კლემენს ტიონიესი** ეიფორიის ჩაცხრობას ცდილობს და გელზენკირხენული კლუბის ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს მეტი მოკრძალებისკენ მოუწოდებს.

*„მაღალი მიზნების დასახვა ძალიან კარგია, მაგრამ მიმაჩნია, რომ გერმანიის ჩემპიონობაზე არ უნდა ვილაპარაკოთ. ახლა ამის დრო და სიტუაცია არ არის - თუნდაც იმიტომ, რომ „ბაიერნის" სახით მრისხანე კონკურენტი გვყავს. მოდით, ჯერ ქულების დაგროვებაზე ვიფიქროთ. „შალკეს" მიზანი ისევ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა,"* - განაცხადა ტიონიესმა.

### გუჩი აქ, გუჩი იქ...

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, „ჰამბურგის" სპორტული დირექტორი **ოლივერ კროიცერი** დრეზდენის „დინამოსთან" ტესტ-მატჩში განადგურებით (0:4) ისე განრისხდა, რომ თამაშის შემდეგ გასახდელში შევიდა და ფეხბურთელებს 12-წუთიანი „ლექცია წაუკითხა".

*„აქეთ-იქით ჩარტერული რეისებით დავფრინავთ, 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში ვცხოვრობთ - ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ საუკეთესო პირობები შეგიქმნათ, თქვენ კი არაფერზე ფიქრობთ გარდა იმისა, თუ რა უნდა ჩაიცვათ დისკოთეკებსა და წვეულებებზე. სულ ერთი და იგივე მესმის - „გუჩი" აქ, „გუჩი" იქ, „უგო ბოსი" და ა.შ. „ჰამბურგი" უდიდესი ისტორიის მქონე, ერთადერთი გერმანული კლუბია, რომელიც ყოველთვის პირველ ბუნდესლიგაში თამაშობდა და თქვენ ამ გუნდს მის ქომაგებს არცხვენთ! დრეზდენის „დინამომ" ორშაბათს „ბოხუმთან" ითამაშა, ახლა კი ჩვენ გადაგვიარა - ეს როგორ შეიძლება მომხდარიყო? ამას ვინმე ამიხსნის?"* - ყვიროდა თურმე კროიცერი.

შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგმა" გერმანიის თასის პირველ ეტაპზე მეხუთელიგელი „შოტ იენა" მხოლოდ 2:0 დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. კევინ სტროტმანი

# რომა ტრამპლინი კი არა, მწვერვალია

**სხვა იტალიური გუნდების მსგავსად, ამ ზაფხულს „რომაც“ გაძლიერდა. დედაქალაქელებმა დაცვაში მეჰდი ბენეტია და დუგლას მაიკონი დაიმატეს, შეტევაში ჟერვინიო, შუა ხაზი კი კევინ სტროტმანმა უნდა გაამაგროს.**

**23 წლის ჰოლანდიელის სანაცვლოდ „ჯალოროსის“ მესვეურებმა 16.5 მილიონი ევრო გადაიხადეს და ბუნებრივია, მისგან ბევრს ელოდებიან. კევინზე დიდ იმედებს ამყარებენ გულშემატკივრებიც და თუ როგორი სიყვარული, ან გნებავთ სიძულვილი იციან ტიფოზებმა, ყველას კარგად მოგეხსენებათ. მოკლედ, სტროტმანს წინ დიდი გამოცდა ელის, იქამდე კი წვრთნებზე იკლავს თავს და არც პრესასთან ურთიერთობას ერიდება...**

**- როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება ახალ გუნდზე?**

- გუნდი შორსაა ოპტიმალური ფორმისგან, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. მთავარია, ასეთივე მონდომებით ვივარჯიშოთ და ყველაფერი კარგად იქნება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წვრთნებზე ბოლომდე ვიხარჯები და ყველაფერს ვაკეთებ, რომ ადაპტაციის პერიოდი მალე გავიარო. გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა და მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- რატომ შეაჩერეთ არჩევანი „რომაზე“, თქვენ ხომ „მილანი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ გიწვევდათ?**

- მილანელების და მანჩესტერელების მხრიდან მართლაც იყო ინტერესი, მაგრამ საქმე ლაპარაკს არ გასცდენია. კონკრეტული წინადადებით მხოლოდ რომაელებმა მომმართეს, რასაც პირადად რუდი გარსიას სატელეფონო ზარი მოჰყვა. „ჯალოროსის“ მწვრთნელ-მესვეურებმა გამაცნეს კლუბის ახალი პროექტი, რომლითაც მოვიხიბლე. მოკლედ, ჩემი გადაბირების რეალური სურვილი რომაელებს შევატყვე და გადაწყვეტილება ბევრი ფიქრის გარეშე მივიღე.

**- „რომას“ დიდი ხანია არაფერი მოუგია, თქვენ თუ ხართ მზად წლების განმავლობაში უტიტულოდ ითამაშოთ?**

- ჩემი მიზანი „რომასთან“ ერთად ტიტულების მოგებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. შეგვწევს იმის ძალა, რომ ყველა ფრონტზე უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ, რასაც გავაკეთებთ კიდეც. მესმის კითხვის შინაარსი: შესაძლოა, ფრანჩესკო ტოტის სხვა გუნდში მეტი ტიტული მოეგო, მაგრამ საქმისადმი ასეთი მიდგომა ჩემთვის მიუღებელია. ის, რომ „რომას“ გულშემატკივრები ტიტულებს მონატრებულნი არიან, ჩემთვის მხოლოდ დამატებითი სტიმულია და არა დისკომფორტი.

**- ამბობენ, რომ რუდი გარსია გუნდს ორი საყრდენით ათამაშებს, თქვენ კი მოედნის ცენტრში დანიელე დე როსის შეუწყვილდებით...**

- ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან დანიელე დე როსის მხარდამხარ თამაში ჩემთვის დიდი პატივია. თუმცა, სიმართლე გითხრათ, რუდი გარსიას ჯერ არ უთქვამს რა ტაქტიკას მიანიჭებს უპირატესობას. ვარჯიშებზე და საკონტროლო პაექრობებში მან ბევრი სქემა გამოსცადა. ვნახოთ, ყველაფერს მალე შევიტყობთ.

**- სხვა ახალწვეულებზე თუ შეგექმნათ წარმოდგენა?**

- დუგლას მაიკონს ზედმეტი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, რადგან ჩემი პირადი აზრით, ის ბოლო წლების საუკეთესო მარჯვენა მცველია. საიმედო უკანახაზელია მეჰდი ბენეტია, რომელსაც უკვე დავუმეგობრდი. რაც შეეხება ჟერვინიოს, მისი სახით გუნდს უდიდესი ძალა და ენერგია შეემატა. ვფიქრობ, ჟერვინიო იტალიის ჩემპიონატშიც გამოიჩენს თავს.

**- დიდხანს აპირებთ „რომაში“ დარჩენას, თუ ეს თქვენთვის ტრამპლინია?**

- არავითარი ტრამპლინი; „რომა“ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და აქ ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივია. ამ ეტაპზე, ჩემს მომავალს მხოლოდ „რომას“ ვუკავშირებ და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ კლუბის მესვეურთა ახალი პროექტი ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია.

**- რა არის „რომას“ პროგრამა მაქსიმუმი მომდევნო სეზონში?**

- პროგრამა მაქსიმუმი იტალიის ჩემპიონატის და იტალიის თასის გათამაშების მოგებაა. სხვა საქმეა, რომ ამის გაკეთება ურთულესი იქნება. ვიცი, რომ იტალიაში ერთბაშად შვიდი-რვა გუნდი უმიზნებს ჩემპიონთა ლიგის ზონას და ამ პირობებში, პროგნოზების კეთება და კონკრეტული მიზნების დასახვა რთული საქმეა. ვეცდებით, თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე დავიხარჯოთ და სამი ქულა მოვიპოვოთ.


კევინ სტროტმანზე „რომას“ გულშემატკივრები დიდ იმედებს ამყარებენ

იტალიის სუპერთასი

# კლოზე სუპერთასს უმიზნებს

18 აგვისტოს, „სტადიო ოლიმპიკოზე“ იტალიის სუპერთასის პაექრობა გაიმართება, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ „იუვენტუსი“ და „ლაციო“ წარდგებიან. ამ შეხვედრის შესახებ აპენინურ სპორტულ პრესაში უკვე აქტიურად საუბრობენ და კომენტარიც უხვად კეთდება. მაგალითად, რომაელთა ლიდერი **მიროსლავ კლოზე** მიიჩნევს რომ შანსები თანაბარია:


მიროსლავ კლოზე იტალიის თასით ხელში

*„იტალიის თასის ფინალში ბევრისგან ფავორიტად შერაცხილი „რომა“ დავამარცხეთ და დიდი იმედი მაქვს, რომ იმავეს სუპერთასის პაექრობაშიც გავიმეორებთ. მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავს, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანი და ამაში იმედია თვით ტურინელთა გულშემატკივრებიც დამეთანხმებიან. ზოგადად, შანსებს თანაბრად შევაფასებ. ვეცდებით შევუტიოთ, ჩვენი თამაში ვითამაშოთ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ. უდიდესი სურვილი მაქვს სუპერთასი მოვიგოთ და ამ გამარჯვებაში წონადი წვლილი შევიტანო. კარგად მახსოვს ის ემოციები, რომელიც თასის მოგების შემდეგ განვიცადე და მსურს, იგივე კიდევ ერთხელ განმეორდეს“.*

სავარაუდო ტრანსფერები



რაჯა ნაინგოლანის გადაბირება „ნაპოლის“ სურს

# ნაპოლი კალიარის მისდგა

„ნაპოლის“ მესვეურები აგრძელებენ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას და ამჯერად, „კალიარის“ ფეხბურთელებს უმიზნებენ. „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, ნეაპოლური კლუბის მესვეურები ერთბაშად სამი მოთამაშის გადაბირებით არიან დაინტერესებულნი; ლაპარაკია სხვადასხვა ამპლუის ფეხბურთელებზე - მცველი: 26 წლის **დავიდე ასტორი**; ნახევარმცველი 25 წლის **რაჯა ნაინგოლანი**; თავდამსხმელი: 23 წლის **ვიქტორ იბარბო**.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნეაპოლელებმა სარდინიელთა საუკეთესო ფეხბურთელები აარჩიეს, დანარჩენი კი უკვე მოლაპარაკების პროცესზეა დამოკიდებული. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ნეაპოლელები მზად არიან, სამივე ფეხბურთელში ერთად 35 მილიონი ევრო გადაიხადონ, აქედან დიდი ნაწილი კი ყველაზე მოთხოვნად მოთამაშე რაჯა ნაინგოლანზე მოდის. აღნიშნულ თემაზე მოლაპარაკებას უშუალოდ კლუბის პრეზიდენტები **აურელიო დე ლაურენტისი** და **მასიმო ჩელინო** აწარმოებენ, რაც ამ უკანასკნელმა არ უარყო:

*„ნეაპოლელთა მხრიდან მართლაც არის დაინტერესება და მოლაპარაკებაც აქტიურ ფაზაშია შესული. ნამყვან ფეხბურთელთა გასხვისება ჩვენი მიზანი არაა, მაგრამ თუ აღებული თანხით, გუნდის უკეთესად დაკომპლექტებაა შესაძლებელი, მზად ვართ ნებისმიერ ოპერაციაზე წავიდეთ. ვნახოთ როგორ დასრულდება მოლაპარაკება, ამ ეტაპზე, უფრო კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით“.*

კომენტარი

# ტევესი: ჩემი კარიერა იუვემ იხსნა

## კონტე მამასავით მექცევა

**კარლოს ტევესი** იტალიელ ჟურნალისტებთან ურთიერთობას არ ერიდება და ერთიმეორეზე საინტერესო კომენტარებს აკეთებს. ამჯერად, 29 წლის თავდამსხმელმა გულის გადაშლა მოინადინა და განაცხადა, რომ ახლოს იყო კარიერის დასრულებასთან:



კარლოს ტევესი კარიერის დასრულებას ფიქრობდა

*„არავინ ელოდა თუ ინგლისში მთელი ექვსი წელი გავჩერდებოდი, თუმცა ეს ასე მოხდა. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგასა და პრემიერლიგაში გავიმარჯვე, „სიტისთან“ ერთად კი თასს დავეუფლე. ყველაფერი მოვიგე, რაც შეიძლებოდა და კარიერის დასრულებაც მყარად მქონდა გადაწყვეტილი. სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ კარიერის საწყის ეტაპზე ვფიქრობდი, რომ ბუცებს ლურსმანზე სწორედ 28 წლის ასაკში ჩამოვკიდებდი. გასულ სეზონში, მძიმე გადაწყვეტილებასთან ძალიან ახლოს ვიყავი, როდესაც ყველა და ყველაფერი მობეზრებული მქონდა. იყო პერიოდი, როდესაც მოედნისკენ გახედვაც არ მინდოდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა „იუვენტუსი“ და იხსნა კიდეც ჩემი კარიერა. იტალიაში თამაში სულ სხვა ემოციაა, რომელიც ბევრად უფრო ახლოა არგენტინულ მენტალიტეტთან. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ გავაგრძელო თამაში და ამას არც ვნანობ“.*

კარლოს ტევესს **რობერტო მანჩინის** და **ანტონიო კონტეს** შედარება სთხოვეს: *„ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ფეხბურთი მომაბეზრა და კარიერის დასრულებაზე დამაფიქრა, რობერტო მანჩინისთან კონფლიქტი იყო. თუ რა მოხდა და როგორ, ამის გახსენებას არავითარი აზრი აღარ აქვს. ჩვენ სხვადასხვა ადამიანები ვართ და სხვადასხვაგვარად გვესმის როგორც ფეხბურთი, ისე ზოგადად, ცხოვრება. ამიტომ, ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი გზები გაიყარა და მანჩინისთან ყოველდღიური შეხება აღარ მიწევს. რაც შეეხება კონტეს, მასზე მხოლოდ კარგი შემიძლია ვთქვა. მოსვლის პირველივე დღეს საჭირო რჩევები მომცა და ისე მექცევა, როგორც მამა მოექცევა შვილს. ანტონიო ემოციურია, ყვირის კიდეც, მაგრამ ეს არავის აღიზიანებს. ვფიქრობ, კონტე თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და მასთან ერთად, „იუვენტუსი“ დიდ წარმატებებს მიაღწევს“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. მსოფლიოს პირველობა ჭაბუკებში

# რას გვიმზადებს მაიამი?

დღეს მაიამიში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის, რომელიც მონაწილეთა რაოდენობით სარეკორდოა - მასში 91 (!) ქვეყნის 608 ნორჩი ფალავანი იასპარეზებს! ესაა შესარჩევი შეჯიბრება გაისად ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს ოლიმპიადისთვის. მაიამიში საქართველოდან ბიჭების ტურნირში **რობინზონ ბეგლარიშვილი, თორნიკე ნაგლიაშვილი** (ორივე - 50), **ერეკლე არხოზაშვილი, ბექა ნათათრალაშვილი** (55), **გიორგი კაციაშვილი** (60), **სიმონ მამარდაშვილი, კობა მჭედლიშვილი** (ორივე - 66), **თამაზ კირაკოზაშვილი** (73), **იესო კვირიკაშვილი** (81) და **დავით რამაზაშვილი** (90) გამოვლენ, გოგოებში - **მზია ბებოშვილი, სალომე მარგიანი** (ორივე - 48), **მარიამ ჯანაშვილი, გურანდა შოთაძე** (52) და **ხატია ჯანაშვილი** (63).

როგორც ვხედავთ, ორივე გუნდი არასრულია, თუმცა გოგოებში ეს მოსალოდნელიც იყო, ბიჭებს კი +90 კილოგრამი აკლიათ. აქ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე **გიორგი ძებისაშვილმა** ვერცხლი კი მოიპოვა, მაგრამ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი ცირეკიძემ** გაითვალისწინა შესარჩევი შეჯიბრებებისა და ევროპის პირველობის შედეგები. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიიჩნია, აქცენტი მსუბუქ წონებზე გაეკეთებინა, სადაც მედლის მოპოვების მეტი რეალური კანდიდატია. მწვრთნელისთვის დიდი შეღავათია ნაგლიაშვილის დაბრუნება, რომელმაც ევროპის პირველობის წინ ხელი იტკინა და ის შეჯიბრება ამ მიზეზით გამოტოვა. სამაგიეროდ, ვერ დაბრუნდა ასევე ხელნატკენი **გიორგი ქურდიანი** (81), რომლის ევროპაზე წაყვანა მწვრთნელს გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ჭაბუკმა ძიუდოისტმა ტრავმა შეჯიბრებამდე სამი დღით ადრე მიიღო.

მაიამის ტატამზე დღეს ჩვენგან მხოლოდ ბიჭები (50 და 55 კგ) იჭიდავებენ, გოგონებიდან კი დაბალი (40-44 კგ) წონითი კატეგორიის ძიუდოისტები იასპარეზებენ, სადაც მონაწილე არ გვყავს. ევროპის წლევანდელი, მესამე პრიზიორი ბეგლარიშვილი პირველ წრეში ბარბადოსელ **ტრისტან ფორდეს** ხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი (რაც სავსებით მოსალოდნელია) აზერბაიჯანელ **ელნურ აბასოვსა** და ბრაზილიელ **კაინან პირეს** შორის მოგებულს დაეჭიდება. ნაგლიაშვილი თავიდან ისვენებს, მერე კი ჯერ არგენტინელ **დანიელ ვიერას** გაეჯიბრება, შემდეგ - თურქ **ოგუზან კარაცასა** და უკრაინელ **არტემ ლესიუკს** შორის უძლიერესს.

ერთი შეხედვით, გაუმართლა ნათათრალაშვილს - პირველ მეტოქედ ბოტსვანელი **ედვინ სელო**, ხოლო მეორედ - კოლუმბიელი **ანდრეს ოლივეროსი** ერგო, თუმცა მერვედფინალში იაპონელი **ტაიკი მიაგავა** ელოდება, მასთან წაგება კი ტურნირიდან გავარდნად დაუჯდება. თუმცა მანამდე, იაპონელი ბრიტანელთა წლევანდელ ევროპის პრიზიორ **პეტერ მილესს** ხვდება და ვნახოთ, რა მოხდება კუნძულელთა შერკინებაში. თუმცა, როგორც უნდა დასრულდეს ეს ბრძოლა, ფაქტია - ჩვენებური ძლიერ ჯგუფშია.

ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონი არხოზაშვილი თავიდან ისვენებს, მისი პირველი მეტოქე პანამელი **რონალდ გონსალესისა** და ბოტსვანელი **გავინ მოგოპას** ორთაბრძოლაში გაირკვევა. ამავე ჯგუფშია ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი, აზერბაიჯანელი **ილკინ ბაბაზადეც**.

ხვალ, 9 აგვისტოს, ბიჭებთან ერთად გოგონებიც გვეყოლებიან საქომაგო. გოგონებში ჩვენი ყველა ლიდერი სწორედ ხვალ იასპარეზებს. ევროპის პირველი მედალოსანი ქართველ ქალთაგან, კონტინენტური ბრინჯაოს მფლობელი ბებოშვილი თავდაპირველად ტაივანელ **სინ-ლეი ცაის** დაეჭიდება, მარგიანი - ალჟირელ **სადია ამრანეს**. ჩვენი გუნდის ლიდერი და ევროპის პირველი ჩემპიონი ქართველ ქალთაგან მარიამ ჯანაშვილი თავიდან თავისუფალია და პორტუგალიელ **ჟოანა ფერნანდესისა** და ნიგერიელი **მოუნირატოუ ჯიბოს** პაექრობას დააკვირდება - იქ მისი მეტოქე გაირკვევა. შოთაძე პირველივე წრეში იჭიდავებს ფრანგ **ასტრიდე გნეტოსთან**. ასევე თავიდანვე ჩაებმება ბიჭების ტურნირში ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონი კაციაშვილი - სამხრეთაფრიკელ **სერშელდინ კაჩელჰოფერს** ხვდება, მის ჯგუფში კი იაპონელ **ტაკუმი ოშიმასთან** ერთად ევროპის ჩემპიონატის წლევანდელი გამარჯვებული, ოლიმპიური ფესტივალის მესამე პრიზიორი, აზერბაიჯანელი **ჰიდაიატ ჰეიდაროვიცაა**. იმედია, ჩვენებური ამჯერადაც აჯობებს, როგორც ეს ჰოლანდიურ ფესტივალზე გააკეთა.

66 კილოგრამში ოლიმპიური ფესტივალის მედალოსან მამარდაშვილს პირველ მეტოქედ მასპინძელი **ბრენდონ უორტენი** ერგო, ევროპის წლევანდელ მედალოსან მჭედლიშვილს - გაბონელი **არნოლდ უველუ კუსუ**.

10 აგვისტოს გოგონებში ჩვენი ბოლო მონაწილე გამოვა, ბიჭებიდან კი 73 და 81 კგ წონითი კატეგორიის ფალავნები იასპარეზებენ. ხატია ჯანაშვილი კოლუმბიელ **ბრიგიტე კარაბალის** დაუწყვილდა, ევროპული ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელ კირაკოზაშვილს კი წილისყრამ პირველივე წრეში უკრაინის სახელით მოასპარეზე **რევაზ მესაბლიშვილი** არგუნა. ფესტივალის ვიცე-ჩემპიონი კვირიკაშვილი ტურნირს ყირგიზ **ელამან აბდიკერიმოვთან** შერკინებით დაიწყებს.

ჩემპიონატის ბოლო დღეს, 11 აგვისტოს, მხოლოდ ერთი მონაწილე გვეყოლება - ევროპის მესამე პრიზიორი რამაზაშვილი, რომელიც არგენტინელ **მარტინ ოლივეირასთან** პაექრობით ჩაებმება შეჯიბრებაში. მას ფინალამდე ასცდა ამ წონის დაუმარცხებელი ლიდერი, რუსი **კარლენ პალიანი**, თუმცა ჯგუფში ჰყავს ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი, ლიტველი **როკას ნენარტავიჩუსი**.

**ირაკლი თავაძე**




გიორგი კაციაშვილი (თეთრ კიმონოში) დუბლს უმიზნებს

კალათბურთი



# სათავეებთან

**წლეულს 4-22 სექტემბერს სლოვენია კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც იასპარეზებენ. კონტინენტის პირველობებს თითქმის რვა ათეული წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი: 1935 წლის 2-7 მაისს შვეიცარიაში 10-მა ნაკრებმა მოიყარა თავი. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ლატვიელებმა ჯერ შვეიცარიელებს სძლიეს (28:19), გადამწყვეტ პაექრობაში კი ესპანელებს მოუგეს 24:18 (მაშინ ბურთის ტარებისთვის დროის კონტროლი არ არსებობდა) და ჩემპიონები გახდნენ. მესამე ადგილზე ჩეხოსლოვაკიელები გავიდნენ. ორი წლის შემდეგ (ისევ 2-7 მაისს, ოღონდ რვა გუნდის მონაწილეობით) ჩემპიონატს რიგამ უმასპინძლა. ამჯერად ფინალში ლიტვამ იტალიას აჯობა ერთი ქულით - 24:23 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მესამე ადგილი პოლონელების მძლეველ (27:24) ფრანგებს ხვდათ.**

**1939 წელს კონტინენტის პირველობა 21-28 მაისს კაუნასში (ლიტვა) გაიმართა. იქ რვა გუნდმა იასპარეზა წრიული სისტემით. მასპინძლებმა შვიდივე შეხვედრა მოიგეს და 14 ქულით ჩემპიონობა შეინარჩუნეს. მასპინძელთა შორის გამოირჩეოდა მოთამაშე მწვრთნელი პრანას ლიუბინასი - ამერიკელი კალათბურთელი, 1936 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ფრენკ ლიუბინი.**

## დებიუტი

მეორე მსოფლიო ომის გამო ევროპის ჩემპიონატები შვიდი წლით შეწყდა. განახლებულ პირველობას შვეიცარიამ უმასპინძლა 1946 წელს. აქ ჩეხოსლოვაკიის უძლიერესმა ნაკრებმა იზეიმა გამარჯვება - ფინალში იტალიას მოუგო 34:32. მესამე ადგილისთვის პაექრობაში უნგრეთმა საფრანგეთს აჯობა - 38:32. მომდევნო წლის შეჯიბრების გამართვის უფლება ჩეხოსლოვაკიელებს ერგოთ. 1947 წელს ომის შემდეგ ფერფლიდან ალმდგარ პრაღას 14 გუნდი ეწვია. მათ შორის პირველად - საბჭოთა კავშირი და 1937 წლის ჩემპიონატის მონაწილე ეგვიპტე. ფარაონების ქვეყანა, მართალია, აფრიკას ეკუთვნის, მაგრამ „შავ კონტინენტზე" კალათბურთი მაშინ სუსტად იყო განვითარებული, ამიტომაც დართეს ეგვიპტელებს ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის უფლება. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, აქ კალათბურთი გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ვითარდებოდა. მოგვიანებით საკავშირო ჩემპიონატების გამართვაც დაიწყეს. 1935 წლიდან ქართველ კალათბურთელებს ამ შეჯიბრებებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავათ. დასტურად ისიც გამოდგება, რომ 1944 და 1946 წლებში თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, თბილისის „დინამომ" კი 1947 წელს საკავშირო პირველობაზე კაუნასის სკიფის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. ეს ის წელია, როცა საბჭოთა მთავრობამ ევროპის ჩემპიონატზე კალათბურთელთა გუნდის გაგზავნა გადაწყვიტა. ამ მოვლენას თავისებური პრელუდია უძღოდა: 1946 წელს საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის მიწვევით მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ქალთა და „სტროიტელის" ვაჟთა გუნდები პარიზს გაემგზავრნენ, რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა მოიგეს. საკავშირო სპორტკომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია საბჭოთა გუნდის მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე გამგზავრება.

## „ხალხის მტრის" შვილი

1947 წლის სსრკ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მწვრთნელებმა - პაველ ცეტლინმა და სურენ სპანდარიანმა ოცი საუკეთესო კალათბურთელი გამოიძახეს შეკრებაზე, მათ შორის თბილისიდან ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ბორის სარქისოვი და მიხეილ ფილიპოვი. ისინი სხვებთან ერთად მოსკოვთან ახლოს პირსანოვკაში ცხოვრობდნენ, სავარჯიშოდ კი „სერპ ი მოლოტისა" და „კრილია სოვეტოვის" სასპორტო დარბაზებში დადიოდნენ. პირსანოვკაში ჯერ კიდევ დიდი თოვლი იდო, ელექტრომატარებლის გარდა, სხვა ტრანსპორტი არ მოძრაობდა. სადგურს დასასვენებელი სახლიდან შვიდი კილომეტრი აშორებდა. კალათბურთელები დღეში ორჯერ მეცადინეობდნენ და ამ მანძილის გავლა ფეხით ოთხჯერ უხდებოდათ, რაც დამატებითი ფიზიკური წრთობისთვის საუკეთესო საშუალება იყო.

ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ერთი თვით ადრე ნაკრების შემადგენლობა, ფაქტობრივად, დაკომპლექტებული იყო. მხოლოდ ოთარ ქორქიას საკითხი იყო გაურკვეველი - ვერ გადაეწყვიტათ, „ხალხის მტრის" შვილი პრაღაში წაეყვანათ თუ არა.

ერთ დღეს, მორიგი წვრთნისას, დარბაზში სამი უცხო მამაკაცი შევიდა. სპანდარიანი ოფლში გახვითქულ ბიჭებს მოშორდა და ახალმოსულებისკენ გაემართა. ცოტა ხანში ოთარი იხმეს.

- მამაშენი გაამართლეს, გადასახლებიდან ბრუნდება და მოსკოვში გამოივლის, შეგიძლია შეხვდე, - უთხრა ერთ-ერთმა სტუმარმა, თან დღე, საათი და ვაგონის ნომერიც დაუსახელა. მერე სამივემ მალევე დატოვა დარბაზი. ქართველი კალათბურთელი კარგა ხანს იდგა გაოგნებული, თავბრუ დაეხვა და წაბარბაცდა, მწვრთნელმა შეაშველა ხელი. თანაგუნდელებმა ახალი ამბავი რომ გაიგეს, ცრემლმორეულები გადაეხვივნენ ოთარს - გუნდის ლიდერის ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება სათუო აღარ იყო.

ამ ათეული წლის წინათ ოთარ ქორქიამ, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ამ ამბავს რომ მიყვებოდა, ისიც მითხრა, სამი დღის განმავლობაში როგორ დადიოდა მოსკოვის რკინიგზის სადგურზე და როგორ ეძებდა მამას. რის ვაი-ვაგლახით აღწევდა ვაგონებამდე, მაგრამ „ის" არ ჩანდა. დარბაზში დაბრუნებულს ბიჭები ამხნევებდნენ - ალბათ, სადღაც ასცდით. ნუ დარდობ, ევროპის ჩემპიონი რომ დაუბრუნდები, ეს მისთვის უფრო დიდი სიურპრიზი იქნებაო. ამ იმედით ფრთებშესხმული ქართველი კალათბურთელი უფრო მონდომებით განაგრძობდა წვრთნას და ევროპის ჩემპიონატზეც ისახელა თავი...

## ქართველები, ბალტიისპირელები და რუსები

ჩეხოსლოვაკიაში შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩავიდნენ საბჭოთა ნაკრების წევრები: თბილისელები - ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, ლიტველები - სტეპას ბუტაუტასი, იუსტას ლაგუნავიჩუსი, ვიტაუტას კულაკაუსკასი, კაზის პეტკიავიჩუსი, ესტონელები - ილმარ კულამი და იოან ლისოვი, მოსკოველები - ევგენი ალექსეევი, ალექსანდრ მოისეევი, იური უშაკოვი, ანატოლი კონევი, ვასილი კოლპაკოვი და სერგეი ტარასოვი (1956 წლამდე გუნდის განაცხადში თოთხმეტი კალათბურთელი შეჰყავდათ, მათგან თორმეტს მატჩში მონაწილეობა შეეძლო. მელბურნის ოლიმპიადის წინ ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის - უილიამ ჯონსის წინადადებით მოთამაშეთა რაოდენობა თორმეტამდე შეამცირეს). საბჭოთა გუნდიდან ყველაზე გამოცდილი იყო იოან ლისოვი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომამდე ესტონეთის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე ესპარეზა. მართალია, სიმაღლით არ გამოირჩეოდა (170 სმ),



N 10 ოთარ ქორქია

მაგრამ, თანამედროვეთა თქმით, საბჭოეთის მაშინდელ ნაკრებს მსგავსი ტექნიკური და მოაზროვნე გამთამაშებელი არ ჰყოლია. ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ პრაღაში ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ ლისოვი აღიარეს.

## აფრიკული ბარიერი

პრაღაში სსრკ ნაკრებმა ექვსი მატჩი გამართა და ყველა დამაჯერებლად მოიგო. ცეტლინ-სპანდარიანის შეგირდებმა პირველ შეხვედრაში იოლად სძლიეს იუგოსლავიელებს - 50:11 (28:8). საბჭოთა გუნდს ყველაზე მეტი - 19 ქულა ოთარ ქორქიამ მოუტანა. 18 ქულა ბუტაუტასის ანგარიშზე იყო. იმ დღეს ნოდარ ჯორჯიკიას არ უთამაშია. მეორე შეხვედრა უნგრელებთან გაიმართა. თავიდან მადიარები დაწინაურდნენ. პეტკიავიჩუსი დაცვაში თამაშს თავს ვერ ართმევდა, ამიტომ მწვრთნელებმა მის ნაცვლად ჯორჯიკია შემოიყვანეს. უკანა ხაზი უფრო საიმედო გახდა. ქართველმა კალათბურთელმა თავდასხმაშიც იყოჩაღა და გუნდს 10 ქულა შესძინა (საუკეთესოები იყვნენ ალექსეევი - 14 და კონევი - 13 ქულა). ქორქია მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა კულამის ნაცვლად. საბჭოთა გუნდის შეტევები უფრო ეფექტიანი გახდა, საბოლოოდ გამარჯვებაც მას დარჩა - 62:33 (28:19) და მეორე ეტაპზეც გავიდა. იქ პირველი მატჩი საბჭოელებმა ძალების დაუძაბავად მოიგეს ბულგარელებთან - 55:24 (16:14). ჯორჯიკიამ 5 ქულა მოუტანა გუნდს, ალექსეევმა - 13. ქორქიას არ უთამაშია. როცა ქართველი ცენტრალური თავდამსხმელი მოედანზე იდგა, ასე ვთქვათ, „მთელი სუფრა" მას მიჰყავდა და, ცხადია, რუსები იკარგებოდნენ, ამიტომ მწვრთნელები ჩვენებურს სათამაშო დროს უზღუდავდნენ.

ბულგარელთა დამარცხების შემდეგ სსრკ ნაკრები ეგვიპტეს უნდა შეხვედროდა. აფრიკელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ ცნობილი კალათბურთელები - ჰუსეინ კამელ მონტასერი, ვაჰიდ შაკიფ სალეჰი, გვიდო აშერი, ალბერტ ჰაფმი ტადროსი, ფაიად აბდულმეგიდ აბდულჰეინი, ასევე, მორის კალიფი, ჰასან საუდ მოავადჰი, ზაკი სელიმ იბრაჰიმ ხასირი, იუსეფ მოჰამედ აბასი, გაბრიელ არმანდ კატაფოგო, ზაკი იეჰია და აბდულრახმან ჰაზედ ისმაილი.

შეხვედრის წინა დღეს ცეტლინი და სპანდარიანი დავობდნენ, ვინ გამოეყვანათ ცენტრალურ თავდამსხმელად - კულამი თუ ქორქია. მეორე დილით გუნდის კრებაზე ყველასთვის მოულოდნელად კულამმა დამტვრეული რუსულით თქვა - სასტარტო ხუთეულში მე კი არა, ქორქიამ უნდა ითამაშოსო. ბალტიისპირელი არ შემცდარა - ქართველმა კალათბურთელმა როგორც ესტონელის, ისე მთელი ნაკრების იმედები გაამართლა - ჩემპიონატის, ფაქტობრივად, გადამწყვეტ მატჩში ყველაზე მეტი - 15 ქულა მოუტანა გუნდს. შედეგიანობით მეორე იყო ლისოვი - 10 ქულა. ჯორჯიკიამ 5 ქულას მოუყარა თავი. მთავარი კი ის იყო, ბატონმა ნოდარმა ეგვიპტელთა ლიდერს - მონტასერს (იგი 1949 წლის ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი გახდა, ოღონდ იმ წელიწადს შეჯიბრებაში საბჭოელებს არ უასპარეზიათ), ფაქტობრივად, ხელ-ფეხი შეუკრა და ეს მრისხანე თავდამსხმელი მხოლოდ 4 ქულას დააჯერა.

აფრიკული ბარიერის გადალახვის შემდეგ სსრკ ნაკრები ფინალში რომ გავიდოდა, არავის ეეჭვებოდა, რადგან ნახევარფინალში პოლონელთა სუსტი გუნდის დამარცხება არ გაუჭირდებოდა. მწვრთნელებმა კვლავ არ გამოიყვანეს მოედანზე ქორქია - ამჯერად იგი გადამწყვეტი ორთაბრძოლისთვის შემოინახეს. ჯორჯიკიაც ცოტა ხანს ათამაშეს (1 ქულა). ნაკრებმა კი 36:18 (21:5) გაიმარჯვა (საუკეთესო იყო კოლპაკოვი - 10 ქულა).

## „ოქრო" მამისთვის

დადგა გადამწყვეტი მატჩის დღეც - 3 მაისი. წინა წლის ევროპის ჩემპიონი მასპინძლები, რომელთა რიგებში გამოდიოდნენ მაშინდელი კონტინენტის ალიარებული ოსტატები - ივან მრაზეკი, ემილ ვალენსკი, იან კოზაკი, ლადისლავ ტრპკოში, იოზეფ ეცერი, ასევე, ირჟი დრვოტა, მილოშ ბობიცკი, ვაცლავ კრაშა, იოზეფ ტომსი, კაპელ ბელოგრადსკი, მილოსლავ დოსტალი, მილან ფრანია, მიროსლავ ბოდრაჩეკი, გუსტავ ჰერმანი, მწვრთნელ იოზეფ ფლიაიშლინგერის ხელმძღვანელობითა და საკუთარი კედლების დახმარებით ცდილობდნენ ტიტულის შენარჩუნებას, მაგრამ ქართველი ცენტრალური თავდამსხმელის იერიშების შეჩერება ვერაფრით შეძლეს - ქორქიამ ამ დღეს თავის გუნდს 23 ქულა მოუტანა (ალექსეევი - 12, ლისოვი - 9, ჯორჯიკია - 8, კონევი - 4). ჩეხოსლოვაკიელები (მრაზეკი - 12, ვალენსკი - 11, კლაშა - 7, ბელოგრადსკი - 6, ტრპკოში - 1 ქულა) დამარცხდნენ 37:56 (14:33) და ევროპის ჩემპიონობა დებიუტანტებს - საბჭოთა კალათბურთელებს მიულოცეს...

პრაღიდან დაბრუნებულ ოთარ ქორქიას პირველობის აღსანიშნავი მოსკოვური ზეიმისთვის არც დაუცდია - სახლისკენ მოუჩქაროდა. საღამოვდებოდა, „დინამოს" სტადიონს რომ მიუახლოვდა, მაშინ აქ - ტრიბუნების ქვეშ მე-2 სართულზე ცხოვრობდნენ მისი მეუღლე ტონია და სამი წლის ვაჟი ვიტალი. სწრაფად აირბინა კიბე და ნელა შეაღო ოთახის კარი. მაგიდასთან ბეჭებში ოდნავ მოხრილი მამაკაცი იჯდა და ბავშვს ეთამაშებოდა.

- მამა! - არაბუნებრივად აღმოხდა ოთარ ქორქიას.

მამაკაცი ნელა მობრუნდა და... ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, დიდხანს იდგნენ ასე. შემდეგ ოთარმა ჯიბიდან ლურჯბაბთიანი ოქროს მედალი ამოიღო და მამას კისერზე ჩამოჰკიდა.

- ეს შენ გეკუთვნის, მამა!..

1947 წლის ევროპის ჩემპიონატის ქართველი გმირები - ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია ჩვენ შორის აღარ არიან.

ვაჟა დანელია



N 8 ნოდარ ჯორჯიკია

ტრანსფერი

# შერმადინი: ესპანეთი, სარაგოსა

საქართველოს ნაკრების 216 სმ სიმაღლის ცენტრი **გიორგი შერმადინი** კარიერას ესპანურ „სარაგოსაში" გააგრძელებს. ეს ინფორმაცია გუშინ იტალიელი ჟურნალისტისგან შევიტყვეთ. საქმე ბოლომდეა მისული, როგორც თავად გიორგიმ გვითხრა, ახალ გუნდში 2013-14 წლების სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

## სარაგოსა

შეგახსენებთ, რომ ქართველი მეფარე გასულ სეზონში ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" გამოდიოდა და გუნდთან ერთად ევროლიგაც მოიგო. „სარაგოსა" ევროლიგაზე არ ასპარეზობს - ევროთასზე დაიცავს ესპანეთის ღირსებას. 2012-13-ში, ესპანეთის პირველობაზე ნახევარფინალში დათმო მადრიდის „რეალთან".

გუნდში შერმადინს დახვდებიან ბელგიელი **ჯონათან ტაბუ**, ჰოლანდიელი **ჰენკ ნორელი**, ხორვატი **დამიან რუდესი**, ისლანდიელი **ჯონ სტეფანსონი**... მთავარ მწვრთნელად კი **ხოსე ლუის აბოსი** მუშაობს. აი, რა თქვა მან გიორგის შესახებ:

*- მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა, გიორგი შერმადინს საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის დიდი გამოცდილება აქვს. იგი მრავალმხრივ გამოსადეგი კალათბურთელია, კარგია მოხსნებში, სასარგებლოა დაცვაში და აღნიშვნის ღირსია მისი შედეგიანი თამაში შეტევაში.*

## რეალი, ბარსელონა...

თავის მხრივ „სარაგოსაზე" ოპტიმიზმით ილაპარაკა გიორგი შერმადინმა:

*- ესპანურ გუნდში პირველად მიწევს თამაში. ველაპარაკე მთავარ მწვრთნელ ხოსე ლუის აბოსს, რომელმაც ქალაქი სარაგოსაც კარგად დამიხასიათა და გუნდიც - ყოველწლიურად ვუმჯობესდებითო. ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანია, სარაგოსაში მეც კარიერული წინსვლისთვის ჩავდივარ. მექნება საკმარისი სათამაშო დრო შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოსავლენად.*

გადაწყვეტილების მიღებისას ქართველმა ცენტრმა გაითვალისწინა ესპანეთის ჩემპიონატის დონეც...

*- ესპანეთში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატია, რომელშიც „რეალი", „ბარსელონა", „ვალენსია" და სხვა არანაკლები გუნდები ასპარეზობენ. მათ წინააღმდეგ თამაში ჩემთვის დიდი გამოწვევაა.*

„სარაგოსას" რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი შესავალში ჩამოგითვალეთ. მათგან გიორგი შერმადინი ბევრს არ იცნობს, მხოლოდ ჰოლანდიელ ჰენკ ნორელსა და ბელგიელ ჯონათან ტაბუს.

*- ნორელის წინააღმდეგ ნაკრების მაისურით მაქვს ნათამაშები. ძლიერი კალათბურთელია. იმავეს თქმა შეიძლება ტაბუს შესახებ. დანარჩენს პირადად ესპანეთში ჩასვლის შემდეგ გავიცნობ და დარწმუნებული ვარ, ყველასთან იოლად გამოვნახავ საერთო ენას.*

ვაჟა სიმონიშვილი



სიახლე

# დაარსდა მწვრთნელთა ასოციაცია

გუშინ, 13 საათზე სპორტის სასახლეში ქართველი მწვრთნელები შეიკრიბნენ. მათი თავმოყრის მიზანი ახალი ორგანიზაციის დაარსება იყო - საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა ასოციაციის.

იგი მაისში დაფუძნდა, სპეციალისტები კი გუშინ შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, რომ მომდევნო შეხვედრა უკვე ყრილობა იქნება, სადაც გამგეობასა და პრეზიდენტს აირჩევენ.

საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა ასოციაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **დავით თორთლაძემ** ორგანიზაციის შექმნის საკითხებზე ილაპარაკა:

*- საქართველოში სხვადასხვა კატეგორიის მწვრთნელია, საპატიო მწვრთნელი, ქალთა, ბავშვთა, სუპერლიგის... ფედერაციის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მათ დაახლოებას, ერთმანეთთან ნაყოფიერი მუშაობით კი ბევრი პრობლემის გადაჭრა შეიძლება. სამწვრთნელო და საკალათბურთო სფეროში არის უამრავი საკითხი, რომელიც კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ. ამ საქმეში ვინ არიან მწვრთნელებზე კომპეტენტურები?*

დავით თორთლაძემ იქვე დასძინა:

*- მწვრთნელთა ასოციაცია საქმის საკეთებლად დაფუძნდა, კალათბურთის ფედერაციის არჩევნებში ხმის უფლებას არ ითხოვს, რადგან ამის უფლება არა აქვს. საქართველოს კანონმდებლობით ხმის უფლება ენიჭება იმ ორგანიზაციას, რომელიც წელიწადზე მეტხანს ფუნქციონირებს და შედეგიანი მუშაობით იმსახურებს არჩევნებში ხმის უფლებას.*

ვაჟა სიმონიშვილი

ფარიკაობა

# 10 აგვისტოს იმედად

გუშინ ბუდაპეშტში მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთდღიანი შესვენების შემდეგ პაექრობები განაახლეს მოხმალავეებმა. პლეი ოფს ორი ქართველი სპორტსმენი იყო შემორჩენილი. ვწერდით, რომ 18-წლამდელებში ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა **სანდრო ბაზაძემ** ჯგუფში 5 შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ერთხელ განიცადა მარცხი, თუმცა პლეი ოფში მიეცა რევანშის შესაძლებლობა და ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა - მეთექვსმეტედფინალში ჰონკონგელ თინ ჰო ლოუს იოლად სძლია - 15:8. მერვედფინალში კი დიეგო ოკიუზის (იტალია) დააყრევინა ფარ-ხმალი (15:14), მეოთხედფინალში კი თავადაც დანებდა გერმანელ მაქს ჰარტუნგს - 11:15 და საბოლოოდ მე-16 ადგილს დასჯერდა.

1\16 ფინალში ჩაება **საბა სულამანიძეც**, მაგრამ პირველსავე ორთაბრძოლა საბამაც ალემანთან წააგო - თბილისელ მოხმალავეს ნიკოლას ლიმბახმა აჯობა - 15:4. საბოლოოდ საბას 57-ე ადგილი ერგო.

ქართველი მოხმალავენი 10 აგვისტოს გუნდურ შეჯიბრებაშიც მოსინჯავენ ძალებს.

ვაჟა დანელია

სპორტი და ტურიზმი



# კოკაის ახალი სტატუსი

ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია (კოკაი) თბილისშია და ის იაპონიაში „საქართველოს ტურიზმის საპატიო წარმომადგენელი“ გახდა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **გიორგი სიგუამ** იაპონიაში მცხოვრებ წარმატებულ და პოპულარულ სპორტსმენს **ლევან ცაგურიას** „საქართველოს ტურიზმის საპატიო წარმომადგენელის“ წოდება მიანიჭა. ლევან ცაგურიას „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელის“ წოდების დამადასტურებელი შესაბამისი მოწმობა გადაეცა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ღონისძიება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალ ინიციატივას უკავშირდება, რაც მიზნობრივ ქვეყნებში „საქართველოს ტურიზმის საპატიო წარმომადგენლების“ დანიშვნას გულისხმობს. წარმომადგენლების ძირითადი მისია საქართველოს ცნობადობის გაზრდა და ქვეყნის ტურისტული იმიჯის პოპულარიზაცია იქნება.

ღონისძიებას იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ტოშიო კაიტანი** დაესწრო. საქართველოში იაპონელი ვიზიტორების სტატისტიკა წლიდან-წლამდე 30%-ით იზრდება. იაპონელები მსოფლიოში მაღალი ხარჯვის უნარიანობით გამოირჩევიან და ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველი ტურისტები არიან. საქართველოს ისინი უმეტესად ორგანიზებულად სტუმრობენ, რაც მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ტურისტული კომპანიებისათვის.

ათლეტიზმი

# უკვე მეხუთედ

წოლჭიმში საქართველოდან მსოფლიოს და ევროპის პირველი ჩემპიონის **შოთა ბეჟაშვილის** სახელობის მეხუთე რესპუბლიკურ ტურნირს ამ დღეებში თბილისმა უმასპინძლა. პირველი ასპარეზობა ჩემპიონის მშობლიურ რაიონში, სიღნაღში გაიმართა, შემდგომ წლებში კი, თბილისში. შეჯიბრების ფუძემდებელი და ორგანიზატორია საქართველოს ათლეტიზმის ფედერაცია.

მეხუთე ტურნირში მონაწილეობდა თბილისის ყველა კლუბი, პოლიციის აკადემიის, ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, დედოფლისწყაროს და სიღნაღის გუნდები.

გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვება თავად შოთა ბეჟაშვილის მიერ გამოზრდილ სიღნაღელებს დარჩათ. მათ 8 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

66 კგ წონით კატეგორიაში 191 კგ ასწია და საქართველოს რეკორდით პირველობა მოიპოვა **ცოტნე ბეჟაშვილმა** (სიღნაღის გუნდი).

75 კგ წონით კატეგორიაში საუკეთესო იყო **გიორგი მილიგაშვილი** (პოლიციის აკადემიის გუნდი), რომელმაც 192 კგ ასწია.

აბსოლუტურ პირველობაში 270 კგ. ასწია და ჩემპიონი გახდა, ველისციხელი (გურჯაანი) **გიორგი ბეროშვილი** (120 კგ), რომელიც სიღნაღის გუნდში ასპარეზობდა. „ჩემი წონა და აწეული შტანგის წონა შედეგით აღემატება ევროპისა და მსოფლიოს რეკორდებს“ - ამბობს თავად გიორგი.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ ფულადი ჯილდო (შესაბამისად 1 500, 1 000 და 500 ლარი).

როგორც შოთა ბეჟაშვილმა გვითხრა, გაისად აბსოლუტურ წონაში გამარჯვებული ჯილდოდ 8000 ლარს მიიღებს.

**ლელა ხეჩოშვილი**

ლონდონის ოლიმპიადის ექო

# როცა გამარჯვება მთელ ქვეყანას ეკუთვნის!

## უნგვარი - შავდათუაშვილს: მიდი, ბიჭო, მაგარი ხარ!

**წელიწადი გავიდა, რაც ლაშა შავდათუაშვილმა ლონდონის ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედლით მთელი საქართველო გაახარა. 20 წლის ჭაბუკმა პლანეტის უმნიშვნელოვანეს სპორტულ ფორუმზე სადებიუტო გამოსვლა პირდაპირ ჩემპიონობით დაასრულა და ქართული სპორტის ისტორიაში მორიგი ოქროს ფურცელი ჩაწერა.**
**იგი მას შემდეგ საქართველოში ყველასათვის ცნობილი და საყვარელი ადამიანი გახდა. იმ დღეს (29 ივლისს), როდესაც მისი ტრიუმფიდან წელიწადი მოტრიალდა, ლაშა ნაკრებთან ერთად სოჭში კემპზე იმყოფებოდა, როდესაც დაბრუნდა, შევხვდით, ვესაუბრეთ და არა მხოლოდ ოლიმპიურ ტატამზე ასპარეზობის თემას შევეხეთ.**

- ლონდონში რომ ჩავედი წონას ვიკლებდი, რაც ძალიან მძიმე პროცესია. ასეთ დროს ადრეც მუდამ ვეუბნებოდი ხოლმე საკუთარ თავს „ეს ოფლის ღვრა ფუჭად ხომ არ უნდა შემრჩეს, მოგება მინდა-მეთქი“. ოლიმპიადაზე წინა დღით 60 კგ-ის ჭიდაობას ტრიბუნებიდან ვუყურებდით მე და ნაკრების მწვრთნელი გიორგი ვაზაგაშვილი, რომელიც მამხნევებდა: „აი ნახავ, ხვალ მე ისევ აქ ვიჯდები და გიყურებ, როგორ დადგები კვარცხლბეკზეო“. მეორე დილით მან წამიყვანა აწონვაზე, წონა ჩავაბარე და შევუდექი ასპარეზობას. ტატამზე ყოველი გასვლის წინ პირჯვარს ვიწერდი, ვითვალისწინებდი, რომ გულზე მქონდა საქართველოს დროშა, მეკეთა ჯვარი, რომელიც ყველაფრისგან დამიფარავდა, მთავარი იყო, ხელი გამენძრია. სარბიელზე შევდიოდი თავისუფლად და ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი სანუკვარი გამარჯვებისაკენ. პირველი მოწინააღმდეგე ალესანდრო ზუნიგა (ჩილე) შედარებით სუსტი მეტოქე აღმოჩნდა, მასთან იოლად მოვიგე. შემდეგ დავიდ ლაროსესთან მსაჯებმა გდება ჯერ მომცეს, მერე მომიხსნეს, თუმცა ვამჩნევდი, რომ ფრანგი მაინც ვერ გადამირჩებოდა, რადგან მკლავებში ვგრძნობდი ჩემი შეტევებისას წინააღმდეგობის გაწევა როგორ უჭირდა. ისიც დავაიპონე. სხვათა შორის, თავდაპირველად მონიჭებული გდება, რამდენიმე წამში ინგლისელ კოლინ ოატსთანაც გამიუქმეს, რომელიც მეოთხედფინალში შემხვდა. თუმცა მის მიმართ სიმპათიით მხოლოდ მსაჯები კი არა, ბუნებრივია, ადგილობრივი პუბლიკაც იყო განწყობილი. დამატებითი დრო რომ წავიდა, ვიცოდი მსაჯების გადასაწყვეტი (ჰანტეით) არ უნდა გამეხადა შეხვედრის ბედი, თორემ დარწმუნებული ვიყავი, ისინი არ მომაგებინებდნენ, ამიტომ ისეთი გაშმაგებით შევუტიე ინგლისელს, რომ სუნთქვა ძალიან გაუხშირდა, გატყდა, დავეცი ტატამზე და იქვე ჰან-სოკო-მაკეც მივაყოლე (მევბოჭე). ეს ბევრმა ჩათვალა, რომ ჩემი მაქსიმუმი იყო, რადგან წინ, ნახევარფინალურ ეტაპზე მსოფლიოს ჩემპიონი მასაში ებინუმა (იაპონია) მელოდა. მას არასოდეს შევხვედროდი, მაგრამ ერთობლივ წვრთნებზე რამდენჯერმე ვნახე და შევამჩნიე, რომ გდებით, რომლითაც ლონდონში მოვუგე კიდეც, მისი დამარცხება შეიძლებოდა. იაპონელთან პაექრობა თავიდანვე აგრესიულად დავიწყე, რაზეც ებინუმა რაღაცნაირად შედრკა და ვერაფრით დაალაგა ჭიდაობა. მერე იმ ზემოხსენებულ ფანდზე მისი წამოგების ჩემი რამდენიმე მცდელობა იყო და ბოლოს სუფთა გამარჯვება.

**- ებინუმასთან გამარჯვებას როგორ შეხვდნენ ქართულ დელეგაციაში?**

- ამან მართლა ბევრი გააოცა. ტატამიდან გამოსვლისთანავე უამრავი საქებარი სიტყვა მოვისმინე, თუმცა ვცდილობდი ნაკლები ყურადღება მიმექცია ამისთვის, რათა კონცენტრაცია არ დამეკარგა. პეტერ ზაიზენბახერმა მათ უთხრა: „ლაშას ჯერ არაფერი მოუგიაო“ და ყველას სთხოვა არ შევეწუხებინე. დავჯექი განმარტოებით ექიმთან და მწვრთნელებთან ერთად და დაველოდე ფინალს.

**- იქ შენი მეტოქე ასაკით, გამოცდილებით და ტიტულებით მნიშვნელოვნად უფროსი მიკლოშ უნგვარი შეგხვდა.**

- როცა ძიუდოში ვარჯიში დავიწყე გორის დარბაზში, უნგვარი უკვე ევროპის ჩემპიონის ტიტულს ფლობდა. მაგრამ ფინალის წინ, ცხადია, ამაზე არ ვფიქრობდი. ფინალში გასულს ოქროს გარეშე შინ წასვლა არ შემეძლო და მხოლოდ ეს მიტრიალებდა თავში. უნგვარს იუკო ავუღე, აქ უკვე გარისკვა არ ღირდა, უპირატესობის შენარჩუნება კი ბოლომდე შევძელი. საოცარი შეგრძნება ყოფილა, როცა გამარჯვება მხოლოდ ერთს კი არა მთელ შენს ქვეყანას ეკუთვნის.

**- ოლიმპიადაზე შენი გამარჯვების მთავარი განპირობებელი რა იყო?**

- უდიდესი შრომა, რომელიც ძიუდოში მოსვლის დღიდან გავწიე და ღვთის შეწევნით დამიფასდა კიდეც. შრომა მხოლოდ ვარჯიში არ არის, სპორტსმენმა დასვენებაც უნდა იცოდეს, შეჯიბრებისთვის ფსიქოლოგიური მომზადებაც, მიზნისკენ ჯიქურ სწრაფვა და ა. შ.

**- ამ წარმატებაში პირადი მწვრთნელის წვლილიც დიდია...**

- რასაკვირველია. ოლიმპიადამდე ხომ ძალიან დიდი გზა გავიარე გორის დარბაზში მომუშავე მწვრთნელების დახმარებით, მათი მეთვალყურეობით. ნიკო ბიბილაშვილი დღესაც შვილივით მექცევა, სულ თვალყურს მადევნებს. პირადი მწვრთნელი სპორტსმენს მიმართულებას აძლევს, რათა ნიჭი და ენერგია სწორი გზით მიმართოს. არა მარტო სპორტსმენად, პიროვნებად ჩამოყალიბებაშიც იღებს იგი უშუალო მონაწილეობას.

**- მნიშვნელოვანი ტიტულები ბევრისთვის თავბრუდამხვევია და ეიფორიაში აგდებს.**

- არანაირი ეიფორია. არაფერი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში ახალი გარდა ტიტულის მოპოვებისა. ძველებურად შევდივარ გორის დარბაზში სავარჯიშოდ, ისევ ის უფლებები მაქვს, რაც ადრე მქონდა. იმავენაირად ვურთიერთობ ჩემს თანადარბაზელ მეგობრებთან.

**- ოლიმპიური ჩემპიონის სიტყვას და საქციელს სხვა ფასი აქვს. საზოგადოება ამას ყურადღებით აკვირდება.**

- რა თქმა უნდა, ვგრძნობ პასუხისმგებლობას. ახლა ჩემი სიტყვა სხვაგვარად იზომება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩემს დამოკიდებულებას პატარებთან. ადრე დარბაზში ტიტულოვანი ფალავანი რომ შემოვიდოდა, პირადად მე სულ თვალებში შევციცინებდი. მის ყველა ნათქვამს ვაკვირდებოდი. ახლა იმავეს ჩემი დარბაზში შესვლისას სხვებისგან ვგრძნობ და ვცდილობ შესაბამისად ვიურთიერთო უმცროსი ასაკის სპორტსმენებთან.

**- ოლიმპიადის შემდეგ ოპერაციის გამო გარკვეული ხანი გაგიცდა და მერე ევროპის ჩემპიონატზე ბევრისთვის საკუთარი შესაძლებლობების ხელახლა დამტკიცებამ მოგიწია.**

- ოლიმპიადის შემდეგ აუცილებლად უნდა დამესვენა. ამიტომ მომენტი გამოვიყენე და ოპერაცია გავიკეთე. სარეაბილიტაციო პერიოდმა კარგად ჩაიარა, არაფერს ვუჩიოდი, თუმცა პრობლემები მერე შემექმნა. კერძოდ, ზამთარში ბაკურიანის შეკრების შემდეგ ამტკივდა წელი, ვიმკურნალე და მალე მოვირჩინე კიდეც, მაგრამ ზუსტად ევროპის ჩემპიონატის წინ უკვე საშინლად ამტკივდა ბარძაყის კუნთი. შეჯიბრების დაწყების წინ დილით ვერც კი „გავხურდი“ ვარჯიშზე. ისიც ვიფიქრე, ადგილს რატომღა ვაცდენ, სხვა მაინც წამოსულიყო-მეთქი ჩემს ნაცვლად, თუმცა ემოციებს ვძლიე და მტკიცედ გადავწყვიტე გამეკეთებინა ის, რასაც ჩემგან კეთილისმსურველები ელოდნენ. ისიც არ დამვიწყებია, ლონდონის შემდეგ ზოგი რომ ამბობდა შავდათუაშვილმა „შემთხვევით მოიგო ოლიმპიადაო“ (?), მათთვისაც მქონდა დასამტკიცებელი.

**- ტკივილების გამო იყო, რომ ევროპის ჩემპიონატი ცოტა არ იყოს „მძიმედ“ დაიწყე?**

- დიახ. საბედნიეროდ, პირველი და მეორე შეხვედრის მერე მტკივანი ადგილი შედარებით გამიყუჩდა და ჩემპიონობამდეც მივედი. მე ვიცოდი, რომ ჩემგან ხალხი აქ უკვე აუცილებლად ელოდა გამარჯვებას და ჯანმრთელობის პრობლემაზე საუბარი უმრავლესობას საერთოდ არ აინტერესებდა. ვიცოდი, რომ არ მეპატიებოდა წაგება და ვალდებული ვიყავი, ოქროს მედალი აქაც ამეღო.


ლონდონი, 2012 წლის 29 ივლისი. 66 კგ-მდე ძიუდოისტთა საპატიო კვარცხლბეკი. მარცხნიდან მეორე ლაშა შავდათუაშვილი

**- ხშირ პრინციპულ მეტოქეებს არენის მიღმა ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა უყალიბდებათ, შენ თუ გაქვს ურთიერთობა ებინუმასთან ან უნგვართან?**

- უნგრელს უფრო ხშირად ვხვდები შეჯიბრების შემდეგ ერთობლივი წვრთნებისას, იაპონელს ნაკლებად. ეს უკანასკნელი ცოტა უხასიათო ჩანს - ვერ გააცინებ. უნგვარი კი გულღია, კონტაქტური ადამიანია. სხვათა შორის, ქართული სიტყვებიც იცის, რადგან კლუბში ქართველებთან ერთადაც ჭიდაობდა და მეტყვის ხოლმე: „მიდი, ბიჭო, მაგარი ხარ!“ მოგეხსენებათ, უნგვარმა წონა შეიცვლა და ახლა 73 კგ-ში გამოდის.

**- მოახლოებულია მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც უკვე ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონის სტატუსით მიდიხარ.**

- კონტინენტის ჩემპიონატის შემდეგ ყველა შეკრება გავიარე, მაქსიმალურად შევეცადე, რომ საწვრთნელი პროცესი ჩემთვის ნაყოფიერი გამოსულიყო. ახლა ჩვეულებრივ, მორიგ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე შევეცდები ყველაფერი გავაკეთო წარმატებისთვის.

**ვასილ ბალახაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი


სტივენ ფრაი

# არა სოჭის ოლიმპიადას

პოპულარული ბრიტანელი მსახიობი და მწერალი **სტივენ ფრაი** ყველას მოუწოდებს სოჭში ოლიმპიური თამაშების ბოიკოტისკენ.

არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ფრაი თანამედროვე რუსეთში სექსუალურ უმცირესობათა ჩაგვრას 1936 წელს, ბერლინის ოლიმპიადის დროს ჰიტლერის გერმანიის მიერ ებრაელთა დევნას ადარებს.

*„მე გეი ვარ და ებრაელი. დედაჩემმა ჰიტლერის ანტისემიტიზმით მიზეზით თორმეტამდე ნათესავი დაკარგა. რუსული პოლიცია ყურადღებას არ აქცევს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა ცემას, მკვლელობასა და დამცირებას. მე ისევ ვტირი, რადგან ვხედავ, როგორ მეორდება ისტორია“*, - აღნიშნა ფრაიმ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ წერილში.

*„არასაკმარისია იმის თქმა, რომ გეი-ოლიმპიელები უსაფრთხოდ ვერ იგრძნობენ თავს შეჯიბრებების დროს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მტკიცედ და ხისტად უნდა გამოვიდეს იმ ბარბაროსული და ფაშისტური კანონის წინააღმდეგ, რომელიც პუტინს დუმაში გააქვს. მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ ოლიმპიადა არა მხოლოდ სპორტული, არამედ კულტურული ღონისძიებაცაა. სოჭში თამაშების აბსოლუტური აკრძალვა აუცილებელია. ჩაატარეთ ოლიმპიადა იუტაში, ლილეჰამერში ან ნებისმიერ სხვა ადგილას. პუტინმა არ უნდა მიიღოს ცივილიზებული მსოფლიოს მხარდაჭერა და აღიარება“*, - აგრძელებს ბრიტანელი მსახიობი.

ამას წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** ტელეეთერში დაგმო რუსეთში მიღებულ კანონი, რომელიც ზღუდავს სექსუალური უმცირესობების უფლებათა დამცველების შესაძლებლობებს. ორი დღის წინ კი ნიუ იორკის დაახლოებით ორასამდე რესტორნის მფლობელმა გამოხატა ამასთან დაკავშირებით პროტესტი, როცა უარი თქვა რუსული არყის რეალიზაციაზე.

ამბები

**კრივი**

## მოზლი ბრიტანელს შეხვდება

სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 41 წლის ამერიკელი **შეინ მოზლი** თავის ერთ-ერთ სავარაუდო მეტოქედ პირველ ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონს, 26 წლის ბრიტანელ **ამირ ჰანს** განიხილავს. მოზლის 7 დეკემბერს აქვს დანიშნული მორიგი ორთაბრძოლა და ახლა, მოწინააღმდეგის არჩევით არის დაკავებული.

შეგახსენებთ, რომ ადრე ჰანმა ნახევარადსაშუალო წონაში გადასვლის შესახებ გამოაცხადა. თავდაპირველად, მის სავარაუდო მეტოქედ განიხილებოდა ამ წონაში IBF-ის ვერსიით ჩემპიონი, 26 წლის **დევონ ალექსანდერი**, მაგრამ მხარეებმა მოლაპარაკება ვერ შეძლეს.

**ჰოკეი**

## უმცროსი ტიხონოვის ტრაგიკული ბედი

მოსკოვში გარდაიცვალა ლეგენდარული საბჭოთა მწვრთნელის **ვიქტორ ტიხონოვის** ვაჟი - **ვასილი ტიხონოვი**, რომელიც ასევე ჰოკეის სპეციალისტი იყო.

უმცროსი ტიხონოვი ახალი არბატის ქუჩაზე, საკუთარ სახლში იპოვეს გარდაცვლილი. მას ხელში დანა ეჭირა. ჯერჯერობით, რუსული პოლიციისთვის უცნობია - ეს იყო სუიციდი თუ უბედური შემთხვევა.

56 წლის ვასილი ტიხონოვი მთავარ მწვრთნელად მუშაობდა ფინეთის „ესეტსა“ და შვეიცარიის „ლუგანოში“, იყო NHL-ის კლუბ „სან ხოსე შარქსის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი. ბოლოს მოსკოვის ცსკა-ს გენერალური მენეჯერის **სერგეი ფიოდოროვის** მრჩევლის როლს ასრულებდა.

**ძიუდო**

## პუტინის მწვრთნელი მოუკვდა

75 წლის ასაკში გარდაიცვალა ძიუდოში რუსეთის პრეზიდენტის, **ვლადიმერ პუტინის** პირველი მწვრთნელი **ანატოლი რახლინი**. გარდაცვალების მიზეზი ხანგრძლივი ავადმყოფობა გახდა.

რახლინი პუტინს ათი წლის განმავლობაში ავარჯიშებდა. თავისი კარიერის განმავლობაში, მან ასამდე სპორტის ოსტატი მოამზადა. ბოლოს ის რუსეთის ქალთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა ლონდონის ოლიმპიადაზე, სადაც რუსები მედლების გარეშე დარჩნენ.

ჩოგბურთი

# შტეფი გრაფი vs სერენა უილიამსი

## ESPN-მა ორი დიადის ვირტუალური მატჩი მოაწყო

ამერიკულ ვებგვერდ ESPN-ს საინტერესო რუბრიკა აქვს - ის ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეებს შორის ვირტუალურ მატჩებს აწყობს. ვებგვერდის ექსპერტები აანალიზებენ მოთამაშეთა უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს მათი სპორტული ფორმის პიკის პერიოდში და ამ ხერხით ვირტუალური გამარჯვებულის გამოვლენას ცდილობენ. საბოლოო სიტყვა ყოფილ ამერიკელ ჩოგბურთელს, ამჟამად მწვრთნელსა და ექსპერტს **ბრედ გილბერტს** ეკუთვნის.

ამჯერად, ESPN-მა ორი ლეგენდარული ჩოგბურთელი დააპირისპირა - გერმანელი **შტეფი გრაფი** და ამერიკელი მოქმედი სპორტსმენი **სერენა უილიამსი**. ვირტუალური მატჩის ჩატარების ადგილად ავსტრალიის ღია პირველობა დასახელდა.

### ფაქტორები შტეფი გრაფის სასარგებლოდ

ალბათ, ყველაზე რთული სწორედ ამ მატჩის გამარჯვებულის განსაზღვრა უნდა იყოს. ბევრი რამ პირად სიმპათიებს ეფუძნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არასოდეს გახდება ცხადი, ვინ არის ამ ორს შორის საუკეთესო.

გრაფი ყველა დროის სამ უდიადეს ჩოგბურთელს შორის იკავებს ადგილს - ამაზე არავინ კამათობს. უფრო მეტიც, კარიერული მონაცემებით, ჩოგბურთის ისტორიაში შტეფის პირველ ადგილზე დაყენება შეიძლება. თავად განსაჯეთ: მან მოიგო „დიდი სლემის“ 22 ტიტული, გაიმარჯვა WTA-ის 107 ტურნირში და 377 კვირის განმავლობაში სათავეში ედგა კლასიფიკაციას. სხვათა შორის, 107 ტიტული ორჯერ მეტია სერენას ამჟამინდელ მაჩვენებელზე.

თუმცა ავსტრალიის ღია პირველობაზე მათი მაჩვენებლები პრაქტიკულად იდენტურია: გრაფმა აქ მოიპოვა ოთხი ტიტული, მატჩების სტატისტიკა კი ასე გამოიყურება: 47 მოგება-6 წაგება. უილიამსს მელბურნში ხუთჯერ გაუმარჯვია, ხოლო მოგება/წაგების სტატისტიკა ასეთი აქვს: 54-7.

იმის მიუხედავად, რომ გრაფი ყველას ანადგურებდა თავისი ფორჰენდით, მას გაუჭირდებოდა სერენას ძალასთან გამკლავება. თუმცა ავსტრალიის ღია პირველობის თანამედროვე ნელი საფარი, გარკვეულწილად, გაანეიტრალებდა სერენას ტემპს. ამას ასევე ხელს შეუწყობდა გერმანელის ათლეტიზმი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ბევრი მოწინააღმდეგის დამარცხებაში. ავსტრალიაში მათი შეხვედრა ნამდვილი ტესტი იქნებოდა ამტანობაზე, ამაში კი გრაფი ყოველთვის ძლიერი იყო.

1988-90 წლებში, სამი სეზონის განმავლობაში, შტეფიმ ავსტრალიის ღია პირველობაზე მხოლოდ ერთი სეტი წააგო. ეს არის ჩოგბურთის ისტორიაში ერთი ჩოგბურთელის დომინირების ერთ-ერთი უდიადესი პერიოდი, როცა გრაფმა „დიდი სლემის“ ცხრა ტიტულიდან რვა მოიგო. 1988 წელს, მან კალენდარული „დიდი სლემი“ შეასრულა, რასაც სეულის ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედალი დაუმატა. ეს იყო გამარჯვებათა დაუჯერებელი სერია, სადაც გერმანელის ძალა კარგად ეხამებოდა ნებისმიერ საფართან ბრწყინვალე ადაპტაციის უნარს.

კორტზე გრაფი თითქმის არ ავლენდა ემოციებს, მას არ ჰქონდა ისეთი ჩავარდნები, როგორსაც, ხანდახან სერენას მოქმედებაში ვხედავთ. გერმანელი ჩოგბურთელი მოედანზე გადიოდა ისე, რომ მხოლოდ ერთ მიზანს იყო დამორჩილებული - მოგება.

### ფაქტორები სერენა უილიამსის სასარგებლოდ

ამ სეზონში ჩოგბურთის მოყვარულმა ბევრი სენსაცია იხილა, მაგრამ გულშემატკივრებს შორის ყველაზე დიდი გაოცება გამოიწვია სერენას მარცხმა ავსტრალიის ღია პირველობასა და უიმბლდონის მეოთხე რაუნდში.

ამ სეზონში ამერიკელი ფანტასტიკურად თამაშობდა. მან მოიგო ზედიზედ 34 შეხვედრა, რაც საუკეთესო სერიაა მის კარიერაში. ის პრაქტიკულად ყველა ტურნირზე იმარჯვებდა. რამდენიმე კვირაში სტარტს აიღებს ამერიკის ღია პირველობა და ვინ არის დღეს ისეთ ფორმაში, რომ უმცროსი უილიამსის შეჩერება შეძლოს? რა თქმა უნდა, არავინ ამტკიცებს იმას, რომ ამერიკელი დაუმარცხებელია, მაგრამ მაინც, უმრავლესობა ვერ გარისკავს ფსონის ჩამოსვლას სერენას წაგებაზე.

დიახ, უილიამსმა წააგო **სლოუნ სტივენსთან** ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალი, მაგრამ მას მელბურნში ხუთი ტიტული აქვს მოპოვებული. თანამედროვე ჩოგბურთში მას არ ჰყავს ისეთი მეტოქე, როგორიც შეიძლებოდა შტეფი გრაფი ყოფილიყო.

ვერავინ დაიკვეხნის სერენაზე რეგულარული გამარჯვებებით. ეს ეხება ფიზიკურად ისეთ ძლიერ ჩოგბურთელებს, როგორიც **ვინუს უილიამსია**, რომელიც დაახლოებით ათი წლის წინ დომინირებდა საკუთარ დაზე. ეხება ასევე ჭკვიან და ტექნიკურ მოთამაშეებს. ასეთი იყო **ჟუსტინ ანენი**, რომელსაც ექვსჯერ დაუმარცხებია სერენა, მაგრამ აქედან ოთხჯერ გრუნტზე, თანაც ამერიკელისთვის არც ისე წარმატებულ სეზონებში.

ნებისმიერ ლეგენდარულ სპორტსმენს აქვს ნაკლი. ეს შეიძლება იყოს უხერხული მეტოქე, რომელთანაც ის რეგულარულად აგებს, ან უხერხული საფარი. თუ გავიხსენებთ ახლო წარსულში სერენა უილიამსის წაგებებს, გონებაში ამოტივტივდება ბალახზე **საბინ ლისიცკისთან**, ჰარდზე **ვიქტორია აზარენკასთან** და გრუნტზე **ვირჟინ რაზანოსთან** მარცხი. საერთო ჯამში, ეს ერთეული შემთხვევები შეგვიძლია მივაწეროთ იმ კონკრეტულ მომენტში დიადი ამერიკელის ცუდ ფორმას.

დღეისთვის, სერენას თაობის პრაქტიკულად ნებისმიერი ჩოგბურთელი ვერ ახერხებს დიდი თამაშის ჩვენებას. ამ დროს კი სერენას, 2011 წლიდან მოყოლებული, 80 მატჩი აქვს მოგებული და მხოლოდ 7 წაგებული. ეს დაუჯერებელი ციფრებია. სპორტული ფორმის პიკზე მყოფი შტეფი გრაფისთვისაც კი ძალიან რთული იქნებოდა ამ „ქარიშხლის“ მოგერიება, მით უმეტეს, რომ სერენას ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო მოწოდება გააჩნია.

### ბრედ გილბერტის ვერდიქტი

ისტორიას არ ახსოვს უფრო დიადი მოთამაშეები. ამ დაპირისპირებაში ერთმანეთს შეხვდებოდნენ XX საუკუნის უდიადესი ჩოგბურთელი და XXI ასწლეულის საუკეთესო სპორტსმენი.

მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე შტეფი დომინირებდა ჰარდის საფარზე, მას სერენას დამარცხების ყველაზე კარგი შანსი გრუნტზე ექნებოდა. უფრო სწრაფ კორტზე ჩვენ ვიხილავდით შტეფისა და ტემპის ბრწყინვალე ნაზავს, ხოლო სერენას ძალა და მისი ბრწყინვალე მოწოდება, ამერიკელს ამ მატჩებში ფავორიტად აქცევდა.

და მაინც, გილბერტის აზრით, შტეფი გრაფისა და სერენა უილიამსის ათ ურთიერთდაპირისპირებაში ანგარიში - 5:5 იქნებოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები



დომინიკა ციბულკოვა

# ვინუსის დრო გავიდა

ქალების ტურნირი ტორონტოში ზუსტად იმ სტადიაზეა, როგორზეც კაცების მასტერსი მონრეალში - აქ დასრულდა პირველი რაუნდი და გაიმართა მეორე წლის ორი შეხვედრა.

როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება ლეგენდარული ამერიკელის **ვინუს უილიამსის** კარიერა. 33 წლის ჩოგბურთელი ველარ უმკლავდება ვერც ქრონიკულ ტრავმებსა და ვერც ასაკს და პრაქტიკულად ყველა ტურნირზე საწყის რაუნდში ეთიშება ბრძოლას. ასე მოხდა ტორონტოში, თუმცა ისიც უნდა ალვნიშნოთ, რომ ვეტერანმა დიდი ბრძოლა გაუმართა უიმბლდონის ნახევარფინალისტს, ბელგიელ **კირსტენ ფლიპკენსს**.

პირველ სეტში ამერიკელმა ახალგაზრდობა გაიხსენა და ბრწყინვალე ჩოგბურთი აჩვენა. ამან მას 6:0 გამარჯვება მოუტანა. მეორე სეტში თამაში გათანაბრდა, თუმცა ამ პარტიაში იყო მომენტი, როცა ვინუსს შეეძლო საბოლოოდ გაეტეხა ბელგიელის წინააღმდეგობა. 4:4-ზე და მეტოქის მოწოდებაზე, უფროს უილიამსს ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ეს შანსი რომ გამოეყენებინა, მატჩზე ჩაწოდების უფლებას მიიღებდა, მაგრამ ამერიკელმა ვერ შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა. ფლიპკენსმა გადაარჩინა ურთულესი გეიმი, შემდეგ ბრეიკი გააკეთა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა, მესამე პარტიაში კი მისი უპირატესობა უკვე აშკარა იყო - 0:6, 6:4, 6:2.

მორიგი ნაადრევი წაგების მიუხედავად, ვინუს უილიამსმა განაცხადა, რომ დანებებას არ აპირებს, მაქსიმალურად მონდომებით ივარჯიშებს მომდევნო სამი კვირა და ეცდება, ღირსეულად გამოვიდეს ამერიკის ღია პირველობაზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია მეორე წრის მატჩმა **დომინიკა ციბულკოვასა და ანჟელიკ კერბერს** შორის. სლოვაკი ქალთა ტურის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ამასთან, არასტაბილური მოთამაშეა. მას ნებისმიერი ფავორიტის დამარცხება შეუძლია, რაზეც ერთი სტატისტიკური მონაცემი მეტყველებს - დომინიკას კარიერაში 19-ჯერ ჰყავს დამარცხებული TOP10-ის წევრები, მაგრამ, ამასთან, ხშირად აგებს მასზე რანგით გაცილებით დაბლა მდგომ ჩოგბურთელებთან.

ორი კვირის წინ, ციბულკოვამ სტენფორდის ტურნირი მოიგო, როცა ფინალში **აგნიეშკა რადვანსკა** დაამარცხა, შემდეგ კი პირველივე წრე წააგო ვაშინგტონში. ახლა, სლოვაკმა კარგად დაიწყო ტორონტოს ტურნირი, როცა მეორე წრეში მსოფლიოს მე-9 ჩოგანს, გერმანელ **ანჟელიკ კერბერს** გაუსწორდა. თანაც, დომინიკას ხასიათის სიმტკიცის გამოვლენა დასჭირდა, რადგან გადამწყვეტ მესამე სეტში 1:4 იყო ჩამორჩენილი. საბოლოოდ, თამაში 2 საათი და 57 წუთი გაგრძელდა და ციბულკოვამ ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა - 6:7(0), 6:2, 7:5.

■ ■ ■

გუშინ, ინტერესით ელოდნენ ერთ შეხვედრას წყვილებს შორის. როგორც იცით, დიდ ჩოგბურთს დაუბრუნდა ლეგენდარული შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, რომელიც დუეტში სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან** ერთად თამაშობს. ამ წყვილმა გასულ კვირას კარლსბადში ითამაშა, გაიარა **იულია გორგესისა და დარია იურაკის** დუეტი (6:1, 6:1), მაგრამ მეორე რაუნდში დამარცხდა მომავალ ჩემპიონებთან - **რაკელ კოპს-ჯონსთან** და **ებიგეილ სპირსთან**.

ახლა კი ჰინგისისა და ჰანტუხოვას წყვილმა პირველი მატჩი მოიგო ტორონტოში. მათ დაამარცხეს **ანჟელიკ კერბერისა და პეტრა კვიტოვას** დუეტი. შვეიცარიელმა და სლოვაკმა ცუდად დაიწყეს მატჩი და 1:3 ჩამორჩნენ, მაგრამ მომდევნო 14 გეიმიდან 11 აიღეს და 6:4, 6:2 მოიგეს.

**Rogers Cup**

**ტორონტო (კანადა). პარდი**

**საპრიზო ფონდი: 2 369 000**

**I წრე**

**რობერტა ვინჩი (იტა, 10)**-იულია გორგესი (გერ) 2:6, 6:4, 6:3; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 14)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 6:2, 7:6(5); **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)**-კეროლ ჟაო (კან) 6:1, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 16)**-სუვეი ჰსიე (ტაივ) 6:1, 6:2; **მარია კირილენკო (რუს, 11)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:2, 6:1; **ლორენ დევისი (აშშ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) 3:6, 7:5, 7:5; **ალიზ კორნე (საფ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:3, 6:3; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:1, 7:5; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 15)**-ანა ტატიშვილი (საქ) 7:6(6), 4:6, 6:3; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ, 13)**-ვინუს უილიამსი (აშშ) 0:6, 6:4, 6:2; **ეჟენი ბუშარი (კან)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:3, 6:1; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 12)**-იულია გლუშკო (ისრ) 5:7, 6:2, 6:3.

**II წრე**

**დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 8) 6:7(0), 6:2, 7:5; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:2, 6:3.

ჩოგბურთი. ტურნირები

# ამერიკის დაცემა

## პირველად ჩოგბურთის ისტორიაში, აშშ-ს ATP-ის TOP20-ში წარმომადგენელი არ ეყოლება

ერთი კვირის განმავლობაში, კანადა საჩოგბურთო ცენტრი გახდა. მონრეალში იმართება მამაკაცების მორიგი მასტერსი, ტორონტო კი ქალთა უმაღლესი კატეგორიის ტურნირს მასპინძლობს.

გუშინ, მონრეალში ისტორიული მომენტი დაფიქსირდა. კანადელმა უაილდქარდის მფლობელმა **ვაშეკ პოსპიშილმა** სამსეტიან ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა ამერიკელი **ჯონ ისნერი**, რაც, ჯერჯერობით, ტურნირის მთავარი სენსაციაა. ისნერი ბოლო დროს კარგ ფორმაში იმყოფებოდა - ორი კვირის განმავლობაში მოიგო ატლანტას ტურნირი და ვაშინგტონის შეჯიბრში ფინალში ითამაშა, სადაც სამ სეტში დამარცხდა არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან**. როგორც ჩანს, ზედიზედ მესამე ტურნირისთვის ისნერს ძალები აღარ ეყო, თუმცა პოსპიშილთან მატჩის მოგების კარგი შანსი ჰქონდა. ის 4:2-ს იგებდა გადამწყვეტ პარტიას, მაგრამ კანადელმა საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. იქაც ამერიკელი 4:2 დაწინაურდა, რის შემდეგაც, ზედიზედ ხუთი ქულა წააგო და მატჩი მეტოქეს ჩააბარა - 7:5, 6:7(5), 6:7(4). აღსანიშნავია, რომ ამ მატჩამდე ისნერს მიმდინარე სეზონში 37-დან 28 ტაიბრეიკი ჰქონდა მოგებული.

ისტორიული მომენტი კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ წაგების შემდეგ, ისნერი დატოვებს ATP-ის რეიტინგის საუკეთესო ოცეულს და იქ არც ერთი ამერიკელი აღარ დარჩება. ასეთი რამ კი ჩოგბურთის ისტორიაში არასოდეს მომხდარა.

საერთოდ, კანადელმა ჩოგბურთელებმა პირველ წრეში ასპროცენტიანი მაჩვენებელი დააფიქსირეს. ძირითად ბადეში ამ ქვეყნის ხუთ წარმომადგენელს ვხედავთ და ხუთივემ შეძლო მეორე რაუნდში გასვლა: პოსპიშილის გარდა, მოიგეს თავიანთი შეხვედრები **მილოშ რაონიჩმა, ფრენკ დანჩევიჩმა, იესე ლივაინმა** და **ფილიპ პელივომ**. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ უკანასკნელის გამარჯვება. 19 წლის პელივო თანამედროვე ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. შარშან ის დომინირებდა იუნიორთა დონეზე, იყო პირველი ნომერი და „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირის ფინალში ითამაშა, აქედან უიმბლდონსა და ამერიკის ღია პირველობაზე მთავარი პრიზი მოიგო. მონრეალის მასტერსის პირველ წრეში მან გამოცდილი ფინელი **იარკო ნიემინენი** დაამარცხა. პირველი სეტის 3:6 წაგების შემდეგ, პელივოს მეორე პარტიაში ერთი მატჩბოლის მოგერიება მოუწია. ეს სეტი მან 7:5 მოიგო, მესამეში კი 3:1 დაწინაურდა, როცა ნიემინენმა ტრავმის გამო თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

■ ■ ■

პარალელურად, სტარტი აიღო მეორე წრემ და პირველი მატჩი ჩაატარა რეიტინგის ლიდერმა და კანადური მასტერსის სამგზის ჩემპიონმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. სერბმა საკმაოდ კარგი ფორმა აჩვენა გერმანელი **ფლორიან მაიერის** წინააღმდეგ. მან 55 წუთში მხოლოდ სამი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის - 6:2, 6:1 და არა მარტო კარგი თამაშით, არამედ მატჩის შემდეგ შესრულებული იმპროვიზებული ცეკვითაც გაართო მაყურებელი. ჯოკოვიჩისთვის ეს იყო კანადის მასტერსზე ზედიზედ მოგებული მე-11 შეხვედრა. ამ სეზონში კი მას 40 მოგება და 6 წაგება დაუგროვდა.

მეორე რაუნდში ნოვაკის მეტოქე უკვე ნახსენებ პელივოსა და უზბეკ **დენის ისტომინს** შორის გამარჯვებული იქნება. ამ უკანასკნელმა პირველ რაუნდში ჯოკოვიჩის თანამემამულე **იანკო ტიპსარევიჩი** გამოთიშა ბრძოლას.

გაირკვა მეორე წრეში ბრიტანელი **ენდი მარეის** მეტოქე. ეს იქნება ესპანელი **მარსელ გრანოლერსი**, რომელმაც გასულ კვირას კიტცბუელის გრუნტის ტურნირი მოიგო, ახლა კი მონრეალის ჰარდზე ორ სეტში დაამარცხა ბულგარელი გრიგორ დიმიტროვი - 6:4, 6:4.

გრანოლერსის მსგავსად, ბოლო პერიოდში კარგ ფორმას აჩვენებს იტალიელი **ფაბიო ფონინი**, რომელიც ამ ტურნირზე ენდი მარეის პოტენციური მეტოქეა მერვედფინალში. აპენინელმა 1:6, 6:1, 6:1 მოუგო კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისს**. უიმბლდონიდან მოყოლებული, ფონინიმ სამი ტურნირის ფინალში ითამაშა, მთავარი პრიზი მოიგო შტუტგარტსა და ჰამბურგში და უმაგში დამარცხდა **ტომი რობრედოსთან**.

კინაღამ კიდევ ერთი სენსაცია მოხდა პოლონელი **იერჟი იანოვიჩისა** და ფრანგი **ჟულიან ბენეტოს** შეხვედრაში. ეს მატჩი სამი სეტი გაიწელა და გადამწყვეტ პარტიაში უიმბლდონის ნახევარფინალისტი 2:4 ჩამორჩა, მაგრამ მოახერხა გადამრჩენი ბრეიკის გაკეთება და 5:5-ზე ზედიზედ ორი გეიმის აღებით თავის სასარგებლოდ დაასრულა მატჩი.

■ ■ ■

გუშინ, კორტზე გასვლამ მოუწია ესპანელ **რაფაელ ნადალს**. სათამაშო პრაქტიკის სწრაფად აღდგენისთვის, ის მონრეალში წყვილთა თანრიგშიც გამოდის. პირველ წრეში ნადალისა და **პაბლო ანდუხარის** დუეტმა ასევე ესპანური წყვილი დაამარცხა **დავიდ ფერერისა და ფელისიანო ლოპესის** შემადგენლობით - 6:7(2), 6:1, 12:10. აღსანიშნავია, რომ საჩემპიონო ტაი-ბრეიკზე ნადალი და ანდუხარი 7:9-ს აგებდნენ, მაგრამ მოახერხეს ორი მატჩბოლის მოგერიება.

ნადალი ანდუხართან ერთად პირველად თამაშობს წყვილებში, ისე კი შეგახსენებთ, რომ რაფას კარიერაში ATP-ის რვა ტიტული აქვს მოგებული წყვილთა თანრიგში.

**Rogers Cup**

**მონრეალი (კანადა). პარდი**

**საპრიზო ფონდი: 2 887 085**

**ერნესტ გულბისი (ლატ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 7:6(4), 6:4; **დენის ისტომინი (უზბ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 16) 6:4, 6:3; **იერჟი იანოვიჩი (პოლ, 15)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 3:6, 6:3, 7:5; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12) 6:3, 6:7(4), 6:3; **ალექს ბოგომოლოვი (რუს)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:2, 4:6, 6:3; **ფაბიო ფონინი (იტა, 13)**-მარკო ბაღდატისი (კვიპ) 1:6, 6:1, 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 7:6(3); **ვაშეკ პოსპიშილი (კან)**-ჯონ ისნერი (აშშ) 5:7, 7:6(5), 7:6 (4); **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 7:6(0), 6:4; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 6:4, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ჟილ სიმონი (საფ, 14) 2:6, 6:1, 6:1; **მილოშ რაონიჩი (კან, 11)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:3, 4:6, 7:5; **ტომი ჰაასი (გერ, 10)**-დავიდ გოფენი (ბელ) 7:6(4), 6:3.

**II წრე**

**კეი ნიშიკორი (იაპ, 9)**-ანდრეას სეპი (იტა) 4:6, 7:5, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:2, 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 7)**-მარტინ კლიჟანი (სლოვაკ) 6:3, 6:2.



ჯოკოვიჩი კარგა ხასიათზეა

ჰოკეი

# ფინიქსს არიზონას დაუძახებენ

მას შემდეგ, რაც ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბი - „ფინიქს კოიოტზი" კომპანია IceArizona-მ შეიძინა, ახალმა მფლობელებმა გუნდისთვის სახელის გადარქმევა გადაწყვიტეს.

NHL-ის შეფებმა, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქეს. „კოიოტების" გაყიდვის ისტორია წარმატებით დასრულდა - მხარეებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გუნდი, რომელსაც რამდენიმე წელი თავად ლიგა პატრონობდა, ბიზნესმენთა ჯგუფის საკუთრება გახდა. მათ „კოიოტზის" შეძენა 170 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

გარიგების შემდეგ ახალმა მფლობელებმა გამოაცხადეს, რომ კლუბი ადგილმდებარეობას არ შეიცვლის, თუმცა ახალ სახელს დაირქმევს. 2014-15 წლების სეზონიდან მოყოლებული, ის „არიზონა კოიოტზის" სახელით ითამაშებს.

ოთხი წლის წინ, **ჯერი მოიესმა** „ფინიქსი" გაკოტრებამდე მიიყვანა და კლუბი ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ შეისყიდა. ამის შემდეგ იყო მოლაპარაკება მსხვილ ამერიკელ ბიზნესმენთან **ჯერი რეინსდორფთან**, რომელიც ბეისბოლის კლუბ „უაით სოქსსა" და NBA-ის კლუბ „ჩიკაგო ბულზს" ფლობს, მაგრამ გარიგება არ შედგა.

ამ რთულ პერიოდში, "ფინიქსი" ახერხებდა წარმატებით თამაშს და მუდმივად პლეი ოფში გადიოდა. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი გახდა შარშანდელი სეზონი, როცა კლუბი სტენლის თასზე ვერ მოხვდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი

# კალენდარი გამოქვეყნებულია

ევროპულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა 2013-14 წლების რეგულარული ჩემპიონატის კალენდარი.

ოკეანის გაღმა საკალათბურთო სეზონი 29 ოქტომბერს, მაიამიში გაიხსნება, სადაც NBA-ის მოქმედი ჩემპიონი „მაიამი ჰიტი“ „ჩიკაგოს“ უმასპინძლებს. სავარაუდოდ, ეს იქნება „ჩიკაგო ბულზის“ ლიდერის **დერიკ როუზის** პირველი ოფიციალური მატჩი მუხლის ტრავმის შემდეგ, რის გამოც მან მთლიანად გამოტოვა გასული სეზონი. ამავე დღეს კიდევ ორი მატჩი გაიმართება: ლოს ანჯელესში შედგება დერბი „კლიპერსსა“ და „ლეიკერსს“ შორის, „ორლანდო“ კი სტუმრად ჩავა სათამაშოდ „ინდიანასთან“.



მაიამი და ჩიკაგო გახსნიან

**დუაიტ ჰოვარდის** დებიუტი „ჰიუსტონში“ 30 ოქტომბერს, „შარლოტთან“ მატჩში შედგება. იმავე დღეს ექნებათ დებიუტი „ბრუკლინის“ რიგებში **კევინ გარნეტს, პოლ პირსსა და ჯეისონ ტერის** - „ნეტსი“ სტუმრად ითამაშებს „კლივლენდის“ წინააღმდეგ, რომლის რიგებში პირველად გამოვლენ **ენდრიუ ბაინუმი** და 2013 წლის დრაფტის პირველი ნომერი **ენტონი ბენეტი**.

როგორც ყოველთვის, კათოლიკურ შობაზე რამდენიმე საინტერესო მატჩი დაიგეგმა. მაგალითად, ამ დღეს „ლეიკერსი“ „მაიამის“ წინააღმდეგ ითამაშებს, „ოკლაჰომა“ კი ნიუ იორკში შეებრძოლება „ნიქსს“.

საინტერესოა, რომ 4 დეკემბერს, რეგულარული ჩემპიონატის მატჩი „სან ანტონიოსა“ და „მინესოტას“ შორის მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში გაიმართება, - იტყობინება NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

# NBA და ნარკოტიკები


მაიკლ ბისლი

ბოლო ორი დღის განმავლობაში, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთბაშად ორი კალათბურთელი გაეხვია ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სკანდალში.

ერთ დროს დრაფტის მეორე ნომერი, „ფინიქს სანზის“ ფორვარდი **მაიკლ ბიზლი** მარიხუანას შენახვისთვის დააკავეს. პოლიციამ კალათბურთელის მანქანა ავტოსაგზაო წესების დარღვევის შემდეგ დააკავა და ავტომობილის ჩხრეკისას, სამართალდამცავებმა მარიხუანა იპოვეს. ბიზლი დააპატიმრეს, თუმცა მოგვიანებით თავდებით გაათავისუფლეს. კალათბურთელისთვის ოფიციალურად ბრალი ჯერ არ წაუყენებიათ.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის თებერვალში ბიზლი ასევე დააკავა პოლიციამ სიჩქარის გადაჭარბებისთვისა და მანქანის სანომრე ნიშნის გარეშე მართვისთვის.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ მცველი **ტერელ ჰარისი** ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს NBA-ის ანტინარკოტიკული წესების დარღვევის გამო, - წერს ლიგის ოფიციალური ვებგვერდი. კონკრეტულად არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, რა სახის დარღვევაშია მხილებული კალათბურთელი.

ამ ზაფხულს, 25 წლის მცველი „ნიუ ორლეანიდან“ „პორტლენდში“ გადავიდა. გასულ სეზონში მან მხოლოდ 13 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში.

ფორმულა 1

# დიდ ცირკს ნიჭიერები აკლია

„რედ ბულის“ პილოტმა **მარკ უებერმა** აღნიშნა, რომ ბოლო დროს, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე პილოტთა საშუალო დონე დაეცა. ავსტრალიელის აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ნიჭიერ ავტომრბოლებს ფული არ გააჩნიათ. უებერი ამბობს, რომ ამან, შესაძლოა, „დიდი ცირკი“ ცუდ შედეგებამდე მიიყვანოს.

*„თავის დროზე, პოდიუმზე ადიოდნენ ისეთი ბიჭები, როგორებიც იყვნენ ედი ირვაინი და მიკა სალო, - ამბობს ავსტრალიელი პილოტი. - ფორმულა 1-ში გამოდიოდნენ პილოტები, რომლებიც ფორმულა 3000-ში იმარჯვებდნენ. დღესაც ბევრი ნიჭიერი ავტომრბოლი არსებობს, რომელთა უდიდესი ნაწილი ვერ ახერხებს ფორმულა 1-ში მოხვედრას. ეს ძალიან ნაღვლიანი სიტუაციაა. მაგალითად, ფრეინსს შეგვიძლია უდიადესი ახალგაზრდა პილოტი ვუწოდოთ, მაგრამ მას ფული არ აქვს“.*

■ ■ ■

ამასობაში, ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** მზად არის მხარდაჭერა გამოუცხადოს ახალგაზრდა ბრაზილიელ პილოტს **ფელიპე ნასრს**. გაზეთ O Estado de San Paulo-ს მონაცემებით, GP2-ის სერიაში მოასპარეზე 20 წლის პილოტს, შესაძლოა, უკვე მომავალ სეზონში ჰქონდეს დებიუტი ფორმულა 1-ში.

*„მზად ვარ მას ნებისმიერი რჩევა მივცე, - ამბობს ექლსტოუნი ტელეარხ Globo-თან კომენტარში. - მე მჭირდება ბრაზილიელი პილოტი. ნასრზე გუნდების ხელმძღვანელებს ველაპარაკე და ყველა აღნიშნავს მის დიდ პროგრესს. თუმცა ფელიპეს უნდა ესმოდეს, რომ ავტოსპორტის მწვერვალი ახლოა, მაგრამ იქამდე მისვლა არც ისე იოლია. ამის გასაკეთებლად არა მხოლოდ კარგი შედეგები, არამედ ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო“.*

დღეისთვის, ფორმულა 1-ში მხოლოდ ერთი წარმომადგენელია ბრაზილიიდან - **ფელიპე მასა** „ფერარის“ რიგებში ირიცხება. თუმცა იტალიურ გუნდს ჯერ არ გაუხანგრძლივებია ამ პილოტთან კონტრაქტი მომავალი სეზონისთვის. ამასთან დაკავშირებით, გუშინ მასამ განაცხადა, რომ მისი კარიერა „სკუდერიაში“ დამოკიდებულია იმ შედეგებზე, რომელსაც ის სეზონის მეორე ნახევარში აჩვენებს.

*„უახლოესი რბოლის შედეგებმა უნდა გვიჩვენოს - დავრჩები თუ არა გუნდში, - ამბობს ფელიპე მასა. - კონტრაქტის გაგრძელების შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს, მაგრამ, ახლა, უფრო მნიშვნელოვანია შედეგები. კმაყოფილი ვარ იმ სიჩქარით, რომელსაც ამჟამად ვაჩვენებ. ეს ეხება კვალიფიკაციასაც და რბოლებსაც. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე არ მყოფნის, სტაბილურობაა. როცა ეს ნაკლი გასწორდება, შედეგებიც მოვა“.*



ფელიპე ნასრი

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **III საკვ. II მატჩები** | |
| პაფნარი-აუსტრია | 0:0 (0:1) |
| ზენიტი-ნორდსიელანდი | 5:0 (1:0) |
| შერიფი-დინამო (ზ) | 0:3 (0:1) |
| მეტალისტი-პაოკ | 1:1 (2:0) |
| ელფსბორგი-სელტიკი | 0:0 (0:1) |
| პლზენი-ნომე კალიე | 6:2 (4:0) |
| ლეგია-მიოლდე | 0:0 (1:1) |
| ვარეგემი-ეინდჰოვენი | 0:3 (0:2) |
| **ინგლისი** | |
| **ლიგის თასი** | |
| კარლაილი-ბლექბერნი | 2:2 პენ. 4:3 |
| ლიდსი-ჩესტერფილდი | 2:1 |
| ნოტსი-ფლიტვუდი | 3:2 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| მიდტიულანდი-სანდერლენდი | 0:1 |
| სელტა-სპორტინგი (ხ) | 0:1 |
| პენა სპორტი-ოსასუნა | 0:1 |
| ვოლერენგა-ლივერპული | 1:4 |
| ლევანტე-ოლანენსე | 2:1 |
| ოლიმპიაკოსი-ანდერლეხტი | 1:0 |
| ხირონა-ესპანიოლი | 0:2 |
| ნუმანსია-ბილბაო | 0:2 |
| ვალეკანო-ხეტაფე | 1:1 პენ. 4:2 |
| კალიარი-ვალიადოლიდი | 0:0 |
| სპორტინგი (ლ)-ბრაგა | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ილერტისენი-ვიურცბურგერი | 0:3 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ნოიშტრელიტცი-კარლ ცაისი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ანჟერსი-ლანსი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| კა ბასტია-არლი | 0:1 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ოლივეირენსე-ფეირენსე | 2:1 |
| კოვილია-მორეირენსე | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰაკა-ოულუ | 4:0 |
| იიპო-ოპს | 2:1 |
| ვიიკინგიტი-სეინაიოენი | 0:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ერებრო-იონჩოპინგი | 3:1 |
| **ისლანდია** | |
| ფრამი-ვალური | 0:4 |
| ტორი-რეიკიავიკი | 1:3 |
| კეფლავიკი-ვიკინგური | 2:0 |
| სტიარნანი-ფილკირი | 1:2 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სკა ენერგია-სიბირი | 2:1 |
| ენისეი-ნალჩიკი | 1:0 |
| ანგუშტი-როტორი | 0:2 |
| უფა-ტორპედო | 1:0 |
| გაზოვიკი-დინამო (ს-პ) | 2:1 |
| ალანია-ლუჩ ენერგია | 0:0 |
| ხიმიკი-არსენალი | 1:1 |
| ნეფტეხიმიკი-სალუტი | 1:3 |
| შინიკი-მორდოვია | 3:0 |
| **არგენტინა** | |
| არგ. ხუნიორსი-კოლონი | 2:0 |
| **კორეის თასი** | |
| ჯეჯუ-ინჩეონი | 2:0 |
| ჩეონბუკი-სუვონი | 7:2 |
| სეული-ბუსანი | 1:2 |
| გიეონგნამი-პოჰანგი | 1:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონრეალი** | |
| ფონინი-გულბისი | 3:6, 6:1, 1:6 |
| პოსპიშილი-შტეპანეკი | 6:2, 6:4 |
| გრანოლერსი-მარეი | 4:6, 6:7 |
| პერი-ვავრინკა | 6:2, 7:6 |
| პელივო-ისტომინი | 3:6, 6:3, 3:6 |
| ბერდიხი-დოლგოპოლოვი | 6:3, 6:4 |
| ნადალი-ლივაინი | 6:2, 6:0 |
| ჰაასი-მატოშევიჩი | 0:6, 0:6 |
| დანჩევისი-იანოვიჩი | 6:7, 6:3, 4:6 |
| **WTA. ტორონტო** | |
| ბარტელი-სტივენსი | 3:6, 6:4, 3:6 |
| პავლიუჩენკოვა-ნა ლი | 1:6, 4:6 |
| კირილენკო-კორნე | 5:7, 5:7 |
| იანკოვიჩი-ფიშმანი | 6:4, 7:6 |
| დევისი-ბარტოლი | 0:6, 3:6 |
| მაკაროვა-ვინჩი | 0:6, 4:6 |
| ლეპჩენკო-რიბარიკოვა | 4:6, 2:6 |
| ზაკოპალოვა-ერანი | 2:6, 6:7 |

TV პროგრამა

**8 აგვისტო. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. სპარტაკი-ბენფიკა.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. ცვოლე-ფეიენოორდი.
14:00 სეზონის მიმოხილვა. გერმანიის ჩემპიონატი - დორტმუნდი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ლილი-ბაიერნი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. I ტური. ბელგრანო-ბოკა ხუნიორსი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:00 სეზონის მიმოხილვა. გერმანიის ჩემპიონატი - ბაიერნი.
01:00 ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-ბრაგა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ბოსტონი.
15:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-ედინბურგი.
19:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვალენსია-ლილი.
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ფილადელფია სიქსერზი. II ნაწილი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ბოსტონი.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა. მიმოხილვა.
19:30 ჩოგბურთი. მატჩპოინტი.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქობულეთი | 18 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 19 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 17 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 17 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 19 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 18 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 9 | 18 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 12 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 9 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2102 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6624 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5711 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0399 |

ამბები

**კალათბური**

## ამხანაგური მატჩები

მომავალი ევრობასკეტის მონაწილეები აგრძელებენ ერთმანეთში სპარინგებს.

**ლიტვა-ბელგია 66:53**

23:14, 16:13, 16:9, 11:19

ლ: კუზმინსკასი (13), ვალანჩუნასი (12+11 მოხსნა), პოჩიუსი (7+5 მოხსნა), დ. ლავრინოვიჩი (7+5 მოხსნა).
ბ: ტაბუ (12), ვან როსომი (11), ბეგინი (8), ერველი (7+8 მოხსნა).

**ხორვატია-მაკედონია 74:78**

18:15, 24:22, 14:18, 18:23

ხ: ტომიჩი (15), ბოგდანოვიჩი (15).
მ: ვ. სტოიანოვსკი (18), მაკალები (16), ჩეკოვსკი (13).

**გერმანია-საფრანგეთი 84:89**

19:24, 13:24, 27:19, 25:22

გ: გიფი (13), შაფარციკი (13+8 მოხსნა+4 პასი), ზაიფერტი (10), შტაიგერი (9), ტადა (7).
ს: ბატუმი (18), დე კოლო (15+6 პასი), აჟინკა (13+6 მოხსნა), ლოვერნი (11+6 მოხსნა), ერტელი (8+5 მოხსნა), დიაო (8).

**ფორმულა 1**

## ლოტუსი არ გაკოტრებულა?

„ლოტუსის“ წარმომადგენელმა უარყო ამ დღეებში გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, რომ გუნდს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. GPUpdate-ისთვის მიცემული კომენტარის მიხედვით, ასევე არ აქვს საფუძველი ჭორს, რომლის მიხედვითაც გუნდის ტექნიკური ჯგუფის წევრები გაფიცვის მოწყობას აპირებენ. ვიგებთ, რომ თანამშრომლების მიმართ არანაირი სახელფასო დავალიანება არ არსებობს.

ჩვენ გუშინდელ ნომერში გაგაცანით გერმანული პრესის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ლოტუსის“ ვალებმა 120 მილიონ ევროს მიაღწიეს და ამის გამო, გუნდის ტექნიკურმა განყოფილებამ გაფიცვის მოწყობა დაგეგმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადება ევრობასკეტისთვის. ამხანაგური ტურნირი

# გზის დასაწყისში აღმართია

## აქურას ვერ დავუქვერით




ევრობასკეტისადა სლოვენიის ემბლემებზე იქაური წმინდა მთა ტრიგლავია გამოსახული. საქართველოს ნაკრები გუშინ სლოვენიისკენ სავალ გზას იტალიასთან ამხანაგური მატჩით შეუდგა და ლოგიკურია, რომ გზა აღმართიანია.

სვლას ისიც ართულებს, რომ ჩვენს ნაკრებს ორი ლიდერი **ზაზა ფაჩულია** და **თორნიკე შენგელია** აკლია და ისიც, რომ ფიზმომზადება ახალი დასრულებული აქვს, გუნდი სათანადო კონდიციებში ვერ არის. კიდევ ერთი ნიუანსია - ამერიკელი **რიკი ჰიკმანი** გუნდს გვიან შეუერთდა, შესაძლოა არადამაკმაყოფილებელი კონდიციების გამო მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** მისი განაცხადში შეყვანისგან ამიტომაც შეიკავა თავი. პრობლემებზე თუ ვლაპარაკობთ, ბარემ **ლუკ ზელერიც** ვახსენოთ. იგი თითქოს ზაზა ფაჩულიას შემცვლელად ჩამოვიდა, თუმცა **ნიკა ცქიტიშვილზე** მსუბუქია და აშკარად ეტყობა რომ მისი მოწოდება ფარის გარეთ თამაშია. თუ სანაკრებოდ მესამე ნომერს ვეძებდით, ევროპაში გაცილებით უკეთესის არჩევა შეიძლებოდა. მას მწვრთნელმა სულ 10:29 წუთი არგუნა... შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ ერთმა ნატურალიზებულმა უნდა ითამაშოს და ეს რიკი ჰიკმანი იქნება.

თავის მხრივ, იტალიასაც ორი დანაკლისი აქვს, ვერ ითამაშეს NBA-ს წარმომადგენლებმა **ანდრეა ბარნიანიმ** და **დანილო გალინარიმ** (იგი ვერც ევრობასკეტზე იქნება). სამაგიეროდ საქართველოსთან საკუთარი შესაძლებლობები კარგად გამოამჟღავნა „ჩიკაგოდან" „სან ანტონიოში" გადასულმა **მარკო ბელინელიმ**. იტალიელმა ჟურნალისტებმა შეხვედრის მიმოხილვას „ბელინელის შოუ" დაარქვეს. მან სულ 18 წუთი ითამაშა, 21 ქულა ჩააგდო და ფარქვეშ ლამაზი შესვლებით დაგვამახსოვრა თავი.

გაგახსენებთ, რომ 2004 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველო და იტალია ერთ ჯგუფში იყვნენ, შეჯიბრების სნაიპერი სწორედ ბელინელი გახდა, ხოლო საუკეთესო მოთამაშე - **მანუჩარ მარკოიშვილი**. მანუმ გუშინაც დიდი მოცულობის სამუშაო გასწია. მესამე პერიოდის დასაწყისში მანუმ სამქულიანით ათქულიანი ჩამორჩენა შვიდამდე დაიყვანა, მას **ვიქტორ სანიკიძემ, გიორგი ცინცაძემ** და **გიორგი შერმადინმაც** შეაშველეს ქულები და სხვაობა სამამდე შემცირდა (35:38). 4 წუთის განმავლობაში მასპინძლები ჩვენს კალათს საქულე დისტანციაზე ვერ გაეკარნენ. არადა, მანამდე იტალია 30:14-საც გვიგებდა...

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** პირველ ტაიმშიც და მეორეშიც თითქმის ერთიანად შეცვალა სასტარტოები, სათადარიგოებს კი თამაშის დალაგება გაუჭირდათ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან უმეტესობას ერთმანეთის გვერდით აქამდე არ უთამაშია. რაც შეეხება სასტარტო ხუთეულის წევრებს, ისინი 2004 წლიდან ერთად იცავენ ეროვნული გუნდის ღირსებას (2007-ში გიორგი შერმადინიც შეუერთდათ). იტალიელებს კი ნამდვილად არ ეტყობოდათ ხუთეულის წევრთა ცვლილება, სტაბილურად მიიწევდნენ წინ და ერთ მომენტში 29 ქულითაც დაწინაურდნენ - 76:47. მატჩის ბოლოს ქართველებმა ხელმეორედ აღმოფხვრეს დეფიციტი, თუმცა მხოლოდ 16 ქულამდე...

ამხანაგური შეხვედრები სამ მიზანს ემსახურება: ახალბედების გამოცდას და შეწყობას; ძირითადი ბირთვის ფორმაში შესვლას; გუნდის შეთამაშებას და ფორმაში შეყვანას. იტალიასთან შეხვედრამ დაგვანახა, რომ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო შიდა ჩემპიონატის მქონე ნაკრებთან თანაბრად თამაში, შესაბამისად ევრობასკეტზე პოზიტიურად გამოსვლა შეგვიძლია. ამისთვის კი სწორედ ისაა საჭირო, რაც წელან ვთქვით - ახალბედების გუნდთან კარგად შერწყმა და სასექტემბროდ ოპტიმალური კონდიციების მიღწევა. **ნიკა მეტრეველმა, ბექა ბურჯანაძემ** და სხვებმა დაგვანახეს, რომ გუნდის დახმარება ნამდვილად შეუძლიათ. შერმადინმა მეტოქეს ფარი არ დაუთმო (23 წუთში 18 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა), ცინცაძემ 12 ქულა და 8 პასი მიითვალა, სანიკიძემ - 14 ჩააგდო, რაც შეეხება **ნიკა ცქიტიშვილს**, მას სწორედ მაშინ უწევდა თამაში, როცა სათადარიგოები შემოდიოდნენ. საინტერესო იქნება მისი სანიკიძესა და შერმადინთან ერთდროულად მოედანზე ხილვა. საამისოდ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს რეზერვში 10 ამხანაგური თამაში აქვს. კიდევ უამრავი ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება, რათა ევრობასკეტზე გუნდი მრავალფეროვანი ტაქტიკით წარდგეს.

საზაფხულო არდადეგების შემდეგ ნებისმიერ ადამიანს თოკი რომ მივცეთ და თუნდაც იოლად დასაპყრობი მყინვარწვერისკენ მივუთითოთ, თავიდან გაუჭირდება, ნელ-ნელა გახურდება, „კუნთები რომ გამოილვიძებენ" უფრო გაუადვილდება, ვიდრე დასაწყისში. ამას ველით საქართველოს ნაკრებისგან.

დღეს, თბილისის დროით 20 საათზე პოლონეთს ვეთამაშებით, რომელმაც ისრაელთან 65:81 დათმო.

**ვაჟა სიმონიშვილი**




### 7 აგვისტო

ტრენტო, იტალია

**იტალია-საქართველო 85:69**

21:10, 17:18, 26:15, 21:26

1500 მაყურებელი

*მსაჯები: პ. ტაურინო, გ. ბეტინი, ს. ლანძარინი.*

### იტალია

| სასტარტოები | წთ | თამ.სრ. | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.შეტ | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაზინი | 09:44 | 0-2 | 0 | 0-0 | 0 | 1-2 | 50 | 2 | 3 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 5 | 1 | 2 |
| დატომე | 21:23 | 5-7 | 71 | 0-1 | 0 | 0-0 | 0 | 1 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 10 | 14 |
| როსელი | 17:35 | 2-3 | 67 | 0-1 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 4 | 8 |
| ჩინჩარინი | 21:27 | 4-7 | 57 | 0-1 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 4 | 4 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 8 | 7 |
| ბელინელი | 18:19 | 9-12 | 75 | 1-2 | 50 | 2-2 | 100 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 3 | 0 | 3 | 21 | 19 |
| **სათადარიგოები** | **წთ** | **თამ.სრ.** | **%** | **3ქ** | **%** | **1ქ** | **%** | **მ.შეტ** | **მ.დაც.** | **მ.სულ** | **პ** | **შ** | **ჩ** | **დ** | **ფ** | **ქ** | **მქკ** |
| კავალიერო | 04:39 | 0-1 | 0 | 0-1 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მანჩინელი | 17:07 | 1-4 | 25 | 0-1 | 0 | 2-4 | 50 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 4 | 4 |
| პოეტა | 04:37 | 2-2 | 100 | 0-0 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 2 | 4 | 6 |
| მელი | 27:04 | 2-5 | 40 | 0-1 | 0 | 2-2 | 100 | 4 | 4 | 8 | 0 | 2 | 1 | 1 | 2 | 6 | 11 |
| ვიტალი | 04:39 | 1-3 | 33 | 0-0 | 0 | 2-2 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 4 | 2 |
| დიენერი | 13:55 | 1-4 | 25 | 1-2 | 50 | 2-2 | 100 | 0 | 3 | 3 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 5 | 8 |
| მაგრო | 03:11 | 0-0 | 0 | 0-0 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 |
| ჯენტილე | 18:30 | 4-8 | 50 | 0-1 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 8 | 7 |
| არადორი | 17:44 | 4-6 | 67 | 2-3 | 67 | 0-0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 10 | 9 |
| ჯამი | | 35-64 | 55 | 4-14 | 29 | 11-14 | 79 | 7 | 25 | 32 | 14 | 14 | 10 | 3 | 25 | 85 | |

*წთ - წუთი, თამ.სრ. - თამაშიდან სროლა, 3ქ - სამქულიანი, 1ქ - საჯარიმო, მ.შეტ - მოხსნა - შეტევაში, მ.დაც. - მოხსნა დაცვაში, მ.სულ - მოხსნა სულ, პ - პასი, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, ქ - ქულა, მქკ - მარგი ქმედების კოეფიციენტი.*

### საქართველო

| სასტარტოები | წთ | თამ.სრ. | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.შეტ | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა. ბოისა | 11:32 | 0-0 | 0 | 0-0 | 0 | 0-0 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 4 |
| ცინცაძე | 31:02 | 3-9 | 33 | 2-5 | 40 | 4-4 | 100 | 0 | 2 | 2 | 8 | 6 | 0 | 0 | 3 | 12 | 10 |
| შერმადინი | 22:59 | 4-5 | 80 | 0-0 | 0 | 10-10 | 100 | 4 | 8 | 12 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 18 | 27 |
| მარკოიშვილი | 29:45 | 3-12 | 25 | 1-6 | 17 | 0-1 | 0 | 0 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 7 | 0 |
| სანიკიძე | 26:41 | 3-7 | 43 | 2-3 | 67 | 6-8 | 75 | 2 | 2 | 4 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 14 | 12 |
| **სათადარიგოები** | **წთ** | **თამ.სრ.** | **%** | **3ქ** | **%** | **1ქ** | **%** | **მ.შეტ** | **მ.დაც.** | **მ.სულ** | **პ** | **შ** | **ჩ** | **დ** | **ფ** | **ქ** | **მქკ** |
| ფაცაცია | 19:59 | 0-3 | 0 | 0-2 | 0 | 1-2 | 50 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | -1 |
| მეტრეველი | 05:26 | 1-1 | 100 | 0-0 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 5 |
| ცქიტიშვილი | 09:20 | 1-3 | 33 | 0-0 | 0 | 4-6 | 67 | 1 | 2 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 2 | 6 | 2 |
| ბურჯანაძე | 10:30 | 1-4 | 25 | 1-1 | 100 | 2-2 | 100 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 5 | 5 |
| ლეჟავა | 13:16 | 1-4 | 25 | 0-3 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | -1 |
| ფხაკაძე | 08:57 | 1-3 | 33 | 0-2 | 0 | 0-0 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | 0 |
| ზელერი | 10:29 | 0-2 | 0 | 0-2 | 0 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | -3 |
| ჯამი | | 18-53 | 34 | 6-24 | 25 | 27-33 | 82 | 10 | 22 | 32 | 12 | 20 | 7 | 1 | 18 | 69 | |

ISSN 2233-3827

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (577 74 89 21), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო"**, 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608